



მთავროვნებების  
ტრანსპარენცია

A2



თვითმმართველობის  
ოპოზიციის სივრცეებზე  
იქნება წარმოდგენილი

A3



დადინის თასი  
რუსთაველი მიღის

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

გაზეთი, 7 ოქტომბერი, 2006 წელი. №222 (1374)

ფასი 50 თეთრი

## 24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია  
იხილეთ Web-გვერდზე  
[www.24saati.ge](http://www.24saati.ge)



თიბისი-ფოსტა

გაქვთ სურვილი ისარგებლოთ  
საბანკო მომსახურებით, მაგრამ  
არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის  
გამოცდილება?

გაინტერესებთ საბანკო სფეროში  
მომხდარი სიახლეები და  
ცვლილებები?

გინდათ პირადად გაეცნობოდით  
საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?

გამოგზავნეთ შეკითხვები გაზეთ  
"24 საათში" (გამრეკელის №51.  
ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86)  
და სულ მალე, ყოველ პარასკევს  
რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს  
კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის  
ექსპერტები.



ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების  
ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა  
ინიჭებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი  
გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო  
სამსახურის" (CRS) ქართულ ენაზე  
ბეჭდვას. ყოველი გამოცემა  
კავკასიის რეგიონის აქტუალური  
მოვლენებისა და პროცესების  
სადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე  
[www.iwpr.net](http://www.iwpr.net) განთავსებულია  
გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე"  
ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე  
უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის  
ან ანულისტიკისთვის ენაზე ინტერნეტ-გვერდზე  
დასაბუთებლად:  
<http://www.iwpr.net/sub-form.html>

A5

საერთაშორისო იურიდიული  
ოფისი "გაპი" სტრასბურგის  
ადამიანის უფლებათა  
ევროპის სასამართლოში  
კლიენტთა ინტერესების  
დაცვას ახორციელებს  
თავისი წარმომადგენლით  
საფრანგეთში.

## აინდი

	7/10	8/10
თბილისი	27	27
ბათუმი	30	27
სოხუმი	29	26
ქუთაისი	30	29
ბორჯომი	22	23
თალავი	27	26

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1. 7390
ევრო	2. 2054
ბრიტანული სტერლინგი	3. 2592
რუბლი	0. 0649

აშხაბი	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
პროექტი	A 5
ტენდერი	A 6
ტენდერი	A 7
სპორტი	A 8

# პროგრესი ხარვეზებით

## ვირიკო თაყაიძე

ძირითად თავისუფლებებს  
პატივს სცემენ, მაგრამ  
სახელმწიფოსა და მმართველ  
პარტიას შორის განსხვავება  
არასამართლიანია, - ასეთია  
ეუთო-სა და ევროსაბჭოს  
ინსტიტუტების საერთაშორისო  
დამკვირვებელთა წინასწარი  
დასკვნა.

უცხოელ დამკვირვებელთა  
შეფასებებში საუბარია არ-  
ჩვენი შუქ-ჩრდილებზე.  
ჩვენ არჩევნების წარმართ-  
ვის პროცესში უდიდესი  
პროგრესის მომენტი გავხ-  
დეთ, - აღნიშნა კონგრესის  
დელეგაციის ხელმძღვანელმა  
ვიმ ვან გელდერმა. მისი  
თქმით, "საქართველომ ევ-  
როპის საბჭოს წინაშე აღე-  
ბული ვალდებულებების შე-

საბამისად ეფექტური ადგი-  
ლობრივი დემოკრატიის  
გაღრმავებისაკენ მეტად და-  
მაიმედებელი ნაბიჯები გა-  
დადგა. თუმცა, წინასწარი  
მონაცემების მიხედვით მო-  
ქალაქებისა და პოლიტიკურ  
რი ძალების ადგილობრივ  
საქმიანობაში უფრო აქტიუ-  
რად ჩართვისათვის განვი-  
თარება კიდევ საჭიროა."

სუფლების ძალისხმევას,  
რომლითაც მან საარჩევნო  
პროცესი ყოველმომცველი  
და პროფესიონალური გზით  
დაამართა. ასევე მივსალ-  
მებით საქართველოს მზად-  
ყოფნას, გააგრძელოს საერ-  
თაშორისო თანამშრომლობა  
ეუთო-სა და სხვა საერთაშო-  
რისო ორგანიზაციების  
ზარდადგება A3 გვერდზე

# ბორის აკუნინი: "არ მებონა, თუ რუსეთში ეთნიკურ წმენდას მოვესწრებოდ"

რუსეთში პრობლემები  
შექმნათ ისეთ ცნობილ  
ქართველ მოღვაწეებს,  
როგორცაა ბორის აკუნინი  
და ზურაბ ნერეთელი.  
მწერლის გამომცემლობაში  
საგადასახადო ინსტიტუტის  
წარმომადგენლები მივიდნენ;  
მზატერის ხელოვნებისა და  
არქიტექტურის აკადემიაში  
კი - რევიზორები  
კონტროლის პალატადან.



რუსეთში პრობლემები შექმნათ ცნობილ ქართველ მოღვაწეებს - ბორის აკუნინს და ზურაბ ნერეთელს.

"მართალია, აკუნინის  
ბულატიკაში რუსმა ინ-  
სპექტორებმა ჯერჯერო-  
ბით ვერაინარი დარღვევას

ვერ მიაკვლიეს, მაგრამ  
პრობლემები შეექმნა ზუ-  
რაბ ნერეთელს, როგორც  
აკადემიის ხელმძღვა-

ნელს," - წერს რუსული  
პრესა.  
ზარდადგება A4 გვერდზე

# დღეს "24 საათში" Weekend

**ფრანგული  
სადილი  
ქართული  
ტიქის  
თანხლებით**

9

გაბრიელ სიხარულიძე  
2  
საბანკო  
საბანკო...  
ფართობი კაპიტალიზაცია  
18

## ახალი საკრებულოს ქველი ხმადახლოება

32-33 ადგილი "ნაციონალებს" და მხოლოდ 4 ან 5 ადგილი ოპოზიციის -  
სავარაუდოდ, ასე გამოიყურება თბილისის საკრებულოს ახალი  
შემადგენლობა. 37 დეპუტატთან რამდენიმე უკვე მეორედ მოიპოვა  
დეპუტატის მანდატი.

## თამარ მკვალი

თბილისის მასშტაბით ოპოზი-  
ციური პარტიის ვერც ერთმა მა-  
ჟორიტარმა კანდიდატმა ვერ შეძ-  
ლო გამარჯვება. დედაქალაქის  
საკრებულოში "ნაციონალებმა"  
საერთაშორისო თანამშრომლობა  
ეუთო-სა და სხვა საერთაშო-  
რისო ორგანიზაციების  
ზარდადგება A3 გვერდზე

ფილმა პრემიერმა თემურ ქურ-  
ხულმა სამგორის რაიონში მოი-  
პოვეს გამარჯვება. ისანი-სამგო-  
რის, ვაკე-საბურთალოსა და  
მთაწმინდა კრანისის გამგებ-  
ლებმა საკრებულოში გადაინაც-  
ვლეს. საბურთალოს რაიონში -  
დავით იოსელიანმა, ისანი - გი-  
ორგი ქორქაშვილმა, ხოლო კრან-  
ისში - დავით მესხიშვილმა გაი-  
მარჯვა. ნაძალადევის რაიონში  
ქენქეს იყრიდა მერიის "თბილისის  
კორპუსის" სამსახურის უფროსი  
ზურაბ კიკელიძე, ხოლო ჩუ-  
ღურეთში მერიის კეთილმოწყო-  
ბის სამსახურის უფროსი კობა  
სუბელიანი. ვაკეში მაჟორიტარ  
დეპუტატად 53-ე სკოლის დი-  
რექტორი ზაალ სამადაშვილი გა-  
ვიდა.

ზარდადგება A3 გვერდზე

## საარჩევნო "ქვითარი" ოპოზიციას

5 ოქტომბრის არჩევნებში  
ოპოზიციური ბლოკი "დავითაშ-  
ვილი-ნიდაშვილი-ბერძენიშვილი",  
წინასწარი მონაცემებით, თბი-  
ლისში მეორე ადგილზე გავიდა.  
მიუხედავად ამისა, ბლოკის ერთ-  
ერთი სუბიექტის - რესპუბლიკე-  
რი პარტიის თავმჯდომარე დავით  
უსუფაშვილი უკმაყოფილებას გა-  
მოთქვამს და სერიოზულ დარღ-  
ვევებზე საუბრობს.

ბროლაურშიც.  
"ვერ დავასახლებ ვერც  
ერთ რაიონს, სადაც მსგავსი  
პრობლემა არ შექმნილიყო.  
არადა, შემოფთობის წინაპირო-  
ბა თითქოს არ არსებობდა," -  
აცხადებს "რესპუბლიკელების"  
ლიდერი, რომელიც იქვე დას-  
ძენს, რომ მისმა ბლოკმა თბი-  
ლისში ხმათა 12-14 პროცენტი  
მოაგროვა, განსაკუთრებულ  
წარმატებას კი ბათუმში მიაღწია,  
სადაც, რეალურად, ხმების 32-33  
პროცენტი მიიღო.

მისი მტკიცებით, განსაკუთ-  
რებით მძიმე მდგომარეობა იყო  
გორში, სადაც "შვიარაღებული  
პირები და პოლიციის წარმო-  
მადგენლები აქტიურად მონაწი-  
ლობდნენ ბიულეტენების დათ-  
ვლაში, საარჩევნო ყუთების  
აქეთ-იქით ნადება-წამოღება-  
ში". დავით უსუფაშვილის თქმით,  
არეულობებს ადგილი ჰქონდა ამ-

5 ოქტომბრის არჩევნების შე-  
დეგებთან დაკავშირებით პრე-  
ტენზიას გამოთქვამს დავით უსუ-  
ფაშვილის თანაპარტიელი დავით  
ბერძენიშვილიც.  
ზარდადგება A3 გვერდზე

## ეთნიკური წმენდა რბილი ფორმით

ანტიქართული კამპანიით აქტიურად დაკავებული რუსეთი  
საქართველოდან ბაზების გაყვანის შესახებ ხელშეწყობებს  
რატიფიკირებას უპრობლემოდ უკეთებს. ბაზებზე, როგორც  
საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტზე, რუსეთი უარს საბოლოოდ  
ამბობს. ამავდროულად, ანტიქართული კამპანიის მასშტაბები რუსეთში  
დღითიდღე იზრდება. საქართველოს მოქალაქეების დევნას უკვე  
ქართული წარმომავლის რუსეთის მოქალაქეების, მათ შორის ცნობილი  
პიროვნებების შევიწროვებაც მოჰყვა.

## დიმიტრი ავალიანი

ბაზების შესახებ ხელშეკრუ-  
ლების რატიფიკირებას სახელმ-  
წიფო სათათბიროს 375 დეპუ-  
ტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმ-  
დეგ ხმა 26-მა მისცა. უკვე საბო-  
ლოდ ძალაში შესული ხელშეკ-  
რულების მიხედვით, ახალქალა-  
ქის ბაზას რუსები მიმდინარე  
წლის ბოლომდე დაცლიან, ხოლო  
ბათუმის ბაზას - 2008 წლამდე.

და, რომ საქართველოდან რუსუ-  
ლი სამხედრო ბაზების გაყვანის  
შესახებ შეთანხმებაში საკართვე-  
ლოს არ აუღია ვალდებულება, ბა-  
ზების სანაცვლოდ ერთობლივი  
ანტიტერორისტული ცენტრები  
გაიხსნა. მისი თქმით, ამ შეთანხ-  
მებით საქართველომ აიღო ვალ-  
დებულება, აღნიშნულ საკითხზე  
მოლაპარაკების დაწყების შესა-  
ხებ, თუმცა, მინისტრის შეფასე-  
ებით, შექმნილ ვითარებაში ერ-  
თობლივი ცენტრის შექმნაზე სა-  
უბარი ალოგიკურია.

რუსეთის სახმელეთო ჯარე-  
ბის სარდალმა ალექსეი მასლოვ-  
მა სათათბიროს განუმარტა, რომ  
ბოლო რამდენიმე წელია რუსი  
სამხედროები საქართველოში,  
ფაქტობრივად, თავის ფუნქცი-  
ებს ვერ ასრულებენ და მხოლოდ  
"საკუთარ თავს იცავენ". მისი  
განცხადებით, ქონების ღირებუ-  
ლება, რომელსაც რუსი სამხედ-  
როები საქართველოში დატოვე-  
ბენ, იმდენად მიზერულია, რომ  
რუსულმა მხარემ კომპენსაციე-  
ზე "პოლიტიკური მოსაზრებე-  
ბით" უარი თქვა. თუმცა, რუსმა  
დეპუტატებმა საქართველოს  
საერთაშორისო თანამშრომლობა  
ეუთო-სა და სხვა საერთაშო-  
რისო ორგანიზაციების  
ზარდადგება A3 გვერდზე

მინისტრმა ასევე აღნიშნა,  
რომ, შესაბამისი პირობების შექ-  
მნის შემთხვევაში, რუსეთ-სა-  
ქართველოს შორის ერთობლივი  
ანტიტერორისტული ცენტრის  
ჩამოყალიბების თაობაზე მოლა-  
პარაკებები აუცილებლად და-  
იწყება.  
გუშინ თბილისში რუსეთის სა-  
განგებო სიტუაციათა სამინისტ-  
როს თვითმფრინავი დაეშვა, რომ-  
ელმაც რუსეთიდან დაეპორტი-  
რებული ასზე მეტი საქართველოს  
მოქალაქე ჩამოიყვანა.  
მგზავნი გალიზიანებას ვერ  
მალავდნენ და აცხადებდნენ, რომ  
რუსეთში მათ აგრესიულად და  
უხემად ექცეოდნენ და ყოველგ-  
ვარი ახსნა-განმარტების გარეშე  
აკავებდნენ.  
ზარდადგება A3 გვერდზე









# რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამომცხადების შესახებ



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართეს შპს "ახალმა ქსელებმა", შპს "მა-გთიკომმა" და შპს "Clearstream Holdings"-მა 3.5 გჰც სიხშირულ დიაპაზონში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ.

კომისია აგრეთვე აღნიშნავს, რომ კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით" ადგილობრივი ფართოზოლოვანი უსადენო დაშვების ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის მომსახურებისათვის გათვალისწინებულია 3400.0 - 3900.0 მჰც სიხშირული დიაპაზონი. შესაბამისად კომისიას შესაძლებლად მიაჩნია გამოცხადდეს აუქციონი.

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად რესურსით სარგებლობის საწყისი ოდენობა განისაზღვრა კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებების" შესაბამისად და შეადგინა - 1,659,571.20 (ერთი მილიონ ექვსას ორმოცდაცხრამეტი ათას ხუთას სამოცდათერთმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარი.

"უღებურული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე და 50-ე მუხლების, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" შესაბამისად, კომისიამ

- გადაწყვიტა:**
- გამოცხადდეს აუქციონი 3410.0 - 3431.0 მჰც და 3510.0 - 3531.0 მჰც სიხშირულ ზოლებზე ადგილობრივი ფართოზოლოვანი უსადენო დაშვების ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" დანართ №6-ის მე-2 - მე-10 პუნქტებით გათვალისწინებულ ადგილობრივი მომსახურების ზონებში;
  - აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 1 დეკემბრის 14:00 საათი;
  - რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 1,659,571.20 (ერთი მილიონ ექვსას ორმოცდაცხრამეტი ათას ხუთას სამოცდათერთმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარით;
  - ლიცენზიის მძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2006 წლის 9 ნოემბრის 17:00 საათამდე;
  - აუქციონის ბიჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი

ოდენობის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე ანუ 82,979 (ოთხმოცდაორი ათას ცხრაას სამოცდაცხრამეტი) ლარი;

- სალიცენზიო პირობები:
  - ალიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყება;
  - ალიცენზიის მიღებიდან სამი წლის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებ ერთი გადამცემით მომსახურება შემდეგ რეგიონებში:
    - რეგიონი 1: ქ.თბილისი, დაბა წყნეთი;
    - რეგიონი 2: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;
    - რეგიონი 3: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისნაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის რაიონები;
    - რეგიონი 4: ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის, რაიონები;
    - რეგიონი 5: გორის, კასპის, ქაქულის, ხაშურის, ცხინვალის, ჯავის რაიონები;
    - რეგიონი 6: ქ.რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი-წყაროს, მარნეულის, ნაღვის რაიონები;
    - რეგიონი 7: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები;
    - რეგიონი 8: ქ.ქუთაისი, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სარხერის, ხარაგაულის, ხონის რაიონები;
    - რეგიონი 9: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები;
    - რეგიონი 10: ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის რაიონები;
    - რეგიონი 11: ქ.ფოთი, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, ნაღვიჯიხის, ხობის რაიონები;
    - რეგიონი 12: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა;
  - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მძიებელი განცხადებით მიმართავს კომისიას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი სარგებლობის ლიცენზიის სახის მიღება მოითხოვს ლიცენზიის მძიებელი;
  - ლიცენზიის მძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:
    - კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მენარმისათვის სახელმწიფო რესტრუქციონის ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამომწებელი ასლები.
    - რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის (ბე) გადახდის დამადასტურებელი საბუთი.ეს თანხა ირიცხება კომისიის ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:
      - ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი";

- ა/ანგარიში: 609326;
- კოდი: 220101830;
- საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;
- თუ ლიცენზიის მძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს აცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%, გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას;
- რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ი (ბე) ლიცენზიის მძიებლის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში;
- სალიცენზიო მოსაკრებლის (1000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- აუქციონში მონაწილეობის უფლება არა აქვს იმ პირს, რომელიც აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად ხდება რადიოსიხშირული სპექტრიდან 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი;
- თუ ლიცენზიის მძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ განაცხადების მემ პუნქტში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია. დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, კომისია ლეზულობს განაცხადებულს განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
- აუქციონი ჩატარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით" განსაზღვრული წესით;
- დაევალოს კომისიის აპარატის მანუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტს (მარშმძიე) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- განაცხადებულმა შეიძლება გასაჩივროს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, სარაჯიშვილის № 1 ა) ერთი თვის ვადაში;
- კონტროლი აღნიშნული განაცხადების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი.ხარებავა).
  - კომისიის თავმჯდომარე
  - კომისიის წევრები
  - დ.ქიტოშვილი
  - დ.პატარია
  - გ.ფურუძე
  - ზ.ნონიკაშვილი

## განცხადება

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ევგენი ხარაძის აბასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამომცხადების თაობაზე**

1. 2006 წლის 27 სექტემბერს გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ევგენი ხარაძის აბასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

**ა) გარეგადაქტიკურ ობიექტთა კვლევის განყოფილება** (განყ. გამგე, უფრ. მეცნ. თანამშ. ლ. სიგუა)

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამშტატო ერთეული უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 სამშტატო ერთეული მეცნიერი თანამშრომელი - 6.5 სამშტატო ერთეული (6+0.5)

**ბ) ცვალებადი ვარსკვლავებისა და ვარსკვლავთ სისტემების კვლევის ლაბორატორია** (განყ. გამგე, უფრ. მეცნ. თანამშ. ე. ვანიაშვილი)

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამშტატო ერთეული მეცნიერი თანამშრომელი - 3.5 სამშტატო ერთეული (3+0.5)

**გ) მზის კვლევის განყოფილება** (განყ. გამგე, უფრ. მეცნ. თანამშ. თ. ზაქარაშვილი)

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 3 სამშტატო ერთეული მეცნიერი თანამშრომელი - 4.5 სამშტატო ერთეული (3+0.5+0.5+0.5)

**დ) პლანეტების, მათი თანამგზავრებისა და მცირე ცთომილების კვლევის განყოფილება** (განყ. გამგე, უფრ. მეცნ. თანამშ. გ. მაიშვილი)

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 4 სამშტატო ერთეული მეცნიერი თანამშრომელი - 6 სამშტატო ერთეული

**ე) ასტროფიზიკური და გეოფიზიკური დინებების შემსწავლელი განყოფილება** (განყ. გამგე, მთავარი მეცნ. თანამშ. ჯ. ლომინაძე)

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამშტატო ერთეული უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 3 სამშტატო ერთეული მეცნიერი თანამშრომელი - 4 სამშტატო ერთეული

**ვ) ადრინდელი სამყაროს და კომპაქტური ობიექტების კვლევის განყოფილება** (განყ. გამგე მთავარი მეცნ. თანამშ. გ. მაჩაბელი)

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამშტატო ერთეული უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 სამშტატო ერთეული მეცნიერი თანამშრომელი - 5 სამშტატო ერთეული

**შენიშვნა:** ა), ბ), გ), და დ) სამეცნიერო ქვედანაყოფების მეცნიერ თანამშრომლებს მოეთხოვებათ წელნიშნით ოთხი თვე მინც აბასთუმანში, მთა ყანობლზე მუშაობა (ინგინ-აგვისტოს თვეები არ ეთვლება).

მოთხოვნებს, რომელიც შეტანილი იქნება შრომით ხელშეკრულებაში შევიძლიათ გაეცნოთ დირექტორს.

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ინსტიტუტის საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ე. ხარაძის აბასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დროებით წესდებით.

5. სამეცნიერო თანამდებობების დაკავების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

- მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის, მეცნიერებათა დოქტორის) ხარისხი.
- უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის, მეცნიერებათა დოქტორის) ხარისხი.
- მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

**შენიშვნა:** როგორც უფიზიკური გამოწვევის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ განიხილეთ მალაღი სამეცნიერო მაჩვენებლები, რაც დასტურდება 1996 წლიდან იპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობითა და ციტირების მაღალი ინდექსით.

6. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ ობსერვატორიის თანამშრომელს. მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- განმცხადებლის პორადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია (**CV**);
- დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- 2001 წლიდან გამოქვეყნებული ორი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);
- საერთაშორისო სამეცნიერო თემატკაში მონაწილეობისა და გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
- პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია);
- დაკვირვებით პროგრამებში მონაწილეობის ჩამონათვალი.

7. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასებას ახორციელებს საკონკურსო კომისია. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც აპირებენ მონაწილეობა მიიღონ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ევგენი ხარაძის აბასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო თანამდებობაზე.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "თბილისის წყალი", იურიდიული მისამართით: თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33 აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში წნევის გამაძლიერებელი სატუმბო სადგურების კაპიტალური რემონტის სამუშაოების შესასყიდად.

შესყიდვის ობიექტია:

**შავი ზღვის ქუჩაზე 39-ში მდებარე წნევის გამაძლიერებელი სატუმბო სადგურის კაპიტალური რემონტი და საინჟინრო კეთილმოწყობა:**

პროექტული ითვალისწინებს არსებული შენობების კაპიტალურ შეკეთებას და საინჟინრო კეთილმოწყობას.

3. სამუშაოების დასრულების სასურველი ვადაა: **ერთი თვე.**

4. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დანიტრესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ანალოგიური სახისა და მოცულობის სამუშაოების შესრულების, გამოცდილება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 27 ოქტომბრის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, ოთახი N28.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

6. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: შპს "თბილისის წყალი"; ს/კოდი: 203826002;

ა/ა: N900467730; ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი; კოდი: 2200101502.

7. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 30 ოქტომბრის 10:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, **ოთახი N28.**

8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

- იურიდიული პირებისათვის:
  - ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ინფორმაცია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ დამკვეთის მითითებით.

8.2 ფიზიკური პირებისათვის: ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ინფორმაცია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ დამკვეთის მითითებით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთხსენებულ მისამართზე შემდეგი პირებისაგან:

**ქეთევან კაციტაძე,**  
ტელ: 99 67 82;  
ელ. ფოსტა: **kkatsitadze@Tbilisiwater.com**

სატენდერო კომისია

### საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის ეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური" აცხადებს ღია ტენდერს სურსათის ლაბორატორიული კვლევისათვის მომსახურების შესყიდვაზე.

## ბანცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის ეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური" აცხადებს ღია ტენდერს სურსათის ლაბორატორიული კვლევისათვის მომსახურების შესყიდვაზე.

ზემოთ აღნიშნული მომსახურება უნდა განხორციელდეს ლოტებად სურსათის ძირითადი ჯგუფების მიხედვით ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

ლოტი	დასახელება	სიხვეუბის საგარეულო რაოდენობა
1	ხორცი და ხორცის პროდუქტები (მ/შ: ფრინველი, კვერცხი და მათი გადაამუშავების პროდუქტები)	10
2	რძე და რძის პროდუქტები	10
3	თევზი, სარეწის არატექსტურული ობიექტები და მათი გადაამუშავების პროდუქტები	10
4	მარცვალის (მ/შ: თხილი), საფქვაუ-საბურღელ და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი	10
5	შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი	10
6	ხილ-ბოსტნეულის პროდუქტები	50
7	ზევის ნედლეული და ცხიმოვანი პროდუქტები	10
8	ყველა სახის სასმელი	50
9	სასმელი წყალი	150
10	მზა კულინარიული ნაწარმი	10
11	საკვებდანამატები (მ/შ: ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატები)	10

ლოტების მიხედვით შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული. პრეტენდენტს უფლება აქვს შემოიტანოს სატენდერო წინადადება ერთ ან რამდენიმე ლოტზე. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

მომსახურება უნდა განხორციელდეს 2006 წლის 15 დეკემბრამდე.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლება 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 2006 წლის 27 ოქტომბრის 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაველი ქ. N15ა. III სართული. ტელ: 397498.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, ანგარიშის N200 122900, სახაზინო კოდი: 302003000, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური".

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 29 ოქტომბრის 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაველი ქ. N15ა III სართული.

სატენდერო წინადადებების გასხნა მოხდება 2006 წლის 29 ოქტომბერს 15:00 საათზე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაცვის საქმის წარმოება;
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (იურიდიული პირის შემთხვევაში).
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.
- დოკუმენტი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის-აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს-აკრედიტაციის ცენტრის მიერ დასახელებული საგამოცდო ლაბორატორიის სტატუსის მინჭების შესახებ.
- მომსახურების პროცესში დასაშვებია სუბკონტრაქტორების მონაწილეობაც, რომლებზეც ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას გაცხადებით მოთხოვნილი შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

თუ პრეტენდენტი განცხადებით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების დამატებულ ყველა დოკუმენტს ან მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები აღმოჩნდება ყალბი, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე. დაკვირვებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ბატონ რეზო კობახიძეს. საკონტაქტო ტელეფონები: ბატონ გიორგი მიჩიბაძეს. საკონტაქტო ტელეფონები: 39-74-98, 8 95 22-42-42.

## საინფორმაციო ცნობა

ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემაზე

№ 1	მიწის ნაკვეთის მისამართი	გაცემის ფორმა	სარგებლობის ფორმა	მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრიობა)	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ	მოშენების ფართობი კვ.მ	სართულიანობა	საკუთრებაში გადასახადების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი (ლარი)	კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი კვ.მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	ისანი-სამგორის რაიონი, ბოგდან ხმელინცკის ქუჩა №48-ის მიმდებარედ	აუქციონი	საკუთრება		30 კვ.მ				40 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში (პიპი-10 დოლარის ეკვივალენტი ლარში)
	ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, ორბეის ხიდის მიმდებარედ	აუქციონი	საკუთრება		25,000 კვ.მ				15 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში (პიპი-5 დოლარის ეკვივალენტი ლარში)

**შენიშვნა:** აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია შეტანილი იქნას ბე (სადეპოზიტო თანხა), რომელიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2006 წლის 06.10. 11 სთ-დან, 2006 წლის 06.11. 17საათამდე. აუქციონის ჩატარების თარიღი მონაწილეებს წერილობით ეცნობებათ დამატებით, განცხადების მიღების შეწყვეტის შემდგომ. დანერგვითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას, მისამართი: თავისუფლების მოედანი N2, ტელ: 93 45 73; 99 52 35; ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, ტელ: 96 91 21.

**"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს:**  
მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიში N145532300  
ს/კ 203827074  
ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი  
კოდი 220101502

## შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნების დანიშნვის შესახებ

"უმალესი განათლების შესახებ" - საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 26.2.2005წ. № 7" ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველი არჩევნების ჩატარების" დებულების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 08.06.2005წ. № 473 ბრძანებულების "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" მერვე პუნქტის "ჰ" ქვეპუნქტის შესაბამისად

### გზავნა

1. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნები დანიშნვის 2006 წლის 4 დეკემბერს.

2. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები დანიშნვის 2006 წლის 24 ნოემბერს.

3. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვროს 6 წევრით. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი 2 წევრით. დრამის ფაკულტეტი 2 წევრით. კინო-ტელე ფაკულტეტი 2 წევრით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს საერთო რაოდენობა განისაზღვროს 14 წევრით. ასარჩევნეო წევრთა რაოდენობა 13 წევრით. ხელოვნების, ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი სამი აკადემიური პერსონალი, 2 სტუდენტი. დრამის ფაკულტეტი სამი აკადემიური პერსონალი. ორი სტუდენტი. კინო-ტელე ფაკულტეტი ორი აკადემიური პერსონალი, ორი სტუდენტი.

6. აკადემიური საბჭოს კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2006 წლის 13 ნოემბრის 15:00 სთ-დან 2006 წლის 27 ნოემბრის 15:00 სთ-მდე. მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№ 19, მე-6 სართ. ოთახი № 41.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2006 წლის 9 ნოემბრის 15:00სთ-დან 2006 წლის 23 ნოემბრის 15:00 სთ-მდე. მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. № 19, მე-6 სართ, ოთახი № 41.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

9. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

## შპს "საქართველოს ფოსტა" ატარებს კომერციულ კონკურსს შპს "საქართველოს ფოსტის" გალანსზე რიცხვითი ფართობის ძირითადი ნაწილის მიხედვით

**ქირაუნობით გაიცემა შემდეგი ფართობი:**

- ფილიალ "ფოთის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 13 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 3.85 ლარს (სულ: 50.05 ლარი);
- ფილიალ "მესტიის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 15 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 2.0 ლარს (სულ: 30 ლარი);
- ფილიალ "აბშეთის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 12 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 2.5 ლარს (სულ: 30 ლარი);
- ფილიალ "ლაგოდეხის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 8 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 5.0 ლარს (სულ: 40 ლარი);
- ფილიალ "საჩხერის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 26 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 2.0 ლარს (სულ: 52 ლარი);
- ფილიალ "ბორჯომის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 20 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 7.5 ლარს (სულ: 150 ლარი);
- ფილიალ "ზნაურის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 15 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 3.0 ლარს (სულ: 45 ლარი);
- ფილიალ "ჩხოროწყუს ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 12 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 5.0 ლარს (სულ: 60 ლარი);
- ფილიალ "სამტრედიის ფოსტის" სოფ.დღი ჯიხიშის საფოსტო განყოფილებაში 22 კვ/მ არასაცხოვრებელი ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 5.0 ლარს (სულ: 110 ლარი);
- ფილიალ თბილისის ფოსტამატის N31 საფოსტო განყოფილებაში მის: თბილისი ი.პეტრინის N8-ში მდებარე 12 კვ.მ ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 18 ლარს (სულ 216 ლარი);
- ფილიალ თბილისის ფოსტამატის N14 საფოსტო განყოფილებაში მის: თბილისი ვახტანგ გორგასლის N4-ში მდებარე 12 კვ.მ ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 27 ლარს (სულ 324 ლარი);
- ფილიალ ზუგდიდის ფოსტის ადმინისტრაციულ შენობაში პირველ სართულზე მდებარე 3 კვ.მ ფართი, საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 10 ლარს (სულ 30 ლარი)

### ფასები წარმოდგენილია დღგ-ს გარეშე.

### დამატებითი პირობები:

- ხელშეკრულების გაფორმებისას გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია სამი თვის ვადაში ჩაატაროს მიმდინარე და სარემონტო სამუშაოები მის მიერ ქირაუნობის წესით დროებით სარგებლობაში აღებულ ფართში გამქირავებულთან შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ხოლო რემონტზე განხორციელებული სამუშაოების მიერ არ ანაზღაურდება;
- ხელშეკრულების გაფორმებისას გამარჯვებული პრეტენდენტი შპს "საქართველოს ფოსტის" სალაროში წინასწარ იხდის სამი თვის ქირაუნობის გადასახადს; კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 24 ოქტომბერს 16.00 საათზე, შპს "საქართველოს ფოსტის" სათაო ოფისში, მისამართზე: ქ.თბილისი, ვაგ ზლის მ. N2; კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 20 ლარს რომელიც მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნეს შპს "საქართველოს ფოსტის" სალაროში. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყება 9 ოქტომბრიდან 10.00-18.00 სთ-მდე და დასრულდება 23 ოქტომბერს 18.00 სთ-ზე.

### კონკურსში მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი;
- პირადობის დამადასტურებელი მონაწილის მონაცემები;
- გადახდის ქვითარი (გამოცხადებული ყოველიფართი ქირის 10%-ს პრეტენდენტი იხდის ბე-ს სახით ბილეთის საფასურთან ერთად ფოსტის სალაროში);
- იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს, ამონაწერს სამენარმო რეესტრიდან;
- კონკურსი ჩატარდება ღია წესით და იმავე დღეს გამოცხადდება გამარჯვებული ფიზიკური თუ იურიდიული პირი;
- აუცილებელია პრეტენდენტის დასწრება კონკურსზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიერ შემოტანილი განაცხადი არ დაქვემდებარება განხილვას და არ ანაზღაურდება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბილეთის ფასი;
- პრეტენდენტთა წინადადებების შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება იმ პირთა განაცხადებს, რომლებიც კონკურსის ჩატარების დღეს შემოგთავაზებენ საწყის ღირებულებასა და სხვა კონკურსის მონაწილე პირებზე მეტი საფასურის გადახდას;
- ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში;
- დამქირავებელი ვალდებულია საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში შეწყვიტოს საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციამდე (რეალიზაციამდე) საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე, რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის საკონკურსო (სააუქციონო) და სახელშეკრულებო პირობებშია.

დღიანტერესებულ პირებს დაწერილებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ შპს "საქართველოს ფოსტის" საკონკურსო კომისიას მისამართზე: ვაგზლის მ. N2; ტელ: 966009, 8 93 97 99 20;

შპს "საქართველოს ფოსტა"



# Weekend

© ბაჭათი 24 საათი

შაბათ-კვირა, №17  
7-8 ოქტომბერი, 2006




ფრანგული  
სადილი  
ქართული  
ტიკის  
თანხლებით

8-9


შაბათის სტუმარი

2




ღროთა კავშირი

10



ავტომობილი

14



მანია ზალბანაძე

# PROPUTAS ABESALOM

“აღმოჩენილია პირველი ევროპელი. ჩვენი წინაპრები - ქართველები”  
- ჟურნალი Le Figaro Magazine

აბესალომ ვეკუას ისეთი ბავშვობა ჰქონდა, როგორც 20-იან წლებში დაბადებულ თითქმის ყველა მის თანატოლს. 1925 წელს ფოთში დაიბადა, შემოდგომამდე, 1 ნოემბერს. დედა - ყოველთვის დიასახლისი იყო, მამა, რომელიც “სოიუზქესპორტის” განყოფილების უფროსი იყო, 37 წელს, გამოგონილი მიზეზით დაიჭირეს და გადაასახლეს - თითქოს ვილაციისთვის უთქვამს, “მომიკიდე სიგარეტი, დღეს შენ ხარ დიდი კაცი, ხვალ მე ვიქნები...” 2 წელი ფოთში იჯდა, მერე კარელია-ფინეთში გადაასახლეს, იქვე მოუსწრო ომმა და მას შემდეგ მამის შესახებ აღარაფერი სმენიათ. ჰყავს წლინახევრით უმცროსი და. უფროსი ძმა 3 წლის წინ გარდაიცვალა.

ჰყავს მუშაობა, პროფესიით სამთო ინჟინერი იზოლდა ენუქიძე. ერთმანეთს მეგობარმა გააცნო.

- ვერ გეტყვით, მოვეწონე თუ არა, მე კი მომეწონა.

- როგორ იპრანჭებიან პალეონტოლოგები?

- ისევე, როგორც ძვლებს ეპრანჭებიან. ჩვენ, პალეონტოლოგებს ასეთი დაუნერვლი კანონი გვაქვს - თუ არსებობს ერთი ძვალი, იმაზე შეგვიძლია ავაგოთ ცხოველი. ადამიანზე ეს მით უმეტეს კანონია.

გვიჭირდა, ნაქირავებში ვცხოვრობდით, უმცროსი მეცნიერ-მუშაკი ვიყავი, მაგრამ თანხმობით ბევრ რამეს გავუძელებდი. ერთი კი იყო - როცა ბავშვები პატარები იყვნენ, წუნუნებდა, შაბათ-კვირასაც არ ისვენებო... რა მექნა, ჩვენი საქმე მოსწრებას მოითხოვს.

ჩვენი ვაჟი, ზაზა პროფესიით გეოლოგია, ასპრანტურაც დაამთავრა, მაგრამ ახლა სხვა საქმით არის დაკავებული. მან რომ დაამთავრა, ქვეყანა არეული იყო, არც ექსპედიციები ხდებოდა და არც არაფერი. ქალიშვილი - გეოგრაფია... დაშალეს გეოლოგია. არადა, საბჭოთა კავშირში უძლიერესი გეოლოგიური სკოლა გვქონდა. ერთი ბუნების დაცვის ქალი მინისტრი გვყავდა. ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს მისთვის, არ შეიძლება ჩვენს სამინისტროს გეოლოგთა ჯგუფი არ ჰყავდეს... რად მინდა გეოლოგთა ჯგუფი, თუ დამჭირდა, უცხოეთიდან გამოვიწვიო. ჯერ ერთი, იმ ფულით ერთ-ნაირი ექსპედიციას დააფინანსებდა. მეორე - უცხოელი გეოლოგი ვერაფერს გაიგებს, რადგან საქართველო გეოლოგიურად დაქმუნული ტეროტორიაა. სანამ ის გაერკვევა... ახლა თიქოს აპირებენ აღორძინებას...

12 წლის იყო, სახერხ ქარხანაში რომ დაიწყო მუშაობა დამხმარედ. პარალელურად სკოლაში სწავლობდა. უყვარდა კითხვა და განსაკუთრებით კი, სამხედრო ცხოვრება იტაცებდა. სახლში ახლაც აქვს უამრავი წიგნი მფრინავებზე, ავიაციასზე... 1942 წელს ბენდელიანის სახელობის თბილისის საავიაციო სპეცკოლამ მოსწავლეთა მიღება გამოაცხადა. სამხედრო კომისართან მივიდა და უთხრა, სასწავლებლად უნდა წავიდეო. კომისარმა პატარა გამოცდა მოუწყო რუსულ ენაში და განცხადება დაანერჩინა. დაწერილი კი დაწერა, მაგრამ ვერ გაიხსენა, როგორ იყო რუსულად სიტყვა “განცხადება”... უცბად გაუნათდა გონება, მოაგონდა ელექტრობოძებზე გამოკრული ფურცლები და თავისი ნაწერი ასე დაასათაურა: **объявление...** კომისარმა იმდენი იცინა, პირდაპირი მნიშვნელობით გადმოვარდა სკამიდან. ამის მიუხედავად, აბესალომ ვეკუა საავიაციო სასწავლებელში მაინც გაუშვა. 1944 წელს, დამთავრებისთანავე გაანაწილეს სამხედრო ნაწილში, ტამბოვის ოლქის ქალაქ რასკაზოვოში. იყო ასეთი მოიერიშე თვითმფრინავი - “ილ-2”, რომელსაც გერმანელები “შავ სიკვდილს” ეძახდნენ... სწორედ ამ მოდელით დაფრინავდა.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები კი დღემდე ტრადიციულად, ყოველი წლის მაისის პირველ შაბათს იკრიბებიან მშობლიურ სკოლასთან და მერე სადმე აღნიშნავენ შეხვედრას. ყოველ წელს აკლდებთ ვიღაც... ერთადერთი კაცი დარჩა, რომელიც ერთი თვის შემდეგ გახდება 80 წლის, დანარჩენები უკვე არიან ამ ასაკის. ახლა იმ მეგობარს ელოდე-



აბესალომ ვეკუა სტუმრად “24 საათის” რედაქციაში.

ბიან და ერთად აპირებენ ამ თარიღის აღნიშვნას.

ესკადრიაში ავად გახდა. ჰოსპიტალში იწვა, როდესაც მისი ნაწილი გააუქმეს და კონტინგენტი აზერბაიჯანში, კიროვბადში, ბომბდამშენ თვითმფრინავებზე გაანაწილეს. ტამბოვიდან ბაქომდე ისე იარა, როგორც ერთ ცნობილ ფილმში - ჯერ მატარებლით, მერე მანქანით, მერე - თვითმფრინავით. გზად ფოთში დედაც მოინახულა და კიდევ - სკოლის ამხანაგები. ზოგი სწავლობდა, ზოგს უკვე დაემთავრებინა და სისხლსავსე სამოქალაქო ცხოვრებით ტკბებოდნენ... აბესალომსაც აღარ მოუნდა ფრენა, ჩავიდა ბაქოში, სამედიცინო კომისიას გამოუცხადა, გული მტკიავო. კომისიის აზერბაიჯანელ თავმჯდომარეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაემთავრებინა. თბილისთან საუკეთესო მოგონებები აკავშირებდა და ცოტადენი ქართულიც სცოდნია. ორიოდე სიტყვა გაცვალეს ქართულად და აბესალომმა დღესაც არ იცის, რა ჩანერა ისეთი იმ სამედიცინო დასკვნაში... დაიწუნეს. ასე გადაბარდა სამოქალაქო ცხოვრებაში მომავალი დიდი მეცნიერი.

ჯერ მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში ჩააბარა. მესამე კურსზე რომ იყო, სასწავლებლის ხელმძღვანელო-

**“დმანისის აღმოჩენამ გააცამტვერა გავრცელებული თეორია, რომლის მიხედვითაც ჰომინიდების მიერ დედამიწის ათვისება ქვის იარაღების განვითარებას უკავშირდებოდა”.**  
Scientific American

ბა რაღაც აფორებისთვის დაიჭირეს, სასწავლებელი კი - დახურეს. ამ გზით გახდა აბესალომ ვეკუა თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

წლების მანძილზე პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა განყოფილების ხელმძღვანელის, ახლა ეროვნული მუზეუმის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის, მეცნიერებათა აკადემიის ნეერ-კორესპონდენტის, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატისა და ლირსების ორდენის კავალრის, პროფესორ აბესალომ ვეკუას მეორე და სამუდამო ცხოვრება კი ასე დაიწყო:

- გეოლოგია მაშინ პრესტიჟული მეცნიერება იყო, არაჩვეულებრივად ძლიერი გეოლოგიური სკოლა ჰქონდა საქართველოს. ამ დარგის კორიფეები მასწავლიდნენ - ალექსანდრე ჯანელიძე, ვანო კახაძე, ვანო კაჭარავა, სავლე ჩიხელიძე... მაშინ სტუდენტები სამხედრო სწავლებას

გადიოდნენ, მე, როგორც ყოფილი სამხედრო, ამისგან გათავისუფლებული ვიყავი. ერთ ზაფხულს, როდესაც ჩემი ამხანაგები ე.წ. “ზბორებზე” იყვნენ, აკადემიკოსმა ნიკო სხირტლადემ დამიბარა და მთხოვა, ჩვენი მეცნიერი ქალები ექსპედიციაში მიდიან და კოლექტორად (მუშად) ხომ არ წაყვებიო. სიამოვნებით დავთანხმდი, მით უფრო, რომ ხელფასსაც მიხდიდნენ. იქვე, ამ მუზეუმში იყო პალეობიოლოგიის სექტორი, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი აკადემიკოსი ლეო დავითაშვილი და შემდგომში ჩემი ხელმძღვანელი და მეგობარი აკადემიკოსი ლეო გაბუნია ხელმძღვანელობდნენ.

იქვე შემომთავაზეს, ლეო გაბუნია ჩრდილოეთ კავკასიაში მიდის ექსპედიციაში და თუ ნახვიდოდო. სიხარულით დავთანხმდი, მაგრამ პირველ დღეს ექსპედიციამ გამანსრო... თუმცა, გაირკვა, რომ მანქანა გაფუჭდა და წასვლა გადაიდო. მაშინ გავიცანი ლეო გაბუნია.

- ის ტონანახვერიანი საბარგო მანქანა რომ არ გაფუჭებულიყო, თქვენს ბედს პალეონტოლოგიას დაუკავშირებდით?

- ვერა. საერთოდ მოვხვდებოდი თუ არა ხერხემლიანთა პალეონტოლოგიაში, არ ვიცი. გზად, ჯვრის უღელტეხილზე ეს მანქანა ისევ გაფუჭდა და მე და ლეო გაბუნია ფეხით გავუყვევით გზას და პალეონტოლოგიაზე ვსაუბრობდით. მაშინ დავავადი ამ დარგით...

- რამ მოგხიბლა?

- ჯერ ერთი, თვითონ საყვარელ პროფესიაზე გატაცებით მოსაუბრე ადამიანს აქვს მნიშვნელობა. ერთხელ, მოსკოვური მივიღე ნებიდან ვბრუნდებოდი და ჩემს სრულიად უცნობ თანამგზავრებს ისეთი გატაცებით ვესაუბრებოდი პალეონტოლოგიაზე, რომ ერთ-ერთმა ინანა, უკვე რომ არ მქონდეს სხვა პროფესია, აუცილებლად პალეონტოლოგი გახდებოდი... გადამდებია.

მით უფრო, როცა გათხრებზე ხარ... მთელი დღე მინას ჩიჩქნი, არაფერია, არაფერია, არაფერია და... უცებ რაღაც გამოჩნდება. ცხადია, ხშირია იმედგაცრუებებიც.

ერთ-ერთ ექსპედიციაში მტაცებლის ქვედა ყბა ვნახე და ეს ჩემი საკუთარი ხელით ამოღებული ხერხემლიანთა პირველი მონაპოვარი იყო. მერე მას ლეო გაბუნია სახელი დაარქვა **PROPUTAS ABESALOM**, რაც აფთარს ნიშნავს. ეს იყო ჩემი პირველი ძვალი და ისეთ გრძნობა დამეუფლა, თითქოს ეს ჩემი საკუთარი ძვალი იყო.

პალეონტოლოგია სახელმწიფოსთვის ფუფუნების საგანია, რადგან ამ დარგს ეკონომიკური სარგებლობა არ მოაქვს. ეს განსაკუთრებული მეცნიერებაა, რადგან სიცოცხლის ევოლუციას სწავლობს.

- ამ დარგში მოდის ახალი თაობა?

- თითქმის არა. ახლა გამოჩნდა თითო-ოროლა. ისე კი, ჩვენი ინსტიტუტი დაბერდა. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ძლიერი სკოლა ქრება... 1964 წელს მოსკოვში, პალეონტოლოგიის ინსტიტუტში ხერხემლიანთა პალეონტოლოგების თათბირი ჩატარდა. აქედან საკმაოდ ძლიერი ჯგუფი იყო წარდგენილი. სასტუმროს დერეფანში შემგვდა მსოფლიოში ცნობილი პალეონტოლოგი და ზოოლოგი, ლენინგრადელი ვერეშჩაგინი. ძალიან ძლიერი მეცნიერი და ასეთივე ძლიერი შოვინისტიც იყო. დერეფანშივე მითხრა: ყოჩაღ ლეო გაბუნიას, როგორი მძლავრი მუშტი შეკრა. ჩვენ ეს ვერც მოსკოვში და ვერც პიტერში ვერ მოვახერხეთ...

- ისე, პალეონტოლოგიურ აღმოჩენებში შემთხვევითობის როლი დიდია, არა? ვიღაც მინას გათხრის და ძვლებს წააწყდება...

- კონტინენტური ნალექებში ათასში ერთხელ თუ იქნება ნამარხი. უფრო ხშირად კი, არ არის ხოლმე. წმინდად შემთხვევითობაზე ვართ დამოკიდებული. ჯავახეთის ახალქალაქთან “ამირანის გორა”, იქ ქვიშებია. ვიღაცას ეს ქვიშები საშენ მასალად მიჰქონდა და ძვლები ნახა. ნაპოვნი ძვლები ადგილობრივმა გეოლოგმა მომიტანა და ამ ძვლებში სპილოს კოჭი ვნახე. ცხადი



მფრინავი აბესალომ ვეკუა მარცხნიდან პირველი.

იყო, რომ აქ სპილო დღეს და გუშინ არ იქნებოდა. გათხრებით აღმოჩნდა მილიონი წლის წინანდელი ძალზე მნიშვნელოვანი ფაუნა.

მაგრამ საქართველოში არის ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის - ქვაბების ფაუნა. სილნალის რაიონში, ივრის პირას ფლატეა, სადაც ხელოვნური გამოქვაბულებია. იქ სასულიერო პირებს კელიები ჰქონდათ. დღეს იქ ჩასვლა მხოლოდ ალიპინისტებმა მოახერხეს. იმ მიდამოებში აღმოჩნდა არჩვეულებრივად მდიდარი ფაუნა, რომლის გეოლოგიური ასაკი 3 მილიონი წელია. განსაკუთრებულად მიშენელოვანი ეს ფაუნა აფრიკულმა ფორმებმა გახადა.

**- აფრიკა სილნალში?**

- დიახ, აქ ოდესღაც აფრიკული სავანური ტიპის ლანდშაფტი იყო, სადაც ისეთი ცხოველები ბინადრობდნენ, რომლებიც აფრიკულ ფილმებში გვინახავს.

გარდა ამისა, მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მხოლოდ ახალქალაქშია ნაპოვნი მილიონი წლის წინანდელი პიპოპოტამი, რომელიც ასეთი სახელით არის შესული მეცნიერებაში - "პიპოპოტამუს გეორგიუს ვეკუა". ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო ერთი ხელის დადება ტერიტორიაა და აფრიკაში კი კონტინენტზე გვაქვს საუბარი, მაგრამ, მსგავსი პალეონტოლოგიური (ადამიანების ნაშთების) ადგილსაპოვებელი, რომელიც ჩვენ დმანისის სახით გვაქვს, მსოფლოში არ არსებობს. ეს უნიკალური ადგილსაპოვებელია. რასაკვირველია, გაცილებით მეტი პალეონტოლოგიური ნიმუშია ნაპოვნი აფრი-

საუკუნეების ამ ნაქალაქარის შესწავლა ცნობილ არქეოლოგს, ლევან მუსხელიშვილს დაავალა. მან იქ ერთი წელი გაატარა და დასკვნები წარუდგინა აკადემიას. 70-იან წლებში არქეოლოგი ვახტანგ ჯაფარიძე სტაციონარული ექსპედიციით მიავლინეს ამ ნაქალაქარის შესასწავლად. ექსპედიცია რამდენიმე წელს მუშაობდა. 1982 წელს არქეოლოგებმა კულტურული ფენის ქვეშ ძველი ნალექები ნახეს. გათხარეს, ამოწმინდეს და ცხოველთა უამრავი ძვალი აღმოაჩინეს. ჩვენც ჩავედით, დავათვალიერეთ. პირველმა ძველებმა არ დამაინტერესა, მაგრამ იქ იყო ფრჩხილისხელა ნამსხვრევი, რომელიც მარტორქის კბილი აღმოჩნდა. მომავალ წელს ჩავედი და დავსვი დიაგნოზი - ეს იყო უნიკალური ფაუნა, მილიონნახევარ წელს გადაცილებული პალეონტოლოგიური ძეგლი. მაგრამ, არქეოლოგებთან ერთად ჩატარებული ექსპედიციისას ადამიანის ნახელავი ქვის იარაღები აღმოვაჩინეთ და ის არქეოლოგიური-პალეონტოლოგიური ძეგლი გახდა.

1990 წელს ნოვოსიბირსკში არქეოლოგიური კონფერენცია ჩატარდა, სადაც ქართველთა ჯგუფიც იღებდა მონაწილეობას. დათო ლორთქიფანიძე მაშინ ახალგაზრდა მეცნიერი, ასპირანტი იყო. ამ კონფერენციას ესწრებოდა ევროპაში ცნობილი გერმანელი მეცნიერი, ძველი ქვის ხანის სპეციალისტი ბოსინსკი. დათომ უამბო, თუ რა ნახეს დმანისში. ბოსინსკი იმდენად დაინტერესდა, რომ იმავე წელს ჩამოვიდა თბილისში. მასალა ნახა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორს, ოთარ ლორთქიფანიძეს,



ბორინსკი, ვახტანგ ჯაფარიძე და აბესალომ ვეკუა.



შესანიშნავი ძვლები.

**“ორმა მარტივმა თავის ქალამ მსოფლიოს ყველა პრეისტორიკოსი საჯდომზე მოსვა”.**

Liberation

კაში, მაგრამ, ეს ნაშთები მთელს კონტინენტზე გაბნეული და ყველა ეს ნაშთი დამტვრეული, ფრაგმენტული და იშვიათად დათარიღებულია. ჩვენ კი სულ რაღაც 100 კვადრატულ მოედანზე დმანისში, გვაქვს შესანიშნავი 5 თავის ქალა, 4 ქვედა ყბა, 12-14 იზოლირებული კბილი და დაახლოებით, 50-მდე ჩონჩხის სხვადასხვა ძეგალი.

**- როგორ მიხვედით დმანისამდე?**


- შუა საუკუნეების ნაქალაქარი პატარა დმანისი, მეოთხე-მეხუთე საუკუნიდან არის მოხსენიებული, როგორც დასახლებული პუნქტი, მერვე საუკუნიდან კი ქალაქად იხსენიება. აღმოსავლეთის ქარავნის გზაზე ერთ-ერთი ცენტრალური ქალაქი იყო, ხალხმრავალი და სიცოცხლისუნარიანი. მერე ის მტრებმა ააოხრეს.

მეცნიერებათ აკადემიამ შუა

დათოს მამას თხოვა, გათხრებზე გერმანელ მეცნიერთა ჯგუფიც დაემშვა.

მაშინ ღარიბები ვიყავით, ყოველ წელს ვერ ვთხრიდით დმანისს, 1983-დან 1991 წლამდე სულ სამჯერ მოვახერხეთ გათხრა. ამის შემდეგ აბსოლუტურად მთელ გათხრებს გერმანელები აფინანსებდნენ და ჩვენც არ გავჩერებულვართ.

1991 წელს მთელი ექსპედიცია ისე დავამთავრეთ, რომ ვერაფერი ვიპოვეთ. ჩამოვედით თბილისში. გერმანელი არქეოლოგი გოგონა ანთია იუსტუსი ძვალს წააწყდა. ძირითად შემოუთხარეს, კბილები აღმოჩნდა. გათხრები გააჩერეს, ჩვენ სასწრაფოდ გავქანდით, მაგრამ სანამ ჩავედით, დაბნელდა. იმ ღამეს ვერ გავთხარეთ. ახალგაზრდებმა ცეცხლი დაანთეს და მთელი ღამე დარაჯობდნენ სამარხს. გათენიისას დავიწყეთ, ველოლიავეთ, ვე-



დავით ლორთქიფანიძე, ლეო გაბუნია და აბესალომ ვეკუა.



უძველესი დმანისელი.

ლოლიავეთ და კბილებამდე რომ მივედით, ვნახე, რომ ეს არის რალაც ადამიანის მაგვარი პრიმატი... ზღაპარს ჰგავდა. მსოფლიოში, ალბათ, ასობით პალეონტოლოგია და ერთეულებს აქვთ ბედნიერება, ამას ხელით შეეხონ. ვაცნობთ ეს პრესას, აკადემიას. ორი დღე მოვუნდით გასუფთავებას და საბოლოოდ ხელში მეჭირა მსოფლიო მეცნიერების სანუკეარი ნიმუში - ადამიანის ქვედა ყბა. მაშინვე შევფუთეთ, თბილისში გამოვაქანეთ, დავუკავშირდი ლეო გაბუნიას, დათო ლორთქიფანიძეს. ორი დღე-ღამის ფიქრისა და კვლევის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ეს იყო პრიმიტიული ადრეული არქაული ადამიანი.

ეს ამბავი სასწრაფოდ გავრცელდა, მთელი მსოფლიო აზრიალდა, რადგან ამ დღემდე ანთროპოლოგიაში ცნობილი იყო, რომ ადამიანი პირველად აფრიკაში დაახლოებით 2-2,5 მილიონი წლის წინ წარმოიშვა. იქვე ბინადრობდა მილიონნახევარი წელი და მხოლოდ ერთი მილიონი, ან 600 000 წლის წინ გადმოვიდა ევრაზიაში. ისინი ფიქრობდნენ, რომ ადამიანი იქ ცხოვრობდა და იქვე განვითარდა. ჩვენ კი უცებ ვაქვეყნებთ, რომ მილიონ 800 000 წლის წინ საქართველოში უკვე ბინადრობდა ადამიანი, რომელიც ძალიან ახლოს იყო იმ უძველეს აფრიკულ ადამიანთან.

მთელი თეორემა დაიწერა. ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ზოგს არ სჯეროდა, რომ ეს მართალი იყო, ზოგს ეგონა, რომ არასწორად ვათარილებდით, ზოგს ბლფი ეგონა და მოითხოვდნენ არა მხოლოდ სტატიებს, რომელიც უცნობილეს სამეცნიერო უცხოურ ჟურნალებში იწერებოდა, არამედ უფრო ხელშესახებ მასალას.

კუნძულ იავაზე პირველი უძველესი ადამიანის ნაშთის აღმოჩენიდან 100 წლის აღსანიშნავად ფრანკურტში სამეცნიერო კონფერენცია მოიწვიეს. მთელი მსოფლიოს მეცნიერები იქ წავიდნენ. ლეო გაბუნიამ წაიღო ეს ქვედა ყბა და მეც-

ნიერებს აჩვენა. ასე დაიჯერა მსოფლიომ ჩვენი აღმოჩენაც და დასკვნაც.

ამის შემდეგ 1997 წლამდე არაფერი გვიპოვნია. ერთ დღეს კი, ჩემთან, ლაბორატორიაში გერმანელმა ანთიამ ყუთით ძვლები მომიტანა - ნახე, თუ საინტერესო არაფერია, გადავყრიო. აბა მე ძვლებს ისე როგორ გადავყრი, თუ არ გავსინჯვ. დავათვალიერე და ერთი ნაცნობი ძვალი დავინახე - ადამიანის ფეხის ტერფის მესამე ძვალი. ანთია მაშინვე ეცა ტელეფონს და კიოლნში, ბოსნიისკისთან დარეკა... აქედან დაიწყო სერიული აღმოჩენები.

1999 წლის მაისი განსაკუთრებულად წვიმიანი იყო. ექსპედიცია დაიხურა. ჩვენს თანამშრომელს, გოჩა კილაძეს, ამერიკის საელჩოს ბავშვები წაუყვანია დმანისში. დაუნახავს, რომ წვიმას ქრილი ჩამოუშლია და შაურიანისხელა ძვლის ფრაგმენტი გამოჩენილა. ცხადია, ჩამომოიტანა - ეს იყო თავის ქალა. დათო ლორთქიფანიძემ უცხოეთში მიემგზავრებოდა და ვერ წამოვიდა.

**“ეს საოცრებაა. ნამდვილი რევოლუციის დასაწყისია ადამიანის ევოლუციაში”.**

LA Times

მეორე დილას დმანისში ჯუმბერ კოპალიანთან ერთად წავედი. მთლიანად ამოვჭყრით ბლოკი, წამოვიღეთ თბილისში. დილაზე არ მიძინია, გავწმინდეთ... ჯუმბერი ყოველ წუთს რეკავდა - რა არისო. დილისთვის ხელთ მქონდა დმანისის ადამიანის თავის ქალა. ივნისში მეორე თავის ქალა ვნახეთ.

**- კიდევ რას ელით დმანისისგან?**

- თავის ქალებთან ერთად აუცილებლად უნდა იყოს მილიონ რვაასი ათასი წლის წინანდელი უამრავი ცხოველის ჩონჩხი. გიგანტური სირაქლემა, სპილო, ანტილოპა, მარტორქა, ცხენები, კუ... არაჩვეულებრივი ფაუნა. კიდევ ველით ანთროპოლოგიურ ნაშთებს. გვინდა აღვა-



დედოფლისწყაროში, ტარიზანაში ნაპოვნი 2 მილიონი წლის წინანდელი სპილო.

ადრეული, 3 მილიონი წლის წინანდელი ფაუნა და იცა ვანარმოვით გათხრებს. დღემდე ანთროპოლოგიური ვერაფერი ვნახეთ, მაგრამ გამორიცხული არაფერია და თუ რამეს ვიპოვნით, აფრიკას ვაჯობებთ.

**- აფრიკელებს და დმანისელებს შორის რაიმე კავშირი არსებობს?**

- პირდაპირი ურთიერთკავშირი არ არსებობს, მაგრამ ეს ადამიანები იქიდან არიან წამოსულები. ესენი არიან 1 800 000 წლის წინ აფრიკიდან წამოსულები და წინა აზიის გავლით შემოსულები საქართველოში. ზოგი მეცნიერი ამბობს, რომ ჯერ ადამიანმა დაიწყო მიგრაცია და მას ცხოველები მოჰყვანენ, ეს ძირშივე მცდარი მოსაზრებაა. ჯერ ჩლიქოსნები ეძებენ საარსებო არეს - ნყალს, ბალახს, მათ მისდევენ მტაცებლები, მერე - მოჰყვებიან ადამიანები. ამ ადამიანებს აქ დახვდათ შესანიშნავი შავა, თევზით სავსე მდინარეები, ნოყიერი ნიადაგი, ტყე, ცხოველები. სამუშაო იარაღისთვის აუარებელი

ქვები იყო მდინარის პირას და შესანიშნავად ცხოვრობდნენ.

ახლა დაობენ, მეტყველებდა თუ არა მაშინ ადამიანი, არსებობს ამის შემწავლებელი დარგი... ჩვენთან ექსპედიციაში ერთი ამერიკელი ახალგაზრდა მეცნიერი დადიოდა, მარკი ერქვა. ამერიკაში წელს გაუკეთებია მოხსენება, რომ თითქოს, დმანისში ადამიანის მეორე მალის პოვნის საფუძველზე ჩვენ და მაგან დავასკვნით, რომ დმანისელი ადამიანი მეტყველებდა... დათო ლორთქიფანიძემ სასწრაფოდ გაუგზავნა წერილი და უთხრა, თბილისში შეგიძლია ტურისტად ჩამოხვიდე, დმანისში კი - არაო.

**- ზღაპარით ვისმენ მილიონი წლის ამბებს. რატომ არ ხართ ლექტორი?**

- არიან კაბინეტის მეცნიერები, და საველე მეცნიერები. მე ყოველთვის ეს უკანასკნელი ვიყავი... ძალიან მიჭირს გრაფიკით ცხოვრება და მით უფრო, თუ დავინახე, რომ ოცდაათი მოსწავლიდან ორსაც არ აინტერესებს საგანი. მე ამისთვის დროს ვერ დავკარგავ.



# ბონიო წვიმაში უფრო მიყვარს

ვიცი, რომ, სამწუხაროდ, ზაფხული გავიდა და ახლა უკვე შემოდგომაა. დღეს თბილისში მოღრუბლული, წვიმიანი და ძალიან სევდიანი ამინდია. ისიც ვიცი, რომ ჩემთვის წელიწადი, ფაქტობრივად, ორჯერ იწყება. ერთხელ, როგორც ყველასთვის კალენდარულად, იანვარში, ახალ წელს. მეორეჯერ კი რეალურად შემოდგომაზე - პრობლემებით, საქმეებით, მონატრებული შეხვედრებით, უამრავი მოსაყალიბი, შვილების სწავლით, ფულის უკმარისობით, თავსატეხვებით, ოდნავი სევდიან და ზაფხულის ამბების ნოსტალგიური მოგონებებით. ვიცი, რომ აგვისტოს ცხელი დღეების აღწერა, დღეს, ოქტომბრის დასაწყისში ცოტა არ იყოს დაგვიანებულია. თუმცა, მეორე მხრივ, რა მნიშვნელობა აქვს, იქნება ეს გონიო-კვარიათი, თუ გულაური ან ბაკურიანი? ყველგან თითქმის ტიპური სიტუაციაა და მეტ-ნაკლებად, ერთი და იგივე ხალხი, საუბრის თემები, ინტერესები, ინტონაციები და კურორტული არაფრისკეთება, ფუქსავატობა ჭარბობს. დასვენებისას, გარუჯვისას, ცივი ან ცხელი სასმელის მირთმევისას, ყოველდღიური ყოფითი რეალობიდან გამოთიშვისას, მოდუნებისას სრულიად განსხვავებული სოციალური ფენის, მენტალიტეტის, მატერიალური მდგომარეობის, გარეგნული მონაცემების, ასაკის, მორალური კრიტერიუმების, პროფესიის ადამიანები რაღაც ერთ მთლიანობას ქმნიან, რასაც დამსვენებელი ან, თუ გნებავთ, დღევანდელი ქართული საზოგადოების მიკრო-მოდელი ჰქვია. ერთადერთი, მთავარი მოთხოვნა ის არის, რომ "ერთ ენაზე უნდა საუბრობდნენ" (?) და სწორედ ამ ენაზე ჯერ ყველაფერს ერთად, მეორე კი ცალ-ცალკე ერთმანეთს არჩევენ. ყველამ ყველას ზუსტი ასაკი, ბიოგრაფიული მონაცემები, ცხოვრების მანძილზე დაშვებული შეცდომები, კომპრომისები, სამოპოვლო გვეგები, პიკანტური დეტალები, ფიზიკური ნაკლები, ამბიციები, კომპლექსები და ფარული დარღვევები კი იცის. კურორტზე ტაბუ არავფერს ადევს. კურორტი ნებისმიერ თემას იტანს, ყველანაირ სიღრმეს ზედაპირულსა და მისანდვომს ხდის.



ბულგარული კიტჩი.

წლებიდან დღემდე აგვისტოს აჭარა, გონიო, კონკრეტულად კი ჩემი სახლის წინა ზღვის ზოლი განსაკუთრებული ხალხმრავლობით, სიჭრელით (მაინც, ყველა ერთ ენაზე ლაპარაკობდა!), თემების მრავალფეროვნებითა და ქართველებისგან განსაკუთრებულ შეკავებულობით, ლოიალურობით გამოირჩეოდა. საზღვარგარეთ მცხოვრები და შესაბამისად, დღევანდელი ქართული რეალობით მაქსიმალურად დაინტერესებული მხატვარი, სკეპტიკურად განწყობილი ქიმი, ექსცენტროული უყურო პოეტი, ესტრადის პოპულარული ვარსკვლავი, მსოფლიო ბანკში მომუშავე რეალისტი, წამყვანი თეატრის იდეალისტი მსახიობი, ოპოზიციაში გადასული ექსმინისტი, ხელისუფლების მომხრე დასაქმებულ არქიტექტორთა ჯგუფი, აგრესიული მწერალი ან უფრო მოდურად რომ ვთქვა, პუბლიცისტი, ბიზნესში მოღვაწე მოქალაქე დარდმანი, სახელი-სუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი, უკიდურესად ოპოზიციურად განწყობილი არისტოკრატი კურამიკოსი, მდიდარ კომპანიაში მომუშავე ცხოვრებით კმაყოფილი ახალგაზრდა, ცნობილი ტელეჟურნალისტი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილის ცოლები, ქმრები, ახალგაზრდული მაქსიმალისმითა და რადიკალიზმით განმსჭვალული შვილები, ჩემი აპოლიტიკური ბათუმელი მეგობრები და ერთი რუსი ქალბატონი, რომელიც სისტემატური ხასიათის ფრაზებზე - "რუსეთის ხე-

ბის უტყუარობას ამტკიცებდნენ, ხელისუფლების მომხრეები კი მათ მტკიცებულებებს შეძლებისდაგვარად აქარწყლებდნენ.

აგვისტოს ყოველი დღეა შეზღოვნებისა და ქოლგების ქირაობით, მზის მიმართულებით მათი განლაგებით, პირსახოცების გაფენით, მზიგან დამცავი ან პირიქით გამაძლიერებელი ზეთების ნასმითა და ჩემ სახლთან, ზედ ზღვაზე ახალგაზრდა დისკოტეკა-ფასიანი პლაჟის, მისი მიმდებარე, მენეჯერების, მფლობელების, დიზაინერების, არქიტექტორების (თუ ესეთები საერთოდ არსებობდნენ) და რაც მთავარია, საიდუმლო მფარველის, "კრიშის" ლანძღვით იწყებოდა. ბულგარეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების მიერ გახსნილი დისკოტეკა 2006 წლის საზაფხულო სეზონის ნომერ პირველ მტრად, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული განუწყობილობის, კანონის უმორჩილებლობის, როგორც თბილისი, ნამალს მიაქვს! - იტყოდნენ და დადუმებულ ოპონენტებს გამარჯვებული სახით უყურებდნენ. საუბარი, უმეტესად, აჭარას, იქ მიმდინარე მშენებლობებს, მესაყდებს, ფორმალურად თუ არაფორმალურად გამოცხადებულ ტენდერებს, თურქულ სასტუმროდ გადაქცეულ, დამახინჯებულ, მაგრამ ამავე დროს ძალიან კომფორტულ "ინტურისტს", უსასრულოდამდე გაგრძელებულ, გაშენებულ, განახლებულ ბულვარს, თეატრის მოედნის ენით აღუწერელ ფერთა გამას (ისე, ღებვებთან დაკავშირებით, საქართველოში რამდენი "ესთეტი" მომრავლდა?!), ჩოლოქთან გახსნილ საბავშვო ატრაქციონებს. პატრულის თავაზიანობასა და უუნარობას (ძნელი გადმოსაცემია, რა ხდება აგვისტოში გონიო-სარფის ტრასაზე!), გზების მშენებლობას, ახალ-ახალი კაფეების რაოდენობასა და ხარისხს და უამრავ სხვას ეხებოდა. პლაჟზე კამათს სწირად დეტექტიური ელფერი დაკრავდა და ნებისმიერი მშენებლობის უკან საგარაუდო მალაჩინოსნის ვინაობის დაზუსტება-დადგენას გულისხმობდა. მინდა გითხრა, რომ ამგვარი "ჩრდილოვანი" მფლობელების სია არც თუ ისეთი გრძელი აღმოჩნდა. უმეტესად, სულ რამოდენიმე გვარი მეორდება. ოპოზიციონერი დამსვენებლები ფაქტ-

ცვა; მიძინებული მომტანები; ნელ-ბილი ყავა და ცხელი წვენი და, რაც მთავარია, დისკოტეკა, რომელიც ძველი ჩინეთის ნამების დახვეწილ მეთოდით მიღწეული განსაკუთრებულად ცუდი House მუსიკით დილის 6-7 საათამდე არ აძინებდა. აგვისტოში გონიო-კვარიათში ყველაფერი მუშაობს. ზღვის ზოლზე გახსნილი ათობით ბუნგალოსა და კაფეებში ნემსის ჩასაღები ადგილი არ იყო. "ბულგარულ კიტჩს" კი, ალბათ ლოგიკურად, ერთი კლიენტით არ ჰყავდა. "Сам танцует, сам поет" - მაგათზე იყო ნათქვამი. ბოლოს უსაქმურობისა და სასაზღვრო კვებითი ნებისმიერად გაფიქრებული და ცვა თავად თვრებოდა და ყოველ ღამე House-ზე "უბერავდა". ასეა თუ ისე, ამ ბულგარულ-მენტურ კარიკატურას ვერც უმრავლესობის ლიდერები, ვერც ოპოზიციის ცნობილი სახეები, ვერც პოეტები, ვერც არქიტექტორები, ვერც სოფელი (არაერთი საჩივარი, წერილი დაინერა), ვერც პოლიცია, ადგილობრივი ხელი-სუფლება ვერა და ვერ მოერია. ეტყობა, "კრიშა" ყველაზე ერთად აღებულზე ბევრად უფრო მაღალი იყო. დიდი ფულის, ინვესტირების მონური ფეტიში და ჩრდილოვანი მფარველის წინაშე საქართველოში დღეს ყველა უძმური. "ნახეთ, რას აკეთებენ. ყველაფერი უნდა დამახინჯონ?" "ჩემად ილაპარაკე, იცი ვისია?" "სოფელიც და ჩვენც ფეხებზე ჰკიდიათ"(დისკოტეკის ერთ-ერთმა მენეჯერმა პირადად მითხრა: "რა მნიშვნელობა აქვს, სოფელს თუ არ ძინავს. ისინი ხომ გლეხები არიანო") "განუკითხაობა, ადგილობრივ ხელისუფლებას ემინია", "ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება." "ცივილიზებულ დასვენებას ცივილიზებული სახელმწიფო სჭირდება", "ქვეყანა ერთ დღეში ვერ გამოსწორდება. კანონი ვერ ამუშავდება. აცადეთ". და ა.შ. მოკლედ, ბულგარული დისკოტეკის ანომალიურობის, სიმახინჯის, უკანონობისა და თავგებობის თაობაზე გონიოს სანაპიროზე სრული კონსენსუსი იყო მიღწეული. თუმცა, როდესაც ერთ დღეს არაკორუმპირებულ ხელისუფალთა ჩამოთვლა დაიწყეს, უნდა გამოგვჩვენო, რომ ამ საგანგებოდ მოკლე სიამაც დიდი აზრთა სხვადასხვაობა არ გამოიწვია.

პოლიტიკურად აქტიური, ცნობი-სმოყვარე და შემდგომი კამათების მაროვიციონერული ყველაზე მეტად სიმინდის, ლეღვის, ბურბუქლის, თურქული "სემიჩკის", ინდური სამაჯურებისა და ნიუჯრების ლარნაკების გამოყიდვები იყვნენ. ვაჭრობის პროცესი ერთი მოკლე, გულწრფელი შეკითხვით - "აფხაზეთს დაეიბრუნებ?" იწყებოდა და სიმინდზე მარილის მოყრის მომენტისათვის უკვე რთულ, ხმაურიან პოლემიკაში გადადიოდა. ყველა თავისებურად პასუხობდა, რაც გამოყიდვებისათვის, ალბათ, დამაბნეველიც და არც თუ დიდი იმედის მომცემი იყო. "აბა რა". "ხუმრობთ აფხაზეთს ვინ დაეიბრუნებს", "ერთი მაგარი სპეცოპერაციაა ჩასატარებელი და მორჩა", "მერე როგორ შევინარჩუნებ?" "ნახეთ, აჭარაში რა ხდება. აფხაზეთი თვითონ მოინდომებენ", გზის გაგრძელების წინ გამოყიდვების ნასროლი ბოლო ფრაზა კამათის საბოლოო წერტილს უსვამდა - "მიშა დაგვირდა".

წინა წლებთან შედარებით ნელე-ნდელი ზაფხული მოცურავთა თავებზე შემოიღებოდა მოთარეშე სკუტერების სიმცირით გამოირჩეოდა, რაც პლაჟის საზოგადოებამ საზღვაო დაცვის სამსახურის მოულოდნელი გამოჩენით ახსნა. მტორმის დროს კი ზღვის ზოლზე მეგაფონებითა და სპეციალური ალტურვილობით შეიარაღებული მამულებების დანახვაზე, უბრალოდ, თვალს არ უუყვრებდით. ასეთი რამ ადრე არასდროს ყოფილა. მსგავსი ელემენტარული მაგალითები სახელმწიფოს ჩამოყალიბების კონტურების დასანახად საკმარისი აღმოჩნდა. "არა, ვინ ამბობს, რა თქმა უნდა, რა შედარებაა".

გონიო-კვარიათი, ნელ-ნელა, პატარა ლამაზი ზღვისპირა სოფლებიდან კურორტებად გადაიქცა. თუმცა, ნამდვილი კურორტის მოთხოვნებს ჯერ ვერ აკმაყოფილებენ. იმედია, დრო ყველაფერს გამოასწორებს, დახვეწავს, ცივილიზებულ სახეს მისცემს, კანონის ჩარჩოებში მოაქცევს. ჩემს მიერ შეძლებისდაგვარად აღწერილი ქართული საზოგადოების მიკრო-მოდელის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება გააქტიურდა, მეტ-ნაკლებად ტოლერანტული გახდა, თუმცა, ჭეშმარიტად დემოკრატიულ საზოგადოებად ვერ შორს არის (ჩემ თავსაც ვგულისხმობ). ალბათ, დრო ამასაც გამოასწორებს.

მერე ამინდები გაუფუჭდა. ძლიერმა შტორმმა "ბულგარული კიტჩი" დაანგრია და ამაში ყველამ ერთხმად ბუნების სამართლიანი განგება დაინახა. ერთი-მეორეზე მოწყობილმა წვიმიანმა დღეებმა საზოგადოების გარუჯული მოდელი წამში დაშალა. ყველა თბილისში დაბრუნდა. ზაფხული დამთავრდა. მე კი გონიო წვიმაში უფრო მიყვარს.

**P.S კიდევ ერთი ერთხმად გამოცხადებული დასკვნა, რომ საქართველოში ახალი ტიპის საშუალო ფენა შეიქმნა, რომელიც ლამაზად გამოიყურება, მოდურად იცვამს, საკუთარი ხელფასით შევსდება ზღვაზე ატარებს, მშვენივრად ერთობა და უმეტესად ახალგაზრდებისგან შედგება. "ვინ არიან?" "ვისი შვილები არიან?" "რატომ არავის ვიცნობთ", "სად იყვნენ აქამდე" - არც ერთ ამ კითხვაზე პასუხი არავის ჰქონდა. ალბათ, არც უნდა გვექონდა.**



# ისპაჰანი, ისპაჰანი...

გურამ ქართველიძე

ამოვაცურე:  
- "იქნებ..."

ახლა უკვე დაიღრმავა, თავი შემაცოცდა - ეს გასრიალებული ტაქსი ჩემი არ გეგონოთო, ვინ მომაქვავაო. ამ ტაქსოგარაჟის პატრონი გზად ყუმში გველოდება, თვითონაც ისპაჰანს მიდის და ის ჩაგაბრძანებთ ადგილზეო. მანამდე კი იქნებ ამას მოვეუსმინოთო. - ამხელა განცხადებას არ ველოდი. ჯანდაბას, ყუმი აქვეა, გავძლებ როგორმე. ჟანგანმა აუნია და აუნია იმ კომპარს, მხრების თამამითა და შიგადაშიგ ურდოდანგამოვარდნილის ველური შეძახილებით მიმაყენა ყუმს.

ერთი მსუყე ქართველი გამახსენდა ბიძინა ჩოლოყაშვილისეული კახეთის აჯანყება და ველური ელების ამოყვლა ადამიანის უფლებების დარღვევად რომ მონათლა პირდაპირ ეთერში. ჩვენ გულმხეცობას რა ვუთხარი, თორემ რა ჯობდა ასიათას ამისთანას ძალით რომ შემოგისახლებდნენ აკორებულ კახეთში. ვაზს ცხვარი შეგვიჭამდა და მრავალჯამიერს - ჩემი მძღოლის ეს დიდებული ჰანგი, თანაც ცოცხალი შესრულებით. მუსიკით ნამება პირდაპირ ბაჯალლოქროსგუმბათებიან მეჩეთებთან დამთავრდა.

ლამაზია ყუმი. შიტი მუსულმანებისთვის - ვატიკანი, ქართველებისათვის - ორი ამაგდარი მაჰმადიანი მეფის როსტომისა და მისი შვილობილის ვახტანგ მეხუთე მაჰნავაზის განსაცვენებელი.

თემურ ლენგის ალალს მორჩენილი ჩემი თანამგზავრი დაფაცურდა და ყუმის ტაქსების ბირჟაზე ნასწავლი სპარსული მლიქვნელობით მიელაქუცა ტაქსოგარაჟის არნივიით მეპატრონეს. მივხვდი, ჩემი მოკლე დახასიათება მოახსენა - ვილაც გაქსუებული ევროპელიაო და "პარპრიზიდან" საბოლოოდ დამეღრმავა. არნივმა სიამოვნებით დააბრიალა თვალები და კოხტად გაპრეხილი ერთიერთში იმერული უღვამი ააქცია. გრძელი ხელით ვისარგებლე და უკანა დასაჯდომიდან მაგნიტოფონში ჩემი მტანჯველი დისკის ნაცვლად ნიაზის ფანდური და გალაკტიონი ჩავდე. მაგნიტოფონი დუმდა, გასაღებ-

ის გადატრიალებას ელოდა. დილით ფიქრებში წასული კაცი რომ ქალის მკერდს ეფერება ისეთი გამომეტყველებით აასრიალა საჭეზე ხელები ფრინველთა მეფემ

და ნამში ასორმოცი კილომეტრსაათით გავფრინდით. უცბად მიხვდა, რომ ამით ჩემზე ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა და სარკიდან ამკარად იმერულად გამილიმა.

კარგი სკოლა იყო უნივერსიტეტი ჩემ დროს. აღმოსავლურზე ანდრო ლეკიაშვილმა ანთროპოლოგია ეს არნივი ჩინებული ქართულ-კავკასიური ეგზემპლარი გახლდათ. სპარსელობის ან სხვა ჯიშისა არაფერი ეცხო. ამ დროს ნიაზის ფანდურმაც ჩამოჭრა. არნივი ცოტა გაოცდა, მერე სარკიდან ბედნიერმა გამილიმა და მუსიკამი გადაიკარგა. ჩონგურმა ამკარად ორივეს სევდა დაგვიტოვა და ნიაზიც აღიწინა ფრანგულად.

- ფრანსე? - შემომანათა სარკიდან არნივმა და გალაკტიონის ქართულიც გაისმა. ფრინველთა მეფემ ჯერ სისწრაფეს უკლო, მერე სარკიდან გულუბრყვილო აღტაცებით მკითხა:

- შომა გორჯი ასთი, არე? უკვე დარწმუნებულმა, რომ თანატომელთან მქონდა საქმე ქართულად დაუბრუნე:

- შენ? შენც ხომ გურჯი ხარ? - ხო, გორჯი არ. - და ამას ისეთი გამოფატრული ფერეიდული მოაყოლა, რომ მივხვდი, ისევე სპარსული ჯობდა. აქაურ ქართველებში ნაკლებად იგრძნობა ჩვენებური იერი და არნივის გარეგნულმა გურჯობამ ცოტა არ იყოს, გამაოცა. - როდინდელი ნამოსული გურჯები ხართ-მეთქი. ხელზე ერთი თითი მოლუნა და ოთხასი წლის წინანდელი - მითხრა.

გზისპირას ჩემი ყოფილი მძღოლის გემოვნებით ნაგებ ზიზილ-პიპილო რესტორანს ახალი მწვადის ოხშივარი ასლიდა და გარს ტირიფები ერტყა. ჩამოვჯექით. არნივი საიდ მიქლანი აღმოჩნდა. მისივე სისხლი, ფერეიდული მიქელაძეები ვუხსენე. ფერეიდნის ხსენებაზე შეიმშუმნა და ციცი თავაზიანობით ამიხსნა - ჩვენ ირანს ცხვრებით მორეკილი გურჯები არ გახლავართო. ჩემმა წინაპარმა პირადად მისცა შაჰ-აბასს ფიცო. - უჰ, რა გამახარე-მეთქი - გავიფიქრე გულში ისე, რომ მოსაუბრე არ დამეფრთხო. მოყვა და ჩამოთვალა ირანის დიდებას შენირული წინაპრები და ამისთვის მიღებული ჩინ-მენდლები. სულ აქვე, პაპამისი რეზა შაჰ ფოქლევის პოლკოვნიკი ყოფილა, ხოლო მამა მაჰმადის სამსახურს შედგომია და ეს დამსახურებული ოჯახი ისპაჰანიდან ყუმში გადასულა საცხოვრებლად. არნივსაც უომია ირან-ერაყის ომში. ბოლოს სურათი მიჩვენა და დენთისუნენაყნოსი კაცის სიტყვაძვირობით მომიყვა ნომარი სამი წელიწადი. მერე იმერული თვალისჩაკრით სპარსულად შემევედრა - მარწყვივით ხანუმთან ვაგვიანებ და იქნებ ცოტა ვიჩქაროთო. მანქანასთან მისვლისას უკან დაჯდომის გამო მოვუბოდიშე. ახლა უკვე ბოლომდე გაფრინდა ფრინველთა შაჰი. ცოტა ხანში აქაური თანატომელის ნახვით გამოწვეულმა სიხალისემ გამიარა და გველის ნაკებნივით გამახსენდა წელან ფერეიდნელებზე ნათქვამი "ცხვრებით მორეკილებიო". ეს უბედური იმით ამაცობს, მისმა წინაპარმა ნებით რომ მოიგრო ჩალმა. არნივს რას ვერჩი და მაგისი წინაპრის ნაირებმა აქციეს ღალატი და საკუთარი სისხლით ვაჭრობა ხელოვნებად ჩვენში. სახარებაზე და "ვეფხისტყაოსნის" რაინდულ კოდექსზე გაზრდილმა ბიჭებმა ჯერ შაჰისევანობა (შაჰისმეგობრები ანუ შაჰის საუკეთესონი) დაუმტკიცეს აბას პირველს, მერე თავისნაირი უმამულოდ, ხმლისა და გვარიშვილობის ამპარად დარჩენილი ათასობით თანატომელი მიინეეს ან ძალით ჩაიყვანეს ირანში, აღმოსავლეთი ძარცვეს, ისპაჰანურ ჰარამხანებში ჩაწვენ და ბოლოს ჩვენი ამომგდებელი შაჰის ბრძანებით საკუთარი ქვეყნის დედა ანამეს - ქეთევან დედოფალი. იმამყული-ხან უნდილაქმ შეასრულა, ხოლო ავთანდილების და ტარიელების მოდგმამ პირში წყალი ჩაიგუბა. აბა როგორ გინდა გააგებინო არნივს, რომ მაგის დიდებათს თანამედროვე ელია დიასამიძემ ისპაჰანურ დიდებას მარტყოფის გმირთა ხუთეულში ყოფნა არჩია. ამ დიდი ომის


მთავარ შემომქმედზე აღარაფერს ვამბობ, ისპაჰანური დიდკაცობის გამო დღესაც რომ ვერ იტანენ ზოგ-ზოგიერთები ჩვენში. "შაჰისევანებს" ჩააბარა შაჰ-აბასმა პირველი ოხრეების შემდეგ კახეთი, რასაც მათივე სისხლით მორწყული "სისხლიანი ალავერდობა" მოჰყვა. მერე მარაბული გენოფონდი და ამის ფასად გადარჩენილი ქართლ-კახეთი.

კარგი, სხვა რამეზე იფიქრე, თორემ არნივმა რა დაგიმაჟა? რატომ უნდა აწყენინო?! მიდის, მიაქროლებს და გუგუშს გასმენინებს. თქმდაც არ ღირს, ვერ გაიგებს. აი, მაგის შაჰისევანის დიდებაა ნალდად გაიგებდა, მაგრამ არა მგონია სირცხვილით მომკვდარიყო.

უდაბნოს რიფრაჟმა გადააჭრა და ისპაჰანის მთაგრეხილები გამოაჩინა. ნაყუგაჰანის მოედანზე ვაგერდით. არნივი მანქანიდან ისე მედიდურად გადმოვიდა, მძღოლის დაღლილობა არც შეუმჩნევია. ხელით შემომიხაზა უზარმაზარი მოედანი აბას პირველის სასახლის წინ და სიამაყით მითხრა - მაშინ ამ მოედანზე ძირითადად ქართველები თამაშობდნენო ცხენბურთს. - და ხმლით ეჭირათ ირანის დიდება მეთქი, არა?! საიდ მიქელანმა ჩემი ქარაგმული ქათინაურად ჩამოთვალა, ზემოთხსენებული ხანუმი მოიმიზება და სპარსულ-იმერული შესტებით გაფრინდა.

შაჰაბასის გაზონთან ჯდომამი და წინა ღამეზე ფიქრში იმდენმა დრომ გაიარა, რომ მზე მომადგა. მოედანი გადავჭერი და დიდი ბაზრის კარიბჭის თალის ფრესკაზე დახატული ქართველები კიდევ ერთხელ მოვიხაზულე. კედლიდან აბას პირველის ინდოეთს ლაშქრობა გადმოგვცქერის. შაჰის მარჯვნივ კონია ქართველების ერთი ჯგუფია გამოსახული, რომელიც გაშმაგებით ხრავს მტერს. მათ ყველას ერთნაირი სახეები აქვთ. გამეღიმა. ალბათ ამ ფრესკის ავტორთან ჩემი არნივის წინაპარი პოზირებდა.

მოედანს გავეცალე და "ჩეჰელსუთუნის" (შაჰების ცენტრალური რეზიდენცია) ედემის ბაღში ჰასანას მოღუდულულ ჩაის ჩავუჯექი. ისპაჰანური სიტყვები ნელ-ნელა ჰკლავდა უზარმაზარ ცაცხვებში მოფარფარე ფერეიდულ სივს.



ჩვენს დროში ხშირად ნახავთ წიგნებს უცნაური სახელწოდებებით: "მსოფლიო ლიტერატურის 100 შედეგები", "რა წაგიკითხეთ?", "1001 რომანის შინაარსი" და ა.შ... თავიდანვე უნდა ვითხროთ, რომ ჩემი ახალი წიგნი ამ უნარს არ განეკუთვნება. "პირად ბიბლიოთეკას" ორი დიდი წინაპარი ჰყავს, ხორხე ლუის ბორხესის "პირადი ბიბლიოთეკა" და უმბერტო ეკოს "შიდა რეცენზიები". შესაბამისად წიგნის უნარი თავიდანვე განისაზღვრა როგორც რალაც საშუალო - სალალობო რეცენზიებსა და მოკლე წინასიტყვაობებს შორის. ცხადია ჩემი "პირადი ბიბლიოთეკა" არ გულისხმობს საყვარელ წიგნებს, ასეთი შეიძლება სულ რამდენიმე იყოს, ამიტომ, მკითხველს რომ იმედი არ გაუცრუო, მოკლედ ვიტყვი - კრებულში მხოლოდ გარკვეული პერიოდია ასახული და წერილებიც იმ წიგნებს ეხება, რომლებსაც ამ დროის განმავლობაში ვკითხულობდი თუ გადავიკითხავდი. გათავაზობთ ერთ-ერთ "შიდა რეცენზიას" "პირადი ბიბლიოთეკიდან".



# ალასდერ ბრაი, "საბრალონი"

(1992)

მალსაზ სარაბიანი

როგორ მოგეწონებოდათ, შერლოკ ჰოლმსსა და დოქტორ უოტსონს ერთი ქალი რომ შეეყვარებოდათ და ეს ერთი რჩეული, არც მეტი, არც ნაკლები, "მკვდრეთით აღმდგარი", ასე გვის გადაკერებული მდებრი ფრანკენშტაინი რომ ყოფილიყო?! არადა, ამ რომანში აღწერილი სიტუაცია ნამდვილად განგანწყობთ ასეთი ლიტერატურული თამაშებისთვის, მით უმეტეს, რომ თავად ავტორიც ხაზს უსვამს ნაწარმოების გროტესკულობასა და სხვა სახელგანთქმულ ტექსტებთან ნათესაობას.

"საბრალონი" (რა ვენა, დედნისეულ Poor Things-ს უკეთესი შესატყვისი ვერ მოვუძებნე) გამოსვლისთანავე გახდა უაითბრედისა და გაზეთ "გარდაიანს" ლიტერატურული პრემიების მანიშნებელი, მალე კი ალასდერ ბრაის ვინც პირველი რომანის, "ლანარკის" (1981) გამოსვლის შემდეგ უკვე ცოცხალ კლასიკოსად იყო აღიარებული, საუკეთესო შოტლანდიელი პროზაიკოსის (ვალტერ სკოტის შემდეგ, რა თქმა უნდა) იარლიყიც მიაკერეს.

მათ, ვისაც თვალსა და გონება გავარჯიშებული აქვს, ანუ ვისაც ლამეები უთენებია გოთური რომანების, უმბერტო ეკოსა და მისი ყაიდის სხვა მთხვევლების კითხვაში, პირველივე გვერდიდან მიხვდება, რასთან აქვს საქმე. ამაზე რომანის ქვესათაურიც ბევრს მანიშნებს: "შედიცინის დოქტორის, შოტლანდიის სანიტარული სამსახურის ინსპექტორის, არჩიბალდ მაკქენდელის ახალგაზრდობის ფრაგმენტები, გამოცემული ალასდერ ბრაის მიერ".

მართალია ამგვარი, ავტორის მიერ ვითომ გამოცემული ტექსტი არაერთი უნახავს პოსტმოდერნული თამაშებით განვიხილავდით მკითხველს, მაგრამ "საბრალონი" მინც განსაკუთრებული შემთხვევაა. აქ ოსტატურადაა თავმოყრილი ვიქტორიანული პერიოდის ინგლისური რომანისა და ე.წ. გოთური რომანის ნიშნები; რობერტ ლუის სტივენსონისა და მერი უელის ირონიანარევი გაგვლენა კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. ამავდროულად "საბრალონი" შოტლანდიის საუკეთესო გზამკვლევიცაა, მოგზაურობის წიგნსაც ჰგავს, დეტექტივსაც და კითხვისას არც თორიერისა და მელოდრამის მოყვა-

რულები მოინყენენ. წიგნს სამი მთავარი გმირი ჰყავს, ანუ რომანში თავიდანვე სასიყვარულო სამკუთხედი იკრება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ერთ-ერთი კუთხე აქ ადამიანს კი არა, ურჩხულს უკავია, მშვენიერ ურჩხულს, სახელად ბელა. ქალს, რომელმაც საბოლოოდ მთელი რომანის სივრცე უნდა დაიკავოს. თუმცა, მოდით თავიდან მოვყვებით.

XIX საუკუნის ბოლოს, გლაზგოში ერთი მეტად გულჩვილი, გარეგნობით კი საზარელი კაცი ცხოვრობდა, გოდვინ ბაქსტერი, შვილი ლეგენდარული სერ კოლინ ბაქსტერისა. კოლინ ბაქსტერი თურმე პირველი ყოფილა მედიკოსებს შორის, ვისთვისაც დედოფალ ვიქტორიას რაინდის ნოდება მიენიჭებინა, სახელიც დიდად გაუთქვამს ამ კაცს, მაგრამ რად გინდა, შვილისთვის ვერაფერი უშველია. ბრწყინვალე განათლების მოუხედავად, სამედიცინო პრაქტიკებზე გასულ საზარელ მონსტრს არც ერთი პაციენტი არ იკარებდა და პერსონალიც ხშირად უტევდა ხოლმე. ასე რომ, სულ მალე, ჯერ კიდევ სტუდენტობისას გადაწყდა გოდვინის ბედი, მას იატაკქვეშა ექსპერიმენტებისთვის უნდა მიეძღვნა თავი.

გოდვინს კუჭქვეშა ჯირკვალის არ ჰქონდა თურმე და ამიტომ, იძულებული ხდებოდა თავადვე დაემზადებინა "კუჭის წვენი" და საქმელში გაერია, წვენი ინგრედიენტებს კი საკუთარი განაავალიდანაც იღებდა. მას არ აინტერესებდა ადამიანები, არამედ მხოლოდ ავადმყოფობის ისტორიები, ჰყავდა აუარება ძალი და შიგადაშიგ კურდღლებზეც ატარებდა უცნაურ ცდებს, როგორც ჩანს მომავალი საგმირო საქმეებისთვის ემზადებოდა, ხელს იტყვავდა.

სწორედ ამ დროს გაიცნობენ ერთმანეთს ჩვენი რომანის მთხრობელი არჩიბალდ მაკქენდელი და გოდვინი. ისინი დამეგობრდებიან, სულ მალე კი მათ სულიერ ძმობას კიდევ ერთი ნევრი შეუერთდება, ამჯერად ქალი, სახელად ბელა.

ბელა გოდვინის ექსპერიმენტების პირველი სერიოზული (და როგორც აღმოჩნდა, უკანასკნელი) შედეგი გახლდათ. ბაქსტერი წლების მანძილზე ოცნებობდა საზოგადოების მიერ უარყოფილი, სანაგვეზე გადაგ-

დებული სხეულისა და ტვინის შეერთებით ახალი სიცოცხლისთვის დაედო სათავე და ერთხელაც მას ახალგაზრდა ქალის გვამი "ჩაუვარდება" ხელთ. ამ ქალბატონმა მეცხრე თვეში მყოფმა მოიკლა თავი, ბაქსტერმა კი ჯერ არმობილი ბავშვის ტვინი დედის გვამში გადაწერა და არაჩვეულებრივ შედეგს მიაღწია: 20-30 წლის ქალს მცირეწლოვანის გამომეტყველება მიეცა, ძლივს დააბიჯებდა, ფართოდ გახელილი თვალები და სულ მუდამ ღია პირი კი უფრო ბავშვურ ყურადღებაზე თუ გულუბრყვილობაზე მიაჩნებოდა და არა შიშზე (როგორც უფროსების შემთხვევაში). ერთი სიტყვით, გოდვინ ბაქსტერმა ჩვენს ბელას ბავშვობა წაართვა. ჯერ კიდევ იარებს იშუშებდა "ახალბოილი" პაციენტი, როცა იგი უკვე სრულყოფილი ქალის ცხოვრებით ცხოვრობდა. მას არ გაუფლია ე.წ. შიშის სკოლა და საუბრისასაც, კი არ ფარავდა, პირიქით, გამოხატავდა თავის ვიქტრებსა და გრძნობებს. მან არც ბოროტება იცოდა, არც სიცრუე და პირფერობა და ამიტომ, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რომ მისი სიყვარულიც თავისუფალ არჩევანზე (ანდა სულაც რამდენიმე არჩევანზე) იქნებოდა დამყარებული.

არადა საბრალო, საზარელ გოდვინს თავისი გეგმები ჰქონდა, როცა ბელას აცოცხლებდა. იგი არჩიბალდს უყვებოდა, თუ როგორ ქალზე ოცნებობდა და შემდეგ ყველაფერ ამას ფიზიოლოგიის ენაზე შემდეგნაირად თარგმნიდა: "თესლდანთხევა მხოლოდ მაშინ მომანიჭებს სრულსაიმოვნებას, როცა მას უმალესი ნერვული ცენტრების ხანგრძლივი, თანმიმდევრული აღგზნება მოჰყვება თან. მათი ზეგავლენით კი შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები სისხლის შემადგენლობას ცვლიან არა რამდენიმე წამით (როგორც ორგანიზმის დროს), არამედ რამდენიმე დღით. ჩემი ოცნების ქალი სწორედ ასეთ გრძნობებს ინვევდა. მას ლემის წიგნში გადავყვარე, "შექსპირული ისტორიები". როგორც ჩანს, სერ კოლინის ერთ-ერთი პაციენტს დარჩა".

ხომ ხედავთ, ეს ჩვენი ბელაც ლიტერატურიდან მოვიდა, თუმცა ლემის გარდა მას კიდევ ბევრი წინამორბედი ჰყავდა, ისევე როგორც "საბრალონი" სხვა პერსონაჟებსაც. მაგა-

ლითად გოდვინ ბაქსტერის სახელს მიღმა რამდენიმე რეალური პიროვნება იმალება, მის სრულ სახელში Godwin Bysshe Baxter პირველი შემადგენელი მერი უელის ნამდვილ გვარს, გოდვინს გულისხმობს, ბიმიპერსი ბიმი უელის, მერის მეუღლეს, ბაქსტერების ოჯახთან კი "ფრანკენშტაინის" ავტორს ბავშვობა ჰქონდა გატარებული, ისინი დანდის მახლობლად ცხოვრობდნენ.

ძალიან მალე ლიტერატურული საიქიოდან მობრძანებულმა ამ ქალბატონმა ყველაფერს აუღო ალლო, ლაპარაკიც ისწავლა და ბაქსტერსაც მალე უღალატა მის მეგობართან, არჩიბალდთან. ძალზე საინტერესოა სცენა, სადაც ბელა კალედონია (ეს მისი მეტსახელია) პირდაპირ ეუბნება თავის ღმერთს (ბელა გოდვინს მოფერებით გოდს უწოდებს), რომ იგი ცოლად უნდა გაყვეს მაკქენდელს. ძნელია იმის აღწერა, რაც ამ სიახლეს მოჰყვა, ამიტომ თავად მთხრობელს, სასიძოს მოვუსწინოთ: "მოხდა ყველაზე საშინელი, რაც კი ოდესმე განმიცდია. ბაქსტერი უეცრად ცარიელ პირად გადაიქცა. ეს პირი ნელა და უხმოდ იღებოდა და მალე იმდენად გაფართოვდა, რომ ბაქსტერის თავი მთლიანად დაფარა. პირი იზრდებოდა და იზრდებოდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს უზარმაზარ, კბილებიან გამოქვაბულს ვუცქერდი ცეცხლოვანი დაისის ფონზე. როცა ამ გამოქვაბულმა დაიღრიალა, ვიფიქრე მთელი ზეცა გრგვინავდა მასთან ერთად."

მალე მაკქენდელსაც გაუხსლტება ბელა და ვინმე დანკან პარინგს, კრივის ჩემპიონს გაჰყვება შორეულ მოგზაურობაში. აქედან იწყება ბელასა და მისი "რჩეულების" ხანგრძლივი მიმოწერა, ოლონდ თავიდან მხოლოდ პირველი ასოებით წერდა ბელა, ეკონომიური, დამოფრული მანერით. მაგალითად მოინერებოდა "ნლვ" და უნდა მიმხვდარიყავი, რომ იგი ბაქსტერს ამშვიდებდა "ნულელავი". ინერებოდა ამსტერდამიდან, ფრანკფურტიდან, მარიენბადიდან, ფენევიდან, მილანიდან, ტრიესტიდან, არ დაუტოვებია არც ათენი, კონსტანტინოპოლი, ოდესა, ტიფლისი, ალექსანდრია, მალტა, მაროკო, გიბრალტარი და მარსელი.

ცოტა ხანში მისი სტილი იმდენად

დაიხვეწება, რომ შექსპირის ენით, მისი მეტაფორებით დაიწყებს საუბარს და სულაც შექსპირის საზომით დაწერილ უზარმაზარ პოემას გამოუგზავნის მეგობრებს. წერს ანტიკურ ხელოვნებაზე, ალზრდის, უმუშევრობის, ისტორიის, თავისუფალი ვაჭრობის, თვითმართველობის, იმპერიალიზმის, სოციალიზმის პრობლემებზე, ოდესამი ლეგენდარულ ოდესის კიბეს აღწერს, სადაც ორი ათეული წლის შემდეგ ეიზენშტეინი თავის შედეგს გადაიღებს და საიდანაც, სხვათა შორის, ბავშვიან ეტლს დააგორებს. სხვათა შორის, ბელა იმასაც ხვდება, რომ მას შვილი ჰყავდა.

ამ ამბის შემდეგ ბელა ბრუნდება, გარკვეული დრო სამივენი ერთად ცხოვრობენ, მაგრამ საბოლოოდ იგი მაინც მაკქენდელზე გათხოვებას განწყვეტს (უკვე მეორეჯერ). ჯერის-წერის სცენა დოსტოვესკისეული ვნებებითაა სავსე და ძალიან ჰგავს ერთ ძალიან ცნობილ მონაკვეთს შარლოტა ბრონტეს "ჯეინ ეარიდან". გაგანია ცერემონიალის დროს გამოჩნდება ვინმე სერ ობრი ლე დიმ კოლინგტონი და განაცხადებს, რომ ეს ქალბატონი მისი მეუღლეა და რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარია ვიქტორია ჰატერსლი. სერ ობრის ვიქტორიას მამაც თან ახლავს, ბრაიდონ ჰატერსლი და ამაზე მთხრობელი მახვილგონივრულად შენიშნავს: "ვერ ხვდებოდა ბელა, რომ მის წინ თავისი სხეულის პირველი ქმარი და თავისი ტვინის მამა იდგა, გვერდს კი მას ბელას ტვინის ბაბუა და სხეულის მამა უმშვენივდა." ერთი სიტყვით, დიდი აურზაური იწყება, რომელსაც ახლა აქ სრულად ვერ მოყვები, მითუმეტეს, რომ რომანში ბელა ბაქსტერის ისტორიის კიდევ რამდენიმე ვერსიაა წარმოდგენილი, ზემოთ მოთხრობილთან შედარებით უფრო რეალურებიც, თუმცა ყველაზე საინტერესო მაინც თავად ბელა-ვიქტორია-ბაქსტერ-ჰატერსლი-მაკქენდელის ვერსიაა, წერილი, რომელიც მას სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე დაუწერია და ანდერძად დაუბარებია, მხოლოდ 1974 წელს გახსენით.

ახლა უკვე 2005 წელია და მე გგონი დადგა დრო ეს ანდერძი საქართველოშიც წაიკითხო.



# ფრანგული სადილი ქართული ტიპის თანხლებით



პარიზში ქართველ სტუმრებთან შეხვედრის შემდეგ ესპანეთში გადაღებაზე დაბრუნებულმა ჟურნალისტმა დეპარტიემ "ტარო ვაინის" ტიპი თან გაიყოლა.

ნესტან ნიჟარაძე

წარმატებული მოლაპარაკებებისა და ჟურნალისტური დეპარტიესთან სადილის შემდეგ, რომელიც პარიზში ცნობილი ფრანგი მსახიობის რესტორანში, La Fontaine Gaillon შედგა, ქართულ კომპანიას "ტარო ვაინი" და ჟურნალისტურ ფრანგულ კომპანიას "შატო დე ტინი" შორის ხელშეკრულება გაფორმდა. "ტარო ვაინი" ჟურნალისტურ დეპარტიეს ღირებულების ქართველი იმპორტიორი გახდა და ქართული ღირებულების საფრანგეთში პოპულარიზაციის პერსპექტივებიც დასახა.

ყველაფერი სატელეფონო ხარით დაიწყო. კომპანია "ტარო ვაინი" დამფუძნებლის დავით ზოდელავას სურვილს ჟურნალისტური დეპარტიეს კომპანიასთან მოლაპარაკება დაეწყო, ცნობილი ფრანგი მსახიობი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. "როდესაც ჟურნალისტურ დეპარტიემ შეიტყო, რომ ქართველ მედიკურებს მასთან შეხვედრა სურდა, იგი დაუფიქრებლად დათანხმდა," - მიაბობს დავით ზოდელავა. "მან შეხვედრა რამდენიმე დღეში დაგვინიშნა და გვთხოვა, მიგველო სადილზე დაპატიჟება მის პარიზულ რესტორანში. ჩვენც დიდხანს არ გვიფიქრია და კანიდან, სადაც იმჟამად ვიმყოფებოდით, პარიზში გავემგზავრეთ". თავად ჟურნალისტური დეპარტიე კი ქართველი სტუმრების მისაღებად და სამასხინდლოდ პარიზში ერთი დღით ესპანეთიდან, "ასტერიქსის და ობელიქსის" მორიგი სერიის გადაღებებიდან ჩამოვიდა.

### შეხვედრა "გაიონის შადრეპანში"

ფრანგებს ნამდვილად უყვართ საქმიანი სადილები. ყოველ შემთხვევაში, საქმის გამო სადილის გადაღებას ნამდვილად ურჩევნიათ სადილის დროს საქმეზე ლაპარაკი. განსაკუთრებით, ისეთ გურმანებს, როგორც ჟურნალისტური დეპარტიეა. შესაბამისად, საქმიან გარიგებაზე სალაპარაკოდ სტუმრების საკუთარ რესტორანში "La Fontaine Gaillon" დაპატიჟება მისთვის სასარგებლოა და სასიამოვნოს ბუნებრივი შეთავსება გამოვიდა. მითუმეტეს, რომ ცნობილი ფრანგი მსახიობი არანაკლებ ცნობილი გურმანია და კერძების დეგუსტაციას და მათ მომზადებასაც ერთნაირი თავდავიწყებით ეძლევა. გარკვეული კერძების და შესაბამის გარემოში ხელით ჭამაც კი უყვართ და ამბობს, რომ ამ დროს "უკეთ გრძნობს და აფასებს კერძის ყველა ღრსებას."

ევა კერძების შეკვეთაში და რესტორნის მზარეულების საქმიანობაშიც და არც იმას მალავს, რომ მისი რესტორნის ღირებულების სარდაფი განსაკუთრებული მთელს პარიზში. როგორც აღმოჩნდა, დათქმულ დროს, განსაკუთრებული ქართველი სტუმრების მისაღებად განსაკუთრებული ღირებულების სარდაფიც და სამზარეულოც ცნობილი შეფ-მზარეულის ლორან ოდიოს მეთაურობით სრულ მზადყოფნაში იყვნენ. თავად ჟურნალისტური დეპარტიე კი ორი მობუღეული ტელეფონით, ურცხვი სატელეფონო წიგნაკებით ხელში, ცხვირზე სათვალის, ენერგიული, მხიარული და თანამედროვე კინოს მეგავარსკვავისთვის ძალიან უმუალო, თავისი ღირსის კომპანიის "შატო დე ტინი" დირექტორის კრისტოფ ზლანკის თანხლებით ქართველ სტუმრებს რესტორნის შესასვლელთან დახვდა. საქმიანი ქართულ-ფრანგული სადილიც დათქმულ დროს დაიწყო და ძალიან ქართულ-ფრანგულად წარიმართა.

### ფრანგული სადილი ქართული შარბით

ფრანგებმა იციან სტუმრების მიღება. ისინი ამას დახვეწილად - ფრანგული შიკით, ზედმიწევნით თავაზიანად, მაგრამ თავშეკავებით აკეთებენ. მათ უყვართ სტუმრების გაკვირვება და მოხიბვლა. მაგრამ, როდესაც სტუმრებს, თან ქართველ სტუმრებს საკუთარ რესტორანში ჟურნალისტური დეპარტიე მასპინძლობს, თავშეკავება და ფრანგული დახვეწილობა, ისევე როგორც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სტუმრების მიღების მკაცრად განსაზღვრული ფრანგული რეგლამენტი, ცნობისმოყვარეობით გამოწვეულ მომხიბვლავ თავშეკავებას და დეპარტიესთვის ჩვეულ ეგზალტაციას უთმობს ადვილს. იგი არ მალავს, რომ აინტერესებს ყველაფერი ახალი და უცნობი და უხარია, როდესაც ახლის აღმოჩენა ესოდენ სასიამოვნო სიურპრიზად იქცევა ხოლმე. ხოლო როდესაც ჟურნალისტური დეპარტიე უხარია, იგი ხმაურობს. და როდესაც იგი ხმაურობს, ეს ყველას ესმის - ახლოსაც და შორისაც. სწორედ ამიტომ, რესპექტაბელურ რესტორანში, სადაც მისი რესპექტაბელური კლიენტებისთვის - სასტუმრო "რიცის" სიახლოვეს მდებარე უძვირფასესი საიუველირო ბუტიკების და ბანკების მფლობელები არიან და სადილის დროს ჩურჩულით ლაპარაკობენ - ქართულ-ფრანგული სადილი შეუმჩნეველი არ დარჩა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველ სტუმრებთან ჟურნალისტური დეპარტიე აჟიოტაჟის გარეშე ვერ ჩაიარა.

პატივისცემის ნიშნად სტუმრებისთვის კერძები და ღვინოც თავად ცნობილმა მსახიობმა და მისმა კომპანიისმა კრისტოფერ ზლანკმა შეარჩიეს. მენიუ შთამბეჭდავი აღმოჩნდა: ლანგუსტების რავიოლი, ნემები ანუ აზიური ბლინები კიბორჩხალებით, შემწვარი თევზი ლუდოვიკ მეოთხემეტს რეცეპტით, დესერტზე ნამცხვარი "ნაპოლეონი" და ცოცხალი მარწყვის სალათი. აკომპანიმენტად კი თავად დეპარტიეს ცნობილი ვარდისფერი ღვინო "კაბერნე დ'ანჟუ", რომელიც სადილის ბოლოს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მალე ქართულ ბაზარზეც გამოჩნდება (მშრალ ნითელ ღვინო "გროლოსთან" ერთად), რადგან ქართული ღვინის კომპანია "ტარო ვაინი" სწორედ ჟურნალისტური დეპარტიეს ღვინოების ქართველი იმპორტიორი გახდა. "ტარო ვაინის" დამფუძნებლის, დავით ზოდელავას აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გარიგებაა. "ქართული და ფრანგული ღვინოები ერთმანეთს კონკურენციას არ უწევენ. ამიტომ კარგი, ხარისხიანი ფრანგული ღვინო ქართულ ბაზარზე თავის ნიშას დაიკავებს. ხოლო, ისეთი ცნობილი ღვინის მწარმოებლის და პიროვნების, როგორც ჟურნალისტური დეპარტიეა, საქართველოში დაინტერესება მხოლოდ ჩვენი ქვეყნის და მითუმეტეს, ქართული ღვინის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს საზღვარგარეთ. მითუმეტეს, რომ ჟურნალისტური დეპარტიე ახლა საქართველოშიც ფლობს ვენახებს. ჩვენმა კომპანიამ მას საჩუქრად ქინძმარაულში ერთი ჰექტარი ვენახი გადასცა. სამომავლოდ კი, ქართული ღვინის ევროპულ ბაზარზე გატანასაც ვგეგმავთ." - განმარტავს დავით ზოდელავა.

### ტიპით მოხიბვლილი

ემოციურად დატვირთული საქმიანი სადილის მსვლელობამ La Fontaine Gaillon-ში მოულოდნელად მაშინ დაიწყო განვითარება, როდესაც დავით ზოდელავამ ჟურნალისტურ დეპარტიეს თბილისიდან საგანგებოდ მისთვის საჩუქრად ჩამოტანილი "ტარო ვაინის" ტიპი გადასცა. ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა, რომელსაც ალტაცების და ალფროთვანების დამალვა არ სჩვევია ხოლმე, საჩუქრის მიღებით გამოწვეული სიხარული ვერც მამინ დაფარა. "ხომ ნამდვილად მარჩუქეთ? ხომ შემიძლია თან წავიღო?" - არაერთხელ იკითხა მან და ქართული ტიპი ფრანგულ გულში ჩაიკრა. "იცით ეს ტიპი, გაბერილი მუცლით ძალიან ჰგავს იმ პერსონაჟს, რომელსაც ახლა ვასახიერებ ფილმში "ასტერიქსი და ობელიქსი". როგორც შემდგომში კრისტოფ ზლანკისგან შევიტყვეთ, სადილის შემდეგ გადაღებებზე ესპანეთში დაბრუნებულმა ჟურნალისტური დეპარტიემ "ტარო ვაინის" ტიპი თან გაიყოლა. ისე რომ, არც ის არის გამორიცხული, რომ "ასტერიქსის და ობელიქსის" მომდევნო სერიებში ჟურნალისტური დეპარტიე ქართული ტიპით ხელში მოეგონოს მსოფლიო მაყურებელს. ვნახოთ!

ტიპით აღფრთოვანება ქართული "საფერავით" აღფრთოვანებით გაგრძელდა, რომელიც ფრანგ მსახიობს საჩუქრად "ტარო ვაინის" სახელით ასევე დავით ზოდელავამ გადასცა. ჟურნალისტური დეპარტიემ ბოთლი თავისი ხელით გახსნა და იქვე დააგემოვნა. როგორც აღნიშნა, ღვინოს ძალიან საინტერესო, უჩვეულო და მდიდარი გემო აქვს. შემდეგ კი გულწრფელად აღიარა, რომ უკრინაში ვიზიტის დროს იგი კიევში სწორედ ქართულ რესტორანში დააპატიჟეს. "ძალიან მომეწონა ქართული სამზარეულო, ყანითაც დავლიე ღვინო და მშვენიერი ქართული სიმღერებიც მოვისმინე. ისე რომ, ვფიქრობ, დროს საქართველოში ჩამოვიდე და ჩემი თვალთ ვნახო ქვეყანა, რომელზეც უკვე ამდენი მსემენია". როგორც გამოცდილმა მედიკურმა, ჟურნალისტური დეპარტიემ უკვე ისიც იცოდა, რომ საქართველო ღვინის მწარმოებელი უძველესი და ტრადიციებით მდიდარი ქვეყანაა.

### "ტარო ვაინი" და "შატო დე ტინი"

ჟურნალისტური დეპარტიეს ვიზიტი საქართველოში შემოდგომაზე იგეგმება. მანამდე კი, "ტარო ვაინის" და "შატო დე ტინის" შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ჟურნალისტური დეპარტიეს კომპანიის მიერ წარმოდგენილი ორი ღვინო - ნახევრად მშრალი ვარდისფერი "კაბერნე დ'ანჟუ" და ნითელი მშრალი "გროლო" მალე ქართულ ბაზარზე გამოჩნდება. "გარდა ამისა, - ამბობს დავით ზოდელავა, - "ტარო ვაინი" კიდევ მრავალ სიურპრიზს ამზადებს. ჟურნალისტური დეპარტიეს ღვინოები საქართველოში სასაჩუქრო ფორმით გაიყიდება. ჩვენი სურვილია ასევე, რომ დეპარტიეს ღვინოები და ჩვენი ბრენდი "ნანის ვენახებიდან" ერთმანეთს დაუკავშიროთ. და ეს ყველაფერი ძალიან მალე მოხდება. ღვინო უკვე გზაშია."

ასე რომ, ღვინო გზაშია, ქვემარტება კი ღვინოში. ეს ჩვენც ვიცით და ჟურნალისტური დეპარტიეც.



სადილი ჟურნალისტური დეპარტიეს რესტორანში "La Fontaine Gaillon": დავით ზოდელავა, ელენე კეჭაყმაძე, ნესტან ნიჟარაძე და ჟურნალისტური დეპარტიე. პარიზი. 2006 წელი.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

ბენედეტო კროჩე

# მკვლელობაბისა და ყაჩაღობისთვის კავკასიაში

ედუარდ არიქსონი,  
მედიცინის დოქტორი  
გამოქვეყნებულია წელიწადულში "ფსიქოლოგიის,  
კრიმინალური ანთროპოლოგიისა და პინოტიზმის მაცნე"  
აკადემიკოს ვ. მ. ბებტერევის საერთო რედაქციით.  
სანქტ-პეტერბურგი, 1906

რუსულიდან თარგმნა  
ლილია ბაზარაშვილმა

მკვლელობებითა და ყაჩაღობით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემაჯავალ ქვეყანათა შორის კავკასიას პირველი და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება ენერგიულად იბრძვის ამ სახის დანაშაულებათა წინააღმდეგ, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის განათლებაზე დიდი მატერიალური სახსრები იხარჯება. ბუნებრივია, რომ ეთნოფსიქიკით დაინტერესებულ ფსიქიატრსა და ფსიქოლოგს, ასევე ანთროპოლოგსაც შეიძლება აზრად მოუვიდეს შეკითხვა: აქვს თუ არა კავკასიაში გავრცელებულ მკვლელობათა და ყაჩაღობის ეტიოლოგიაზე გავლენა ამ მხარეში მოსახლე ცალკეული ტომებისა და რასების ფსიქიკის თანდაყოლილ ნიშნებს, თუ ასრულებს ამ დანაშაულებებში გარკვეულ როლს აგრეთვე ადამიანების ფსიქიკური და ნერვული დაავადებები? ვეცადოთ ამ რთულ, მაგრამ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხში თუნდაც ზედაპირულ გარკვევას.


ქართველები, რომლებიც დასახლებულია თბილისის გუბერნია, კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე კულტურული ხალხია და მათ უკვე XII-XIII საუკუნეებში მიაღწიეს ცივილიზაციის საკმაოდ მაღალ საფეხურს. ისინი ყოველთვის გამოირჩეოდნენ მებრძოლი ბუნებით და საუკუნეთა ხანგრძლივი რიგის განმავლობაში მეტ-ნაკლებად წარმატებულად იცავდნენ თავიანთ ეროვნულ დამოუკიდებლობას ბერძნებთან, რომაელებთან, სპარსელებთან, არაბებთან, თურქებთან და ა. შ. ბრძოლაში. საქართველოს ტერიტორიაზე დიდებულ ციხესიმაგრეთა სიუხვე მონიშნავს ისტორიულ ძნელბედობაზე, უახლოეს მეზობლებთან სისხლიან ურთიერთობასა და ქვეყანაში მრავალი მხრიდან შემოჭრილი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაზე. მატიაანეები და სხვა ისტორიული წერილობითი საბუთები, თავის მხრივ, გვარწმუნებენ, რომ საქართველოში, ისევე როგორც, საზოგადოდ, კავკასიაში, განსაკუთრებული ძალადობით გამოირჩეული სისხლიანი ომები და შუღლი ოდითგანვე სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რაც შეეხება ხალხის შინაგან ცხოვრებას, საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე თუმცა კი არსებობდა სასამართლო, ფაქტობრივად სუფევდა ადამიანის პიროვნებაზე ძალადობა და განუკითხაობა. ადამიანის სიცოცხლე საკმაოდ იაფად ფასობდა და თითოეული იძულებული იყო, საკუთარი ძალებით დაეცვა თავისი ინტერესები. დღეს ქართველები, როგორც ადრე, მებრძოლი, გულფიცხი, გრძობებს აყოლილი არიან; მრისხანება მათში ძალიან ადვილად იფეთქებს ხოლმე, მოქმედება კი სწრაფად მოჰყვება. კავკასიაში მოსახლე ყველა ადგილობრივ ტომთან შედარებით ქართველები გამოირჩევიან უმეტესი გულუბრყვილობით, სიალაღით, უდარდელობით

თა და ქეიფისა და დროსტარებისკენ მიდრეკილებით. უქმე დღეებში დუქნების მახლობლად მუდამ ისმის მუსიკა, სიმღერა, ჩხუბი, ყვირილი, სიცილი. ოჯახებშიც, ნებისმიერი საბაბით ასევე მხიარულებას ეძლევა ხოლმე მოხუცი თუ ახალგაზრდა, კაცი თუ ქალი, სტუმარი თუ მასპინძელი. ამგვარი ხასიათის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ ქეიფისას თავისუფალ დროს, სატაძრო დღესასწაულზე ან სხვა ადგილასა და დროს, მათ შორის ხშირად ხდება შელაპარაკება, რომელიც ადვილად მთავრდება სავალალო დრამით. ყაჩაღობის მიზნით, განსაკუთრებით კი ორგანიზებული ბანდების საშუალებით მკვლელობებს ქართველები გაცილებით უფრო იშვიათად იღებენ. როგორც ყოველ ტომს, ქართველებსაც საკმაოდ აქვთ ხასიათის ნიშნები, რომლებიც მემკვიდრეობით გადაეცემა და ევროპულ საზოგადოებაში ერთბაშად თვალშისაცემია. ეს კავკასიელი აბორიგენების საერთო და ყველასათვის ცნობილი თვისებაა. რამდენადაც შეიძლება დავასკვნათ ისტორიული საბუთების საფუძველზე, ქართველთა ხასიათის ძირითადი თვისებები 1500 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. (აუცილებელი განმარტება: ქვემოთ ტექსტში გვხვდება ქართველთა სუბეთნიკური და ეთნოგრაფიული ჯგუფები: მეგრელები, სვანები, ლაზები, ქართლები, კახელები, იმერლები, თუშები, ხევსურები, ფშაველები, მთიულეები, მოხევეები, რაჭველები, ლეჩხუმელები, გურულები, აჭარლები, მესხები, ჯავახები, ინგილოელები — რედაქტორის შენიშვნა).

ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრები და ქართველებთან სისხლით დაახლოვებული იმერლები, მეგრელები და გურულები მათი მსგავსნი არიან ისტორიული წარსულითა და ტემპერამენტით. სიამოვნების, ალტაცებისა და მხიარულების გამოხატვაში ისინი უფრო თავშეკავებულნი



Хевсур



Грузины

## "В могучих объятиях"

სამოქალაქო სასამართლოში უპირველესი როლი ეკავა სამიჯნაო საქმეებს. ამ სტრიქონების წამკითხველი ყველა ქართველისათვის სამიჯნაო დავის ერთი ხსენებაც კი საკმარისია, და საუბრის გაგრძელება აღუდამჭირდება იმაზე, თუ სამიჯნაო პროცესებმა - 1. როგორ დააქცია და განაწმინდა საქართველო; 2. როგორ შეურყია საბოლოოდ ხალხს ნდობა მართლმსაჯულებისადმი; 3. როგორ აქცია დავაქრობა-მოდავეობა საყვარელ სპორტად და ხშირად - სარფიან პროფესიადაც. შევეცადები არაქართველთათვის მოვიყვანო რამდენიმე ფაქტი, კვლავაც მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად. თითქმის არ ყოფილა ისეთი სამიჯნაო პროცესი, სისხლის სამართლის დანაშაული რომ არ მოჰყოლოდა. თბილისისა თუ ქუთაისის საოლქო საოლქო სასამართლოების სამიჯნაო განყოფილება სისხლის სამართლის განყოფილებისათვის საქმის მიმწოდებელი იყო და სამიჯნაო განყოფილების პროცესთა ნახევარი მაინც საბოლოოდ სისხლის სამართლის განყოფილებაში წყდებოდა. ამის მიზეზად ყბადადებულ "კავკასიურ ტემპერამენტს" სულ ტყუილად უბრაოდ დავასახელებდით. ეს მხოლოდ ტემპერანტების ბრალი რომ ყოფილიყო, მაშინ ეგრეთ ნოდებულ "რომანტიკული" დანაშაულებანი რაოდენობით უსათუოდ გადააჭერებდა "სამიჯნაოებს". ისე კი, უცდომლად შეიძლება მათ შორის ასეთი პროცენტული შეფარდება დავადგინოთ: ერთ რომანტიკულ დანაშაულზე მოდიოდა ორმოცდაათი სამიჯნაო ოჯახები, რომელთა წევრებიც სამიჯნაო გარჩევების დროს ერთმანეთს ანდა ნათესავ-მეზობლებს არ კლავდნენ, არ ასახიჩრებდნენ, ისეთივე იშვიათობა იყო, როგორც თეთრი ყვავი. ურთიერთკეთილმეზობლურად მცხოვრები სოფლები, როგორც კი მიჯნის გავლების უწყება მიუვიდოდათ, ადგილობრივ განყოფილებაში "საომარ მდგომარეო-

ბაში" ცხადდებოდნენ - და ხდებოდა ყოველივე ის, რაც ომებში ხდება: მოქმედ ძალთა მობილიზაცია, სახლკარის გადაწვა, ნათესების მოხრება, საქონლის რეკვიზიცია და დიდძალი დანაკარგები დაჭრილთა თუ მოკლულთა სახით. გადარჩენილთათვის კი საომარ მოქმედებათა ეპილოგი ასეთი იყო: სანამ მათი საქმეები იმავე სასამართლოში, ოღონდ სისხლის სამართლის განყოფილებაში ირჩეოდა, ისინი წინასწარ პატიმრობას იხდიდნენ თბილისის მეტეხის ციხეში, ხოლო განაჩენის გამოტანის შემდეგ ნაკლებად თუ მეტად მოშორებულ ადგილებში იგზავნებოდნენ. სამიჯნაო პროცესები, ერთი თაობა შემდგომ თაობას რომ გადასცემდა ხოლმე, ზოგჯერ 50-60 წელი გრძელდებოდა და რეფორმამდელ სასამართლოთა და პალატათა კანცელარიებიდან საოლქო სასამართლოთა სამიჯნაო განყოფილებებში და უფრო ზედა ინსტანციებშიც გადადიოდა. კუშკის შემდეგ, 80-იანი წლების ბოლოს, ინგლისთან ომის საფრთხე რომ მოახლოვდა და მნიფდებოდა ინგლისელთა მიერ საქართველოს დაკავების შესაძლებლობა, მთელ საქართველოში ყველას პირზე ეკერა ერთ-ერთ "სამიჯნაო" მსხვერპლის, თავად კ. მ. ო-ს ოხუნჯობა: "ბოლოს და ბოლოს, ამ ჩემს დეიდებთან ინგლისელები ხომ მაინც გამყრიანო!" ბ. მ. თავადების მიერ ს. თავადებთან მიწის გაყოფის პროცესი გრძელდებოდა 80 წელზე მეტ ხანს; 50-იანი წლებში მოკლულ იქნა თავადი ა. ი. ს. ცოლთან, თავადის ასულ ბ. მ.-სთან და სამ შვილთან ერთად; ამავე პროცესის დროს 70-იან წლებში თავადმა ბ. მ.-მ საფანტის გასროლით დააბრმავა სხვა თავადი ბ. მ.; 80-იან წლებში კი იმავე პროცესზე თვით სასამართლოს შენობაში 22 წლის თავადმა ს.-მ დაჭრა 76 წლის თავადი ბ. ნ.

ქართული მწერლობა, ტ. 22, თბ.: ნაკადული, 2004, გვ. 415-417.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

ბენედეტო კროჩე

არიან, ნაკლებად ემორჩილებიან ბედს, ნაკლებად უდარდელნი და კეთილნი არიან. იმერლები მათ შორის ყველაზე ამპარტავანნი და შურისმაძიებელი არიან და, სხვათა შორის, ახასიათებთ დაეპარობისკენ საოცარი მიდრეკილება. თუმცა ეს უკანასკნელი თვისება შეინიშნება კავკასიაში მცხოვრებ ბევრ ტომში, გასაკუთრებით ბერძენთა შორის, რაც ხშირად იწვევს სისხლიან შედეგს. გურულები ქართველებზე და იმერლებზეც კი მეტად გულფიცხნი არიან, თავმოყვარეობა მეტად აქვთ გამოხატული, ამასთან ერთად ისინი გულადნი, მამაცი და ცბიერნი არიან, თანაც მშვენივრად ისვრიან მიზანში. გურულები კარგი აგებულებისა არიან, ლამაზები, ხოლო ურთიერთობაში — თავაზიანი და დელიკატური, აქვთ კეთილშობილი ქცევა და საკუთარი ღირსების შეგრძნებით არიან აღსავსენი: სულის სიღრმეში პოეტები არიან და უფრო გრძობებიან და ვნებებით ცხოვრობენ, ვიდრე განსჯით. როგორც მძარცველები, ისინი არა მარტო თანამემამულეთა, არამედ უცხოელთა შორისაც სარგებლობენ რაინდთა სახელით. მაგალითად, როცა მათ მიერ გაძარცვული ვაჭრები ეტლში მანდილოსნებთან ერთად მგზავრობენ, გურულები ამ უკანასკნელთ შესამჩნევი გულწრფელობით სთხოვენ პატივებს მიყენებული უხერხულობის გამო. გურულები და იმერლები ქართლებზე მეტად მუყაითნი და მოჭირნენი არიან.

მეგრელები, რომლებსაც ქართველური ჯგუფის ტომებთან მრავალი საერთო თვისება აკავშირებს, მაინც გამოირჩევიან ქურდობისაკენ მიდრეკილებით. ახასიათებთ ვაჭკაცობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პატიოსანი თუ უპატიოსნო ქმედებების სიყვარული და ამაში იმერლებსა და გურულებზე ნაკლებ დაჟინებულნი არ არიან.

თავისუფლების სიყვარული ყველა ქართველურ ტომს ახასიათებს, მაგრამ ნამდვილ ქართველებს — ყველაზე ნაკლებად, რადგან ისინი, მაგალითად, რუსების წინაშე საკმაოდ დათრგუნულად გრძნობენ თავს. რელიგიური არიან ყველანი, მაგრამ რელიგია, როგორც ეტყობა მცირედ აკავებს ძალადობისკენ მიდრეკილებას, თუკი ამ უკანასკნელის საბაზი ჩნდება. გურულები, მაგალითად, სხვა დასახელებულ ტომებთან შედარებით მკვლევლობისა და ყაჩაღობის განსაკუთრებით ბევრ მაგალითს იძლევიან სწორედ მარხვისას, რასაც მკაცრად იცავენ, და საეკლესიო დღესასწაულებზე. თუმცა ქართველების, იმერლების, გურულებისა და მეგრელების პატრიოტიზმი არ მიდის მშობლიური სახლის, საკუთარი სოფლის, საყვარელი ხეობების, მთების, ტყეებისა და კორძების მიმართ სიყვარულზე შორს, ტომთა შორის შულის შედეგად ჩადენილი მკვლელობები მაინც საკმაოდ ბევრია, განსაკუთრებით ბოლო დროს, როცა

თავი იჩინა ეკონომიკურმა მოუწესრიგებლობამ და გონების საერთო დაბინდვამ.

აჭარლები მკაცრი ზნეობისა და პირქუში სახის ხალხია, მათ ახასიათებთ სიურჩე, სიფიზლე და საკუთარი ღირსების შეგნება. ეს მამაცი, ბრგე, ფიზიკურად ძლიერი ხალხია. მუსლიმური სარწმუნოება, მთის ლანშაფტი, ველური უღრანი ტყეები ამუხრუჭებს სულის მხიარულ განწყობას, ადამიანების ყველა ქმედებას სერიოზულობის დაღს ადებს. აჭარლების ურთიერთობებში შეინიშნება საოცარი დისციპლინა, რაც განსაკუთრებით მჟღავნდება მუსლიმური დღესასწაულების დროს, როცა მოსახლეობის მთავარი სიამოვნება გამოიხატება მეგობართა და ნაცნობთა მოკრძალებული მონახულებით. აჭარულ სოფლებში არ ისმის ცეკვა-სიმღერა და საკრავთა ხმა. არც ჩხუბი და აყალმაცალი გვხვდება. ირგვლივ უჩვეულო სიჩუმე სუფევს და ყოველივე ერთგვარ მოსაწყენ სიმშვიდეშია ჩაძირული, ხეებზეც კი იშვიათად შრიალებს ფო-

ლით გამოასალმოს სიცხოცხლეს მტერი — აი, მისი დევიზი.

ნარსულში აჭარელი ყაჩაღები მთელს არე-მარეს შიშის ზარს სცემდნენ, თვით აჭარაში კი მთავარ გზებზე ვერ გაივლიდი. მხოლოდ ბოლო ათწლეულის განმავლობაში დამშვიდდა ხალხი, თუმცა მკვლევლობები ძველებურად ყვავის.

ბათუმის მაზრაში შავი ზღვის ნაპირას მცხოვრები ლაზები ძლიერ არ განსხვავდებიან აჭარლებისგან, ოღონდ უფრო ვაჭრობისა და მუშტრის გაყვლევისკენ არიან მიდრეკილნი, ვიდრე ყაჩაღობისკენ.

ხევსურებმა, რომლებიც კავკასიის მთავარი ქედის ალპურ სიმაღლეზე სახლობენ ყველაზე ძნელად მისადგომ ადგილებში, პირველყოფილი სინმინდით შეინარჩუნეს უძველესი დროიდან მომდინარე წეს-ჩვეულებები. მათი ხასიათი უკიდურესად სუსტად ემორჩილება ევროპული ცივილიზაციის გავლენას. ხევსურები თავდაჯერებულნი და ამპარტავანნი არიან. მშობლიურ მთებში ადვილად გადაადგი-

ლია სხვა სოფლის მკვიდრის მკვლევლობაზე, ცოლისა და შვილების დახოცვა არ ითვალისწინებს სისხლის აღებას, არამედ მხოლოდ ჯარიმას და ა. შ. ხევსურებს რაინდული ხასიათის თვისებებიც აქვთ: არ სცემენ დაცემულს, იბრალბენ სუსტსა და უიარაღს, იცავენ მიცემულ ფიცსა და დაპირებას.

სხვათა შორის, მოხსენიებას იმსახურებს ხევსურთა შორის გავრცელებული ხმლიანი ორთაბრძოლები სრული საომარი აღჭურვილობით (მუზარადი, ჯაჭვის პერანგი, ფარი და ა. შ.) და ფარიკაობა როგორც ბავშვების აღსაზრდელი საგანი. სასწავლო შეტაკებებისა და ორთაბრძოლებისას საქმე მსუბუქ ნაკანრზე შორს არ მიდის: სისხლის რამდენიმე წვეთი უკვე ცხადად აჩვენებს, ვინ გაიმარჯვა. მარადიული თოვლის საზღვარზე მცხოვრებ ხევსურებს არასოდეს განუცდიათ დამპყრობლის ულელი და ოდითგანვე თვითნებობას არიან ჩვეულნი. მიუხედავად ამისა, თუ სისხლის აღებას არ ჩავთვლით, დანაშაული

ფშაველები, რომლებიც თიათისა და დუშეთის მაზრების ნაკლებად მაღალ მთებში სახლობენ, ხევსურებსა და თუშებზე მეტად გულკეთილნი არიან და უფრო ემსგავსებიან ნამდვილ ქართველებს, თუმცა უკიდურესად უმეცარნი არიან. შურისძიების მიზნით მკვლევობა თუშებსა და ფშაველებს შორის სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ხევსურთა მსგავსად ისინიც არ ქმნიან ყაჩაღურ ბანდებს და, საზოგადოდ, ყაჩაღობისკენ მიდრეკილებას არ ამჟღავნებენ.

სვანები ქუთაისის გუბერნიის მაღალმთიან მხარეში ცხოვრობენ. ისინი ფსიქიკური აგებულებით უკვე ხსენებულ ქართველურ ტომებს ემსგავსებიან. ბუნებით კეთილნი არიან, უყვართ მხიარულება, განსაკუთრებით, თუ სასმელი აქვთ, სიტყვაძუნები, გულადები, ამტანები არიან, თუმცა კი უკიდურესად უმეცარნი. სამაგიეროდ, მათ ენაში არ მოიპოვება უნმანური და საგინებელი სიტყვები და ისე ჩანს, რომ ყველაზე მძიმე შეურაცხყოფა, რაც კი შესაძლებელია არის სიტყვა "სულელი!". თბილისელი ფსიქიატრი დ. ი. ორბელი, რომელმაც მცირე ხნის წინათ მოინახულა სვანეთი, შემდეგ გვაცნობებს მისი მოსახლეობის შესახებ: "სვანთა შორის დანაშაულებრიობა ძალიან დაბალია. ყველა საკამათო საკითხი უხუცესთა მიერ წყდება და მხოლოდ ცოტა რამ თუ აღწევს მომრიგებელ მოსამართლემდე. ყველა საქმე უკონფლიქტოდ წყდება. ყაჩაღობა, ცეცხლის განზრახ ნაკიდება, მკვლევობა, ძარცვა და ა. შ. სვანებისთვის თითქმის უცნობია. სამაგიეროდ, სვანეთში გაბატონებულია სისხლის აღება, რაც მძიმე დაღს ასვამს მოსახლეობას. სვანები ამ მკვლევობას დანაშაულად არ მიიჩნევენ, დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ზნეობრივი ვალია. შურისმაძიებელი მკვლელი არ კარგავს პატიოსანი და ღირსეული კაცის სახელს". სისხლის აღების უმთავრესი საფუძველია ქალიშვილებისა და ქალების გატაცება, რადგან უკანასკნელთა რაოდენობა, მამაკაცებთან შედარებით, მცირეა. გათხოვილი ქალის გატაცება, ჩვეულებრივ, გამტაცებლის სიკვდილით უნდა დასრულდეს. სვანებს სისხლის აღებისგან ხშირად აკავებს მიმაღლის და, აქედან გამომდინარე, მშობლიური კერისა და მთების მიტოვების აუცილებლობა. თუ გაითვალისწინებთ, რომ სვანეთში საოცრად დიდია, შეიძლება ითქვას, საქართველოში უდიდესია ეპილეფსიით დაავადებულთა, დეგენერატთა და სხვადასხვა ტიპის ნევროპათია შედარებითი რიცხვი, უნდა გვიკვირდეს, რომ მის მოსახლეობაში ასე მცირედაა წარმოდგენილი დანაშაულებრიობა.



თლები და ფრინველთა გალობაც მიყრუებულია უღრანი ტევრით. და მაინც, ზანტი და სიყტვაძუნნი აჭარელის ტემპერამენტი სულაც არაა ცივი, თუ შემთხვევა მიეცა, მას დიდი სამოძრაო ენერჯის განვითარება შეუძლია, მაგალითად, დელამეში სამოც ვერსზე მეტს გაივლის ფეხით. გონებრივი შრომისკენ მოწოდება კი სუსტია. აჭარელი მუდამ იარაღშია ჩამჯდარი, ყოველთვის მზადაა სისხლიან ბრძოლაში ჩასაბმელად და უკან დახევა და დათმობა არ სჩვევია. თავმოყვარე, გულღრძო, შთაბეჭდილებებს ამყოლი, იმპულსური, სოციალურ ჩვევებს მოკლებული და საკუთარი პიროვნების ზედმეტად დამფასებელი აჭარელი ადვილად და ნარბშეუხრელად კლავს. მაგრამ მოკლეულის მიმართ სისასტიკეს არასოდეს იჩენს, თუნდაც ძალიან სძულდეს: უცებ, ერთი გასრო-

ლდებიან და მამაცურად იქცევიან, მაგრამ ბარად ჩამოსულნი ზანტად მოძრაობენ, მხდალები და ეჭვიანები ხდებიან. მათ აინტერესებთ მხოლოდ თავიანთი პანანინა სამშობლო, პატარა ერთობების შინაგანი ყოფაცხოვრება, საგვარეულო და სათემო ტრადიციები — სხვა არაფერი. გვარის უხუცესები მათ მიწიერი მთავრობაა, სატყვარი და თოფი — საუკეთესო მეგობრები. სისხლის აღებას, როგორც დიადი წარსულის გადმოწამის, ხევსურები ყოველი მოზრდილი მამაკაცის მოვალეობად მიიჩნევენ. მათ საკუთარი სამართლანარმოება აქვთ, რომელიც შეიცავს უამრავ დაზუსტებას შურისძიების ფორმისა და მისი ჯარიმით ჩანაცვლების შესახებ. ყოველ ზარალს შესაბამისი კომპენსაცია ეკუთვნის, მაგალითად, თანასოფელის მკვლევლობა უფრო მძიმე დანაშაუ-

მათთან საოცრად იშვიათია.

ასევე მაღალ მთაში მცხოვრები თუშები ხევსურებზე ბევრად ჭკვიანნი და განვითარებულნი არიან. მათაც გამოარჩევთ მებრძოლი სული, სიმამაცე, შურისმაძიებლობა, მოქნილი მიხრა მოხრა და დიდი ფიზიკური ძალა. ხევსურების მიმართ თუშები მეგობრულად არიან განწყობილნი, მაგრამ ძალიან მტრობენ მეზობლად მოსახლე და ხელმწიფდობისკენ მიდრეკილ ქისტებს. თუშების ინტერესები უპირატესად მწყემსურია — ქალაქური ცივილიზაცია მათ, სხვა მთიულების მსგავსად, არ მოსწონთ, ხოლო ბარად ცხოვრებისათვის მათი ორგანიზმი მოუწყობელია ანთროპოლოგიური თვალსაზრისით. და მაინც, თუშები ნაკლებად არიან მთებში ჩაკეტილნი და, ხევსურებისგან განსხვავებით, ქალაქად ჩამოდინან ხოლმე სავაჭროდ.

ხარუკი მურაკამი

ირაკლი ბარიაშვილის თარგმანი

ბარაკოლაჟა, დასახლის იხილა № 11, 12, 13, 14, 15, 16

ისეც ხდება, რომ სრულიად უმიზნოდ, ყოველგვარი კონკრეტული მიზნის გარეშე ბედი სრულიად უცხო მხარეში მოგისვრის. "შემთხვევით", ვამბობთ ხოლმე ასეთ შემთხვევაში. სწორედ ასე მოისვრის ხოლმე ცხრა მთას იქით გაზაფხულის ჭირვეული ქარი რომელიმე მცენარის თესლს.

ამავე დროს ზუსტად ამგვარი თავდაჯერებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არავითარი "შემთხვევითობა" არ არსებობს. ჩვენ ყოველთვის გვაქვს უფლება ვთქვათ: ის, რაც უკვე შეგვემთხვა, მოხდა როგორც გარდაუვალი ფაქტი, ხოლო ის, რაც აქამდე არ მომხდარა, ჯერ არ მომხდარა და ამის უარყოფა ძნელია. მოკლედ, ნამი, რომელიმე ამჟამად ვარსებობით, ერთთავად ცელავს და უკან იტოვებს ყველაფერს, ცხვირს კი მარადიულ ნულს გვიტოვებს. აი, აქ კი არც "შემთხვევითობების", არც რაღაც "ალბათობებისთვის" უბრალოდ ადგილი არ რჩება.

სინამდვილეში ამ ორ მოსაზრებას შორის არავითარი განსაკუთრებული განსხვავება არ არის. აქ უბრალოდ (ისევე როგორც შეხედულებათა ნებისმიერი კონფრონტაციის დროს) ათასი სხვადასხვაგვარი დასახლება გვაქვს ერთსა და იმავე კერძისთვის.

მაგრამ ეს ყველაფერი ალბერტა-რიაა.

ერთი მხრივ (მოსაზრება "ა") ის, რომ ხოკაიდოს პეიზაჟის ფოტოს რეკლამაში გამოყენება გადავწყვიტე - ნმინდა წყლის შემთხვევითობაა. მეორე მხრივ (მოსაზრება "ბ") - აქ არავითარი შემთხვევითობა არ არის.

ა) მე სარეკლამო ფურცლის მაკეტისთვის შესაფერის ფოტოს ვეძებდი. მაგიდის უჯრაში ხოკაიდოს მინდორზე გადაღებული ცხვრების ფოტოს გადავანწყდი და გამოვიყენე. მშვიდობიანი შემთხვევითობა ასეთივე მშვიდობიანი, ჩვეულებრივი ყოფიდან.

ბ) ფოტო უკვე კარგა ხანია მელოდებოდა. ამ მაკეტში თუ არა, სხვაში მაინც, რომელიმე ჩემს ხელში გაივლიდა, ამ ფოტოს აუცილებლად გამოვიყენებდი.

ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ დაახლოებით ასეთი აზრი მომდის: ალბათ მთელი ჩემი ცხოვრების წერილის ანალიზისთვის სასვებით გამოსადეგია ამგვარი ფორმული. ისიც კი შესაძლებელია, თუ ცოტას ნავივარჯიშებ, ვისწავლი კიდევ ამ წინასწარობის დაცვას: მარცხენა ხელით - ჩემი ცხოვრება "ა" განზომილებებში, მარჯვენით - ჩემი ცხოვრება "ბ" განზომილებებში... თუმცა, სულ ერთი არ არის? ეს დაახლოებით ის არის, რაც კრენდელის ნახვრეტი. სულ ერთია, რას ვიტყვით. "მიგნით არაფერი არ არის", ანდა თუ მტკიცებას დავინყებთ "არის ნახვრეტი" - ყველაფერი სრული აბსტრაქციაა და ამით კრენდელის გემო არ იცვლება.

ჩემი მენეჯილი თავის საქმეებზე წავიდა. ოთხი მაშინვე დაცარიელდა. მარტო ელექტრონული საათის ისარი უკლიდა უხმაუროდ წრეს წრეზე. ოთხ საათამდე, როცა ჩემს ნასაყენად მანქანა უნდა მოსულიყო, საკმაოდ დრო რჩებოდა, მაგრამ არავითარი გადაუდებელი საქმე მე არ მქონდა. კარს იქიდან ჩქარა არ ისმობდა. ცისფერი დივანზე ნამონოლილი ვნრუპავედი ვისკის და კონდინციონერის ჰაერის ნაკადში მედიტაციას ისე ვცდილობდი, როგორც ბაბუანგვრას ცდილობდი არაფერი ნიაზე და მოუცილებლად ვადევნებდი თვალს ელექტრონული საათის ისარს. ვხედავ-

ხარუკი მურაკამი 1949 წელს დაიბადა კიოტოში, იაპონიის ძველ დედაქალაქში, კლასიკური ფილოლოგიის მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა კლასიკური დრამის ფაკულტეტზე ვასედას უნივერსიტეტში. ტოკიოში ჯაზის ბარი ჰქონდა.

წერა 29 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ წელიწადში საშუალოდ ერთ რომანს წერს. იღვიძებს ექვს საათზე და წვება ათზე. 33 წლისამ სიგარეტს თავი დაანება, დაიწყო ვარჯიში.

დასავლეთში გაემგზავრა და იქიდან ევროპელის თვლით დაუნყო ყურება თავის სამშობლოს. თავისი შემოქმედებით მურაკამი არღვევს ჩვეულ იაპონურ ფასეულობებს: "ეცადე იცხოვრო ჰარმონიულად გარე სამყაროსთან", "არ გამოვეც გარემოს და ყველაფერი იღონე კარიერისთვის". ის სიამოვნებით არღვევს ტრადიციებს, რის გამოც ბევრი იაპონელის სიძულვილიც დაიმსახურა. "მე მომწონს დროის ფლანგვა. ქვეყნად იმდენი რამ არის, რაც მიყვარს - ჯაზი, კატები, გოგონები, შეიძლება ნიგენიც. ყველაფერი ეს ცხოვრების გაგრძელებაში მესმარება".



# ნადირობა ცხვრებზე

დი მოძრავ ისარს - ესე იგი, სამყარო ისევე ბრუნავს. არცთუ ისე შესანიშნავი სამყარო, მაგრამ ბრუნავს მაინც განაგრძობს. და რადგან შეგნებულნი მქონდა, რომ სამყარო ბრუნავს, მე ძველებურად ვაგრძელებდი ცხოვრებას. არცთუ ისე მშვენიერი ცხოვრებით, მაგრამ მაინც ვცხოვრობდი. რა უცნაური, გავიფიქრე, ნუთუ მხოლოდ საათის ისრების საშუალებით შეუძლიათ ადამიანებს დარწმუნდნენ, რომ ისინი არსებობენ? ქვეყნად გაქცეულად უნდა არსებობდეს ამგვარი თვითშემომნების სხვა საშუალებები. თუმცა, როგორ არ ვეცადე, კიდევ რამე მომეფიქრებინა, თავში მეტი არაფერი მომდიოდა.

უარი ვთქვი შემდგომ მცდელობებზე და კიდევ მოვივი ვისკი. ცხელმა ტალღამ დაძვრა ყელი, საყლაპავი მილი ჩაირბინა, ოსტატური ლავირების შემდეგ კუჭს მიაღწია, ბოლოს და ბოლოს, ნამონვა ფსკერზე და გაყუჩდა. ფანჯრის იქით ზაფხულის თეთრღრუბლებიანი მუქლურჯი ცა ეკიდა. ლამაზი ცა, მაგრამ ნახშირი ნივთივით რაღაც უცნაურად და ძლივს შესამჩნევად გაქცეული. ძველი ცა, რომელიც მხოლოდ გარედან სასაქონლო შესახედაობისთვის გაასუფთავებს სამედიცინო სპირტით მანამ, სანამ აუქციონირებს გაყიდვად. აი, სწორედ ამ ცის, რომელიც ოდესღაც სულ ახალთახალი იყო, სადღეგრძელო დავიღე - კიდევ ერთი ყლორეტი. სულაც არ იყო ურიგო. სხვათა შორის, ცაც, როგორც კი თვალი შეეჩვია, ისეთი ცუდი აღარ მქრევენებოდა. მარცხნიდან მარჯვნივ ცის გუმბათზე რეაქტიული თვითმფრინავი მიიზღაზნებოდა. მისი მაგარი, მზეზე აბრჭყვიალებული ნაჭუჭი რომელიმე მწერის აბრეშუმის პარკს ჰგავდა. ვისკის მეორე ჭიქის შემდეგ თავში ჭიასავით აფუთფუთდა შეკითხვა: მაინც რისთვის ვზივარ აქ? ეშმაკმა დასწყევლოს, მაინც რაზე ვცდილობ ერთთავად ფიქრს? ჰო, ისევე ცხვრებზე.

ბენ. და მაინც მასში იყო რაღაც... განგამის უცნაური გემო. იმ ნამს, როცა პირველად ვნახე ეს ფოტო, ზუსტად ასეთმა გრძობამ დაიბუდა სულში და მთელი მომდევნო სამი თვის მანძილზე არც დაუტოვებია.

ზურგით მივეყრდენი დივანს, ფოტო თავზემით დავიჭირე და ისევე გადავთვალე ცხვრები. ოცდაცამეტი ცხვარი.

ოცდაცამეტი? თვალები დაეხუჭე და თავი გავიქნიე, შევეცადე იქ ჩამჯდარი ეშმაკი მომეცილებინა... ჭირსაც ნაულია, ვუთხარი თავს. რაც იქნება, იქნება. იმას კი, რაც მოხდა, უკვე ვერ შეცვლი.

დივანზე ნამონოლილმა ძალა მოვიკრიბე და ისევე დავინყე ცხვრების თვლა. აი, ამ საქმიანობაში მომისწრო იმ მოულოდნელმა ღრმა ძილმა, რომელიც მაშინ გენვევა, თუ სადილის შემდეგ ორმაგ ვისკის მიირთმევ. ნამით ადრე, ვიდრე დამეძინებოდა, ჩემი ახალი მეგობარი ქალის ყურებზე გავიფიქრე.

## 5 ავტომობილი და მისი შოფერი (1)

მანქანა დანიშნულ დროზე, ზუსტად ოთხზე მოვიდა. ნუთი-ნუთზე, როგორც საათის გუგული. მდივანი გოგოს ძალისხმევით, როგორც იქნა, გამოვეცე ღრმა ძილისგან. სასწრაფოდ მევისსი სახეზე წყალი ტუალეტში, მაგრამ მოთენილობა არ მტოვებდა. ლიფტში, სანამ ქვევით მივდიოდი, სამჯერ დავამთქნარი. ისე დავამთქნარი, თითქოს ამ დამთქნარებით საშველად ვუხმობდი ვინმეს. თუმცა, ჩემს შემთხვევაში, ის, ვინც ამთქნარებდა და ის, ვისაც საშველად მოუხმობდნენ, მხოლოდ მე თვითონ შეიძლებოდა ვყოფილიყავი.

გიგანტური ავტომობილი შენობის შესასვლელთან აჩოჩნოლიყო, წყალქვეშა ნავით, რომელმაც ეს-ეს არის ამოყვინთა ოკეანის მორვედანი. საშუალო რიგითი ოჯახს თავისუფლად შეეძლო თავი შეეფარებინა ამ გიგანტის კაპოტქვეშ. პირქუში ლურჯი ფერის მინები საშუალებას არ იძლეოდა ისე, ზოგადად მაინც გაგერჩია, თუ რა ხდებოდა შიგ. მანქანის კორპუსი იდეალური შავი საღებავით იყო დაფარული. საითაც არ უნდა გა-



გებდა, ყველგან, ბამპერით დანყებულ, დისკებით დამთავრებული, ლაქა კი არა, ნამცეცი მტვერიც კი არ იყო. შოფერი, შუა ხნის კაცი, ნარინჯისფერი ჰალსტუხით თოვლივით ქათქათა პერანგზე გაჭიმული იდგა მანქანის გვერდით. მართლა შოფერი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩემს მიახლოებაზე სიტყვა არ დაუძრავს, ავტომობილის კარი გამოაღო, ყურადღება მიაქცია იმას, რომ რაც შეიძლება მოხერხებულად მოვთავსებულიყავი და მხოლოდ მეორედ დაეხურა. მერე საჭესთან დაჯდა და ზუსტად ისევე რბილად მიიხურა კარი. ძრავა ამუშავდა. ხმა ჰქონდა - გინდა დასტა კარტი აგირევი. ეჰ, სად ეს და სად ჩემი თხუთმეტი წლის "ხოჭო" - ფოლკსვაგენი, ნაცნობისგან ლამის კიტრის ფასად რომ ვიყიდე. გინდ ამ მანქანაში მჯდარიყავი და გინდ ტბის ფსკერზე საწილით დაცული ყურებით. სალონშიც ყველაფერი სოლიდურად გამოიყურებოდა. და დიზაინერის არცთუ დახვეწილი გემოვნების მიუხედავად, მისი ძალისხმევის შედეგი პირდაპირ გამოგნებელი გამოდგა. ვეებერთელა უკანა სავარძლის ბალიშებს შორის უკანასკნელი მოდის მშვენიერი ტელეფონი იყო ჩადგმული. იქვე, გვერდით, პულტზე, საფერფლეც აღმოვაჩინე, სიგარეტის კოლოფიც და საწილბეცაც. ყველაფერი სუფთა ვერცხლისა იყო. შოფრის სავარძლის საზურგეში გადმოსაშლელი პატარა მაგიდა და სერვეტილი იყო ჩამონტაჟებული თავისი საწერი მოწყობილობით - გინდ ნაიხემსე, გინდ ნაიხეშე. კონდინციონერიდან ოდნავ უბერავდა, იატაკი რბილი ხალიჩით იყო დაფარული. მანქანა რომ დაიძრა, მაშინდა მივხვდი, როცა უკვე გზაში ვიყავით. მეჩვენებოდა, რომ რკინის თასში ჩამჯდარი უხმოვ მივსრიალებდი ვეებერთელა ტბის ვერცხლისწყალივით მოლაპლაპე ზედაპირზე. შევეცადე დაახლოებით მაინც მეანგარიშა, რა უნდა დასავლეთითა და ეს ავტომობილი, მაგრამ ამის წარმოდგენა ჩემს ძალეებს აღემატებოდა. ეს ჩემს ყველაწარმო წარმოსახვას სცლიდებოდა.

- როგორ მუსიკას ისურვებთ? - დაინტერესდა შოფერი. - კარგი იქნებოდა რამე... ძილის-მომგვრელი, - ვუპასუხე. - როგორც გენებოთ. სავარძლის ქვემიდან კასეტა გამოაძვინა, პანელში შედო და ლილაკს თითი დააჭირა. კაცმა არ იცის, სად მიმალული დინამიკებიდან გადმოიღვარა და სალონში გალღვა სონატა ვიოლონჩლოსთვის. უნაკლო მუსიკა, უნაკლო ხმა. - თქვენ რა, ყოველთვის აი, ასე... დაგყავთ კლიენტები? - შევეკითხე. - დიას, - ფრთხილად მიპასუხა შოფერი, - ბოლო დროს, გამუდმებით.

- ა-ა, - დამაკმაყოფილა პასუხმა. - ისე კი, ეს სენსის პერსონალური მანქანაა, - განაგრძო შოფერმა მცირე პაუზის შემდეგ. ეტყობა, შინაგანად გაცილებით თბილი იყო, ვიდრე შესახედაობა ჰქონდა. - ამ შემოდგომაზე სენსეი შეუძლოდ გახდა და ახლა შინიდან აღარ

გამოდის. მე და ჩემი მანქანა როგორ-  
ღაც უსაქმოდ აღმოჩნდით. არადა,  
მანქანას, გეცოდინებათ, თუ დიდხ-

ანს არ დაქოქავთ, ტექნიკური შესაძ-  
ლებლობები უქვეითდება...  
- გასაგებია, - ვთქვი. ესე იგი, სე-  
ნსეის ავადმყოფობა განსაკუთრებ-  
ულ საიდუმლოს არ წარმოადგენს.  
კოლოფიდან სიგარეტი ამოვადრე და  
ყოველი მხრიდან შევათვალე. და  
დაზაღებულა შეკვეთით, უფილტ-  
როდ, ორივე ბოლო ნაჭრილი აქვს,  
სავაჭრო ნიშნისა და გამოშვების ფი-  
რმის სახელწოდების გარეშე. სუნით  
რუსულ თამბაქოს წაგავდა. ცოტა  
შევესოყნა - მოვნიო თუ ჯიბეში  
აწვილი - გადავიფიქრე და სიგარეტი  
ადგილი დავაბრუნე. სანთებელია  
ეც და სიგარეტზეც პირდაპირ ცენტ-  
რში მიჩრილი იყო ნატიფად გრა-  
ვირებული ჰერალდიკური გერბი. გე-  
რბებზე ცხვრები იყო გამოსახული.  
ცხვრები?!

ვიგრძენი, რომ უკვე საერთოდ  
უაზრო იყო რაიმეს გაგების მცდე-  
ლობა, ამიტომ თავი გავაქონე და  
თვალე და ვხედავ. მას შემდეგ, რაც  
პირველად ვნახე ყურების ფოტო,  
როგორც ჩანს, ჩემს გარშემო მეტის-  
მეტზე ბევრ რაზე ვკარგავდი კონ-  
ტროლს.

- კიდევ რამდენი დავგრძელებ? - ვკი-  
თხე მოვედ.

- ოცდაათი წუთი, შეიძლება ორ-  
მოციც... გააჩნია, რა მოძრაობაა  
გზაზე.

- მაშინ, თუ შეიძლება, ოდნავ შე-  
არბილეთ ჰაერის ნაკადი. იცით, ერ-  
თი სიზმრის ნახვა ბოლომდე ვერ მო-  
ვასწარა.

- როგორც გინებოთ.

შოფერმა მომართა კონდიციო-  
ნერი. რაღაც ლილაკს დააჭირა ცენ-  
ტრალურ პანელზე. მასიური მინა ნე-  
ლა აინია და სამგზავრო სალონი შო-  
ფრის სავარძლიდან გამოაცალკევა.  
ძლივს გასაგონი ბახის მუსიკა რომ  
არა, ვიტყვი, რომ სალონი კოსმო-  
სურმა სიჩუმემ გაავსო. თუმცა ამ წუ-  
თისთვის უკვე ძალიან ძნელი იყო ჩე-  
მი რამით გაკვირება - სავარძლის  
ბალიშებში ჩაფლულს ღრმად მეძინა.  
ძილში ძროხა გამოემეცხა. საკმაოდ  
მოვლილ-გაკრიალეული ძროხა -  
მაგრამ რაღაცნაირად გატანჯული  
და ცხოვრებისგან შესამჩნევად გა-  
თვლილი. ლამის ცხვირებით შევეჯა-  
ხეთ ერთმანეთს ფართო ხიდზე. გა-  
ზაფხულის აღერსიანი მზე ჩასასვ-  
ლელად ემზადებოდა. ერთ ჩლიქში  
ძროხას ძველი ელექტროგენერატო-  
რი ეჭირა, მე მთავაზობდა - იაფად  
მოგცემ, თუ იყიდო. "ფული არა  
მაქვს", ვთქვი. ფული მართლა არ  
მქონდა. შა, მიდი, ბრტყელტურაში მა-  
ინც გამიცვალე, - მითხრა ძროხამ.  
მაცდურად ჟღერდა. ძროხასთან ერ-  
თად ჩემთან წავედით, შინ ყველაფე-  
რი თავდაყირა დაგაყენე ბრტყელტუ-  
რას ძებნაში. ვერაფრით ვერ ვიპოვე.

"ძალიან უცნაურია, - ვუთხარი  
ძროხას, - ჯერ კიდევ გუშინ აქ იყო!..."  
სკამი ანტრესოლზე მთავარი იყო,  
რომ ახლა იქ მომექებნა, მაგრამ ამ  
დროს მხარზე ხელს მიგრძამდა და  
ჩემს გაღვიძებას ცდილობდა შოფე-  
რი.

- მოვედით! - მოისმა მოკლე.

კარი გაიღო და ზაფხულის ჩამა-  
ვლი მზის სხივები სახეზე მომეფე-  
რა. უთვალავი ჭრიჭინა ისე ხმაურო-  
ბდა, თითქოს ვილაცხვავებოდა მე-  
ქანიკური მალვიძარას გასაღებს ატ-  
რიალებდა. მინის სუნი მეცა.

მანქანიდან გადმოვედი. გავიშა-  
ლე, ღრმად ჩავისუნთქე და ღმერთს  
თუ შევევლი, რომ ჩემს სიზმარს საერ-  
თო არაფერი უქონდეს ვერცხვად  
ბულ "სიმბოლურ სიზმრებთან".

6

ჭიის თვალით  
დანახული სამყარო

არის სიმბოლური სიზმრები და  
რეალური ცხოვრება, რომელსაც ის

სიზმრები სიმბოლურად ასახავს. ან-  
და პირიქით, არის სიმბოლური ცხო-  
ვრება, და სიზმრები, რომლებშიც ეს  
ცხოვრება რეალურ სახეს იღებს. სი-  
მბოლო ქალაქის საპატიო მერია, თუ  
სამყაროს პანანინა ჭიის თვალით უყ-  
ურებ. ჭიის თვალით დანახულ სამყა-  
როში არავის არ გაუკვირდება, რაში  
სჭირდება ძროხას ბრტყელტურა. თუ  
ასე უნდა, იშოვის კიდევ ამ უბადრუკ  
ბრტყელტურას, ახლა თუ არა, მერე  
მინც. თუმცა, ეს ჩემს პრობლემებს  
რატომღაც ვერ ამსუბუქებს.

სხვა საქმეა, თუ იმისთვის, რომ  
იშოვოს ბრტყელტურა, ძროხამ მაინ-  
ცდამაინც მე ამირჩია. მაშინ სიტუა-  
ცია ძირფესვიანად იცვლება. აქ მე  
უკვე სრულიად უცხო განზომილება-  
ში ვიმყოფები, სადაც ის ვილაცხვავს  
სულ სხვანაირად ხედავს ყველაფე-  
რს. როცა უეცრად სხვა განზომი-  
ლებაში აღმოჩნდები, ყველაზე იდვი-  
ლად უხერხულობა ხანგრძლივი საუბა-



რია. "რა ფეხებზე გინდა ბრტყელ-  
ტურა?" - შევეკითხე ძროხას. "მა-  
ლიან მშია", - მიპასუხებს ის. "მაგრამ  
რა ფეხებზე გინდა ბრტყელტურა,  
თუ გშია?" - შევეკითხე მე. "ატმის  
ტოტზე დავკიდებ!" - მიპასუხებს ის.  
"ატმის ტოტი რაღა ფეხებზე გინ-  
და?" - ვკითხავ მე. "მე ხომ სანაცვლო  
დ ვენტოლატორს ვაძლევ!" - მიპა-  
სუხებს ის. და ასე დაუსრულებლად.  
და აი, ამგვარ გაუთავებელ კითხვა-  
პასუხში ნელ-ნელა შემჯავრდება  
ძროხა, ძროხას კი - მე. ზუსტად ასე  
ხდება ჭიის თვალით დანახულ სამყა-  
როში. და იქიდან გაქცევის ერთადე-  
რთი საშუალება სხვა სიზმრის რაც  
შეიძლება სწრაფად ნახვად.

და აი, ახლა, 1978 წლის სექტემბ-  
რის შუადღეს, ოთხობობლიანმა რკი-  
ნის ურჩხულმა პირდაპირ ჭიის თვა-  
ლით დანახულ სამყაროს შიგ გულში  
მიმიყვანა... ალბათ გასაგები უნდა  
იყოს, რომ საკითხი ჩემს ლოცვებთან  
დაკავშირებით იქ, ზეცაში, უარყო-  
ვითად გადაწყდა. მიმოვიხედე და  
უნებურად ამოვიოხრე. ამოიხვრა -  
ეს ერთადერთი დამრჩა ჩემს ახ-  
ლანდელ სიტუაციაში.

მანქანა პატარა ბორცვის თავზე  
იდგა. ხრეშის ბილიკი, რომლითაც,  
როგორც ვფიქრობ, აქ მოვედით, ფე-  
რზე ლვარჭნილი სერპანტინით  
გარბობდა-გამობობდა ალყაფის კა-  
რისკენ, რომელიც ძლივსა მოჩანდა  
აქედან. მარცხნიდან და მარჯვნიდან  
ჩარიგებული კრიპტომერები და ვე-  
რცხლისწყლის ფარნები - ერთმანე-  
თისგან თანაბრად დაცლილებული,  
გრძელნი და გათლილი ფანქრები-  
თი ნანვეტილები. ნელი ნაბიჯით  
კარამდე მივსულს თხუთმეტი წუთი  
მინც დასჭირდებოდა. ხეებს ჭრიჭი-  
ნების ჯარი შესეოდა, ჰაერი ისე ცახ-

ცახებდა ამ ღრჭილისგან, რომ სულ  
მცირე იმედსაც კი არ ტოვებდა - ქვე-  
ყნის აღსასრული უკვე დაიწყო.

ხეებქვეშ, ბილიკთან ახლოს, ბა-  
ლახი აკურატულად შეეკრიჭათ და  
დაფერდებული გვერდებიდან თვა-  
ლებს მიჭუტავდნენ უნესრიგოდ და-  
რგული იელები თუ ვარდები, თუ კი-  
დევ რაღაც დეკას მაგვარი. შოშიების  
გუნდი ისე დინჯად გადაფრინდებო-  
და გაზონზე მარცხნიდან მარჯვნივ,  
ისე საოცრად ლიელებდა და ლე-  
ლადა, როგორც მცოცავი ქვიშა.  
გორაკის ფერდებს ძირამდე მარმა-  
რილოს საფეხურები ჩასდევდა: მარ-  
ჯვნივ, იაპონური ბალისკენ, ტბორი-  
თა და ქვის სვეტებზე დამარებული  
ფარნებით, მარცხნივ - გოლფის პა-  
ტარა მინდვრისკენ. მინდვრის ცალ-  
მხარეს მოჩანდა რაღაც უცნაური  
შეფერილობის, ქიშიშიან ნაყინს  
რომ მოგავგონებდა, აი, ზუსტად ისე-  
თი ფანჩატური. მეორე მხარეს ბერძ-

ბოდა ეს შენობა. ყველაზე მეტად ის-  
ტორიულ რეპტილიას წააგავდა, რო-  
მლის სხეულიც უთავბოლო მუტაცი-  
ებით - ბრმა ევოლუციის ზიგზაგების  
შედეგად - არანორმალურ, თვითონ  
მისთვისვე საზიანო ზომებამდე გაი-  
ზარდა.

თავდაპირველად გეგმით აქ მეი-  
ძის პერიოდის ევროპული სტილი  
შქონდათ ჩაფიქრებული. მაღალი  
კლასიკური სტილის თაღის საპარა-  
დო შესასვლელთან ნაცრისფერი  
ტონების ორსართულიანი ნაგებობა  
იდგა. ძველმოდური ვინო ფანჯრე-  
ბი ორმაგი ჩარჩოებით. კედლები  
მრავალგზის შეღებულ-გადაღები-  
ლი. სახურავი, წესისამებრ, სპილენძ-  
ის თხელი ფურცლებით იყო დაფა-  
რული, წყლის ჩამოსადენები კი რო-  
მაული ნყალგაყვანილობის მშენებე-  
ლთა სადარი საფუძვლიანობითა და  
გამომგონებლობით იყო მორგებუ-  
ლი. მოკლე, რაც შეეხება თვით  
სახლს, ის არც ისე ცუდი იყო. რაც არ  
უნდა იყოს, მასში იგრძნობოდა ძვე-  
ლი კეთილი დროის რაღაც დახვეწი-  
ლი კეთილშობილება.

მთავარი შენობის მარჯვენა მხა-  
რეს, რომელიც ხუმარა-არქიტექტ-  
ორს თავში მოსვლიდა, მიემყნებინა  
კიდევ ორი ფრთა, უფრო პატარები,  
მაგრამ შეძლებისდაგვარად იმავე  
სტილში და იმავე შეფერილობით. ჩა-  
ნაფიქრი თავისთავად ურიგო არ  
იყო, მაგრამ შედეგი სავალალო გა-  
მოდგა: ეს მინამენები არც ფერით და  
არც სტილით მთავარ შენობას არ ემ-  
თხვეოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმ-  
ნებოდა, თითქოს ვილაცხვავს აზრად  
მოუვიდა შარბათი სატაცურში  
შეირია და ეს გაუგებრობა ვერ-  
ცხლის ლამაზი ლანგით მიეტანა  
მაგიდაზე. ამ სახით იდგა ეს აბსურ-  
დი არა ერთი და ორი ათეული წელი,  
რომ შემდეგ გვერდით ნაცრისფე-  
რი ქვით ნაშენი კიდევ ერთი ფლიგე-  
ლი მიატყუეს. ამ ახალ პატარა შედ-  
ევრს ლითონის დეკორატიული მეხა-  
მრიდის შპილი დააკოსეს თავზე. ამ-  
კარა ლაფსუსი: პირველივე მუხი, რო-  
მელიც ამ შპილს დაეცემოდა, მთელ  
შენობას თავის შიგნულთანად გაშ-  
ლიდა მინაზე.

გასასვლელი ფლიგელიდან კიდ-  
ევ ერთი შენობისკენ მიდიოდა. როგ-  
ორც სხვა დანარჩენს, არქიტექტურ-  
ის ამ სურთგატსაც აბსურდულობის  
ბეჭდი ესეა, მაგრამ აქ, სხვა თუ არ-  
აფერი, რაღაც თემატური დასრუ-  
ლებულობა მაინც იგრძნობოდა. მო-  
დი, დაფარქვით ამას "იდეური თვით-  
წინააღმდეგობა". მსოფლიო მწუხა-  
რების ზუსტად ასეთი სახეობა ლა-  
რისმად ორ ერთნაირ თივის ზეინს შო-  
რის მდგარ ვირის სულს, რომელსაც  
ვერაფრით ამოერჩია, რომლისგან  
დაეწყო და ასეც გაჭიმა ფეხები მში-  
რმა.

მთავარი ნაგებობიდან მარცხენა  
მხარე საოცარი კონტრასტი იყო იმი-  
სა, რაც მარჯვენა მხარეს ვნახე. ერ-  
თმანეთს მიუყვებოდა ერთსართუ-  
ლიანი იაპონური სახლები. ცოცხალი  
ლობით, მოვლილი ფიჭვებითა და  
მშვენიერი ვერანდებით, გრძელნი  
და ისარევიანი სწორები - გინდ კეველ-  
ბანი მოაწყვე.

ასე იყო თუ ისე, გორაკიდან მთე-  
ლი პეიზაჟი რაღაც სამნაწილიანი  
ძველი ფილმივით მოჩანდა შუაში და  
კვებებული რეკლამებით. და თუ ვი-  
ვარაუდებდით, რომ ამ ფილმს იღებ-  
დნენ მრავალი წლის მანძილზე შეგ-  
ნებული მიზნით: მოესხნა მაყურებ-  
ლისთვის გარინდება და რული, მაშინ  
ვიტყვი, რომ რეჟისორის ვარაუდი  
მთლიანად გამართლდა. თუმცა, რა  
თქმა უნდა, არავითარი განსაკუ-  
თრებული ჩანაფიქრი აქ არ შეიძლე-  
ბა ყოფილიყო. უბრალოდ, აი, ასე  
ხდება, როცა სხვადასხვა დროს და-  
ბადებული სამუალო ნიჭის ადამიან-  
ების ჯგუფს ერთი კაპიტალი აერ-  
თიანებს.

კარ-მიდამოსა და მისი შემოგა-  
რენის შესწავლამ უფრო მეტი დრო  
წამართვა, ვიდრე ველოდი. ვერც კი  
მოვასწარი ამის გაფიქრება, რომ შე-

ვნიშნე - მთელი ეს დრო შოფერი ჩემს  
გვერდით იდგა და მავის საათს დაპ-  
ყურებდა. ამასთან, მის პოზაში რაღ-  
აც მეტისმეტად, როგორ ვთქვა, ათა-  
სჯერ გამოვრებული და დასწავლი-  
ლი იგრძნობოდა. კაცს შეიძლება ეფ-  
იქრა, თითოეული სტუდენტი, რომელ-  
იც მას აქ მოჰყავდა, მანქანიდან ზე-  
სტად ამ ადგილზე გადმოდიოდა, სა-  
დაც მე გადმოვედი, ზუსტად ისე გა-  
შემდებოდა და ასე გაოგნებული ათ-  
ვალეირებდა ამ უცნაურ პეიზაჟს.

- თუ გინდათ, რომ კიდევ დაათ-  
ვლიეროთ, შეგიძლიათ, არ იჩქარე-  
ოთ, - ჩაილაპარაკა შოფერმა, - მთე-  
ლი რვა წუთია თქვენს განკარგულე-  
ბაში.

- გაშლილი ადგილია!.. - ვთქვი.  
უფრო შესაფერისი არაფერი მომი-  
ვიდა თავში.

- ათი ათასი კვადრატული მეტ-  
რია, - თქვა შოფერმა.

- მოქმედი ვულკანი ხომ არ  
გაქვთ აქ სადმე? - ვცადე ვახუმრება.  
ხუმრობა, ცხადია, ჰაერში გამოიკე-  
და. აქ, ამ ადგილას არავინ არასდრ-  
ოს არ ხუმრობდა. ასე გავიდა კიდევ  
რვა წუთი.

\*\*\*

საპარადო შესასვლელი მარჯ-  
ვნივ, თორმეტი კვადრატული მეტრ-  
ის ფართობის ევროპული სტილში გა-  
წყობილი კაბინეტში შემეყვანეს. თავ-  
ბრუდამხვევად მაღალი ჭერიდან კე-  
დლებზე ფიგურული ორნამენტები  
ემუბოდა. ოთახში ანტიკვარული შე-  
სახედაობის მაგიდა და წვეილი დივა-  
ნი იდგა, კედლებზე ნატურმორტი ეკ-  
იდა, რომელიც სრულ წარმოდგენას  
ქმნიდა რა სახე შეიძლება მიეღო  
რეალიზმს თავის აპოკალიფსი. ვაშლე-  
ბი, ყვავილების ლარნაკი და ქალა-  
დის საჭრელი დანა. ეტყობა, ჩაფიქ-  
რებული იყო, რომ ვაშლი ლარნაკით  
უნდა გაეტყრა, ხოლო ამის შემდეგ  
ქალაქის საჭრელი დანით გაეტყ-  
ვლია კანი ვაშლისთვის. ვაშლის ნარ-  
ჩენები თავის პარკებთანად ისევე ლა-  
რნაკში ჩაგეყარა. სქელი ქსოვილის  
ნახევრად განუული ფარდები და ტი-  
ული ფანჯრის ორივე მხარეს ფაქიზ-  
ად შეექცათ და ზონარით დაემავ-  
რებინათ. ფანჯარაში ფარდებს შორ-  
ის იაპონური ბალის საკმაოდ სიმა-  
თიური კუთხე მოჩანდა. გაპრიალე-  
ბული მუხის პარკები სხვადასხვა შე-  
ფერილობის ათინათებს ირეკლავდა.  
ოთახის ნახევარი ძირფესვს ხალიჩას  
ეჭირა და მიუხედავად იმისა, რომ  
დროს გვართანად გაეხუნებინა ფე-  
რები, ბენვი ისეთი სიგრძისა იყო, თი-  
თქოს ფეხი არასოდეს დაედა ადა-  
მინას. არც ისე ცუდი ოთახი იყო. ნა-  
მდვილად არ იყო ცუდი.

შემოვიდა კიმონოში გამოწყო-  
ბილი შუა ხნის მოსამსახურე ქალი,  
მაგიდაზე გრიფურუტის წვეინის ბო-  
კალი დადგა და ისე გავიდა, ხმა არ  
ამოუღია. კარი ჩუმად მიიხურა და  
სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. მა-  
გიდაზე ვერცხლის ნაკრები შევნიშნე -  
სიგარეტის კოლოფი, საფერფლე,  
სანთებელი. ზუსტად ისე, როგორც  
მანქანაში. თითოეულ საგანზე ისევე  
ის ცხვრის გერბი იწმინდა თავს...  
ჯიბიდან საკუთარი ფოლტოიანი სი-  
გარეტი ამოვიღე, ვერცხლის სანთე-  
ბელით მოვეკიდე, ნაფაზი დავარტყი  
და ბოლის გრძელი ნაკრები გავუშვი  
ჭერისკენ. მერე გრიფურუტის წვეინს  
მივხედე.

ათი წუთის შემდეგ კარი ისევ გაი-  
ღო და ოთახში მაღალი, შავ კოსტიუმ-  
ში გამოწყობილი კაცი შემოვიდა. არც  
"გამარჯობა", "კეთილი იყოს თქვენი  
მოზრუნვა", არც "მეპატიება", რომ  
გალოდინეთ", არც რაიმე ამის მსგავსი.  
მეც ვდუმდი. ჩემს პირდაპირ დივა-  
ნზე დაჯდა, თავი ოდნავ დახარა და  
ისე დამინყო თვალეირებით, თითქოს  
შეფასებდას ლამობსო. ჩემი მენყვილე  
მართალი იყო - ამ სახეს არანაირი გა-  
მომეტყველება არ ჰქონდა.

ასე გავიდა კიდევ რაღაც დრო.

გაგრძელება  
შობაძე ნოდარი

# პარიზის ავტომობილ საუკეთესო

მარა ლორთქიფანიძე



სიტროენ C-მედიის

დიდ ავტოსალონებზე ავტომწარმოებლები დამთვალელებს პირველ რიგში, თავიანთ სიახლეებს აცნობენ, იმ სიახლეებს, რომლებიც მალე გამოჩნდება დილერთა სალონებში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი კონცეპტუალური ნამუშევრების ჩვენებას.

კონცეპტუალური მოდელები ხშირად შოუ-სტოპერების მოვალეობას ასრულებენ. ეს ის ავტომობილებია, რომლებმაც მისი შემქმნელის სტენდთან დიდი რაოდენობით დამთვალელები უნდა მიიზიდოს, რათა მათი ყურადღების არეში წარმოებისთვის გამზადებული ავტომობილებიც მოექცეს.

მაგრამ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა კონცეპტუალური მოდელების მეშვეობით, მწარმოებლები საზოგადოებას იმ ავტომობილებს უჩვენებენ, რომლებიც მათ სამოდერო რიგში ახლო ან შორეულ მომავალში გამოჩნდება. არის ისეთი კონცეპტებიც, რომლებიც წინასწარ განიხილეს კომპანიის სამუშეო ექსპონატობისთვის. თუმცა მათში გამოყენებული ზოგიერთი იდეა მაინც აღწევს კონვეიერამდე.

ნებისმიერი ავტოსალონი მით უფრო საინტერესოა, რაც მეტი კონცეპტკარია მასზე გამოფენილი. ხშირად ასეთი მოდელები ყოველგვარი ფანტაზიის ზღვარს სცდებიან და მათი მეშვეობით, დამთვალელები ხედავენ, თუ რამდენად მდიდარი წარმოსახვის უნარი აქვთ ავტომობილის მშენებლებსა და კონსტრუქტორებს.

კონცეპტუალური ავტომობილების მრავალფეროვნებით გამოირჩევა პარიზის წლევიანდელი ავტოსალონი, რომელზეც მსოფლიოს უდიდესმა ავტოკომპანიებმა არაერთი საინტერესო ნამუშევარი გამოფინეს. ტრადიციულად, პარიზის ავტოსალონისთვის განსაკუთრებული მონდომებით ფრანგული კომპანიები ემზადებიან, რომლებიც ყოველთვის ცდილობენ, თავიანთ პავილიონებში დამთვალელებს ექსტრავაგანტური ნამუშევრები დაახვედრონ. ამ მხრივ, გამონაკლისი არც წლევიანდელი ავტომოშო ყოფილა.

## პეჟო

ავტოსალონის პირველ ორ დღეს, რომლებსაც ხშირად პრესის დღედაც მოიხსენიებენ, სპეციალისტთა უმეტესობამ საუკეთესო კონცეპტუალურ ნამუშევრად "პეჟო 908RC" მიიჩნია. "ფრანგულმა ლომმა" ეს ავტომობილი პირველად საზოგადოებას ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გააცნო, პარიზში კი მისი მრავალფეროვნებაც წარმოაჩინა.

საქმე ისაა, რომ ამ ერთი კონცეპტით "პეჟომ" ერთბაშად ორი მომავალი სიახლე შენიღბა. ჯერ ერთი, 908RC-ის გარეგნობა მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორი იქნება კომპანიის ფლაგმანის, ლუქსის კლასის სედან 607-ის ახალი თაობის (მისი ინდექსი იქნება 608) დიზაინი.

ვერაფერს იტყვი, 908RC მართლა შესანიშნავი გარეგნობით გამოირჩევა. თუ ფრანგები მოინდომებენ, ამ ავტომობილით შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ არამხოლოდ ბაზრის ისეთ ლიდერებს, როგორებიცაა "ბენეცი" და "მერსედეს-ბენცი", არამედ ახალ "მოთამაშეებსაც", რომლებსაც მალე ბაზარზე გამოუშვებენ "პორშე" (ოთხკარიანი კუპე პანამერა) და "ასტონ მარტინი" (ოთხკარიანი კუპე რეპიდი). არაა გამორიცხული, რომ "პეჟომ" 908RC-ის ბაზარზე შეიძლება მართლა დაამზადოს ოთხკარიანი კუპე, თუმცა ამ ეტაპზე ალბათ მისი მთავარი მიზანი მაინც 608-ის დიზაინის შემუშავებაა - კომპანია აუცილებლად გაითვალისწინებს პარიზის ავტოსალონის დამთვალელებელთა მოსაზრებებს ამ ავტომობილის დიზაინის თაობაზე და სანამ მოდელი კონვეიერამდე მიაღწევდეს, ის რამდენიმე ცვლილებას განიცდის.

908RC-ის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი სიახლე მის შიგნით იმალება. ესაა V12 კონფიგურაციის მქონე ტურბოდიზელის აგრეგატი, რომლის სამუშაო მოცულობაა 5.5 ლიტრი, სიმძლავრე 700 ცხენის ძალა, მაბრუნე მომენტი კი - 1100 ნიუტონ-მეტრი. 908RC-ზე ის განივად და დამონტაჟებული, მაგრამ როცა ლე მანის 24-საათი-

ანი რბოლებისთვის განკუთვნილ სპორტულ პროტოტიპზე გადაინაცვლებს, მას სასიხვე გრძივად დაამაგრებენ.

ცნობისათვის, ახალი პროტოტიპით "ფრანგული ლომი" ეცდება, დაიბრუნოს ლე მანის ჩემპიონის ნოდება, რასაც უკვე რამდენიმე სეზონია, არავის უთმობს გერმანული "აუდი", რომელმაც ტურბოდიზელის ძრავით აღჭურვილ პროტოტიპ R10-ით ლე მანის წლევიანდელი რბოლა მოიგო. გერმანული კომპანია ლე მანზე მოპოვებულ გამარჯვებას უკვე იყენებს სარეკლამო მიზნებისთვის, მისი ფრანგული კონკურენტი კი იმედოვნებს, რომ ამის საბაზი მერმის მასაც ექნება. ოღონდ, ჯერ ლე მანის როლა უნდა მოიგოს.

პარიზშივე "პეჟომ" კიდევ ერთი "გორბული" კონცეპტუალური მოდელი შემოგვთავაზა. ესაა ჰიბრიდული აგრეგატებით აღჭურვილი კუპე/კაბრიოლეტი "პეჟო 207 CC ეპური". გარეგნულად ეს ავტომობილი ძლიერ ჰგავს პოპულარულ ჰენკე 207-ს. ოღონდ, მისგან განსხვავებით, მხოლოდ ორკარიანი იქნება. მას გამოარჩევს მოსახსნელი მყარი სახურავი, რომლის წყალობითაც, მისი ძარა შეიძლება იყოს როგორც კუპეს ტიპის, ასევე კაბრიოლეტიც.

მსგავსი ავტომობილი (206 CC) "პეჟოს" სამოდერო გამაში პირველად 2002 წელს გამოჩნდა და სოლიდური ფასის მიუხედავად, მყიდველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

"პეჟო 207 CC ეპური" კონვეიერამდე ზუსტად იმ სახით მიაღწევს, როგორც ის პარიზის ავტოსალონის ვიზიტორებმა ნახეს. სამაგიეროდ, ახლო მომავალში ვერსად ნახავთ ფრანგული კომპანიის ისეთ ავტომობილს, რომელსაც კაპოტქვეშ ისეთივე აგრეგატი ექნება მოთავსებული, როგორითაც აღჭურვილია "პეჟო 207 CC ეპური".

ეს არის ელექტროძრავისა და წყალბადის ფიჭურ უჯრედებზე მომუშავე აგრეგატის კომბინაცია სახელად "გენაპეკ 20". როცა ორივე დანადგარი მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს, მათი ჯამური სიმძლავრე 120 ცხენის ძალას აღწევს. ეს კი ოდნავ მეტია, ვიდრე "პეჟოს" 1.6-ლიტრიანი ტურ-

ბოდიზელის სიმძლავრე (110 ცხენის ძალა).

ჰიბრიდული "პეჟო 207 CC ეპური" 1550 კილოგრამს იწონის. რა თქმა უნდა, მისი გარბრტების მანქანისთვის ეს მეტისმეტია. შესაბამისად, ავტომობილი არცთუ შესაშური მახასიათებლებით გამოირჩევა: მისი მაქსიმალური სიჩქარე მხოლოდ 130 კმ/სთ-ია, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად კი 15 წამი სჭირდება. სამაგიეროდ, ის პრაქტიკულად არ აბინძურებს გარემოს და ეკონომიურობითაც გამოირჩევა.

## სიტროენი

თუ "პეჟო 908RC" სპეციალისტების უმეტესობამ საუკეთესო კონცეპტუალურ ნამუშევრად აღიარა, კიდევ ერთი ფრანგული კონცეპტუალური ავტომობილი, "სიტროენ C-მედიის" ავტოსალონის საუკეთესო ექსპონატად იქნა მიჩნეული. ის საინტერესოა როგორც დიზაინის მხრივ, ასევე აღჭურვილობითაც.

"C-მედიისი" შეიძლება მიგაკუთვნოთ ოთხკარიანი კუპეების კლასს (ეს კლასი თანდათან მკვიდრდება ბაზარზე). ის უჩვეულო პროპორციებით გამოირჩევა - არის ძალიან გრძელი (4.74 მეტრი), დაბალი (1.24 მეტრი) და განიერი (2 მეტრი). მისი წინა და უკანა კარები სანინალმდეგო მიმართულებით იხსნება. ამასთან, ოთხივე კარი სახურავში გადადის და როცა იხსნება, დიდ ფართობს ათავისუფლებს, რისი წყალობითაც, მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილი ძალიან დაბალია, მასში ჩაჯდომა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

"C-მედიისი" იმითაც გამოირჩევა, რომ მინიმალურად აბინძურებს გარემოს და ძალიან ეკონომიურია. მცირე აპეტიტს და სუფთა გამონახობილქვს განაპირობებს ჰიბრიდული დანადგარი, რომელშიც შედის V6 კონფიგურაციის, HDi ტურბოდიზელი და უკანა ბორბლებთან დაკავშირებული ორი ელექტრომობილი. აღსანიშნავია, რომ ეს ტურბოდიზელი "სიტროენისა" და "ფორდის" კონსტრუქტორების ერთობლივი ნამუშევრია და ის უკვე გამოიყენება "ფორდის", "ლენდ



პეჟო 908RC



პეჟო 207 CC ეპური

# კონსტრუქტორი მოდელები



რენო ნეპტა

როვერისა და "იაგუარის" მოდელელებში. შიდაწესის ძრავის სიმძლავრე 208 ცხენის ძალაა და მასთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი. ეს ტანდემი მბრუნე მომენტით ამარაგებს წინა ბორბლებს, უკანა ბორბლები კი მბრუნე მომენტს (სულ 400 ნმ-ს) ელექტროძრავებისგან ღებულობენ, რომელთა საერთო სიმძლავრე სულ რაღაც 20 ცხენის ძალაა. ელექტროძრავები საქმეში მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ერთვება, "უქმეობის" დროს კი ავტომობილის კინეტიკურ ენერჯის ელექტროენერჯიად გადაამუშავებენ და როცა ძრავის რეჟიმში მუშაობა უწყვეტ, ამ ენერჯის თავადვე მოიხმარენ.

ამ პიბრიდული დანადგარის მეშვეობით, "C-მეტისის" მაქსიმალური სიჩქარე თეორიულად 250 კმ/სთ-ს აღწევს, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად კი 6.2 წამი ჰყოფნის. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ავტომობილი კომბინირებული ციკლით მოძრაობისას, ყოველ ას კილომეტრზე 5 ლიტრზე ოდნავ მეტ დიზელის საწვავს მოიხმარს.

## რენოს სამი კონსტრუქცია

"პეუო/სიტროენის" მსგავსად, პარიზში სამი კონსტრუქტორული ნამუშევარი გამოფინა კიდევ ერთმა ფრანგულმა ავტოგაგანტმა "რენომ". ამ სამიდან ყველაზე ექსტრავაგანტური და იმავდროულად, არარეალურიც, არის ლია მოდელი "ნეპტა", რომელიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ოდესმე კონვეიერზე მოხვდეს. სამაგიეროდ, ბაზარზე აუცილებლად ვიხილავთ ახალ "ტვინგოს" და უგზობის მოდელ "კოლეოსს", რომლებზეც არცთუ შორეულ მომავალში ავტომწარმოებელი დიდ იმედებს ამყარებს.

"ნეპტა" კაბრიოლეტების კლასს მიეკუთვნება. ამ უზარმაზარ მანქანას ორივე მხარეს თითო კარი აქვს, რომელიც ერთდროულად ორი კარის მოვალეობას ასრულებს. ისინი ზევით იხსნება, ეგრეთ წოდებული თოლიას ფრთის სტილში და ამ დროს ჩასაჯდომად დიდ სივრცეს ქმნიან. თითოეული კარის სიგრძე 3,76 მეტრია. ეს მაშინ, როცა ავტომობილის სიგრძე 5 მეტრს აღწევს.

ესოდენ დიდი გაბარიტების მიუხედავად, სალონში მხოლოდ ოთხი, ძალიან კომფორტული სავარძელია მოთავსებული, რომელთაგან თითოეული კლიმატ კონტროლის ინდივიდუალური სისტემითაა აღჭურვილი. მძღოლის სამუშაო პოსტი საკმაოდ მწირად გამოიყურება. მის წინ მხოლოდ საჭე და სამი მრგვალი მაჩვენებელია მოთავსებული, რომელთა დიზაინი ძველებურ სტილშია შესრულებული. საჭეზე მდებარეობს გადაცემათა გადამრთველი ნიჩბები. სავარძლებს შორის პანელზე მოთავსებულია მონაცემთა კონტროლი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია 7-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფის რეჟიმების ცვლა. წინა პანელის სიღრმეში მოთავსებულია მრავალფუნქციური დისპლეი, რომელზეც მძღოლს ავტომობილის სხვადასხვა მონაცემის გამოტანა შეუძლია.

ავტომობილი აღჭურვილია 3,5-ლიტრიანი V6 კონფიგურაციის, ორტურბოკომპრესორიანი ბენზინის ძრავით, რომლის სიმძლავრე 420 ცხენის ძალას აღწევს. მისი მეშვეობით, "ნეპტა" ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარს აკრეფს 4.9 წამში ასწრებს.

"რენოს" სიახლეთაგან ყველაზე პატარაა "ტვინგო", რომლის მეორე თაობის მოდელსაც მყიდველი დიდიხანს ელოდა. პირველი "ტვინგოსგან" განსხვავებით, ახალი მოდელი ნაკლებად ინდივიდუალურია - მასში უფროსი "კლიოს" სტილის გავლენა იგრძნობა. ამასთან, ახალი ავტომობილი ზომებშიც გაზრდილია. ეს სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის იმავე პლატფორმაზეა ბაზირებული, რომელსაც იყენებს ახალი "კლიო".

ავტომობილი აღჭურვილია "რენოს" ცნობილი 1.2-ლიტრიანი ძრავით, რომლის სტანდარტული ვარიანტი 75 ცხენის ძალას ავითარებს, მაგრამ ახალი "ტვინგოსთვის", მისი სიმძლავრე ტურბოკომპრესორის მეშვეობით, 100 ცხენის ძალამდე გაზრდილი. მწარმოებელი ჯერ არ აკონკრეტებს ავტომობილის დინამიკურ მაჩვენებლებს. სამაგიეროდ, ახალი "ტვინგოს" ეკონომიურობასა და ეკოლოგიურობას უსვამს ხაზს - ქალაქში მოძრაობისას ის ყოველ ას კილომეტრზე



რენო ტვინგო

მხოლოდ 5 ლიტრ ბენზინს წვავს, ყოველი კილომეტრის გავლისას კი ჰაერში მხოლოდ 140 გრამ ნახშირორჟანგს (CO2) გამოყოფს.

პარიზში წარმოდგენილი "ტვინგო" ასევე აღჭურვილია მულტიმედიის სისტემით, თუმცა სათუთა, ასეთი ძვირადღირებული ეკიპირებით ის ბაზარზეც მოხვდეს. და მაინც, არაა გამორიცხული, რომ მყიდველის სურვილის შემთხვევაში, ავტომობილს ამ სისტემითაც აღჭურვავენ.

რაც შეეხება "რენოს" მესამე კონსტრუქციას, ესაა კომპანიის ისტორიაში უგზობის პირველი საშუალო ზომის ავტომობილი, სახელად "კოლეოსი". ამ ავტომობილზე პირველ რიგში იმის თქმა შეიძლება, რომ ისაა ორი პარტნიორი კომპანიის - "რენოსა" და მის მფლობელობაში არსებული "ნისანის" კონსტრუქტორთა ერთობლივი გარჯის ნიმუში. ამ ორმა კომპანიამ ერთობლივად შექმნა "კოლეოსი" პლატფორმაც და ორივე ტურბოდირექტის ძრავიც. რაც შეეხება ავტომობილის დიზაინს, ის "რენოს" კორეული შტოს, "სამსუნგ მოტორის" დიზაინის ცენტრში შემუშავდა.

"კოლეოსში" უგზობის ავტომობილის თვისებათა გარდა, ჩვეულებრივი სედანის თვისებებიცაა შენარჩუნებული. უნივერსალური ტრანსმისიის ნყალობით, მბრუნე მომენტი შეიძლება გადაეცეს როგორც მხოლოდ წინა, ასევე ოთხზე ბორბალს. ავტომობილის უსაფრთხოების სამსახურში დგას ისეთი სისტემები, როგორებიცაა ბლოკირებისა და მოცურების სანიანაღმდეგო სისტემები, "ბრეიკ ასისტი" (მუხრჭების დამხმარე), "ჰილ სტარტ ასისტი" (აღმართში დაძვრისას დამხმარე) და დაღმართში მოძრაობისას კონტროლის სისტემები.

## ლანჩა დელტა

იტალიურმა კომპანია "ლანჩამ", რომელიც "ფიატის" ჯგუფში შედის, პარიზის ავტოსალონზე გამოფინა თავისი ახალი კონსტრუქტორული ჰენჯი "დელტა HPE", რომლის მსოფლიო დებიუტიც ცოტა ხნით ადრე, ვენეციის კინოფესტივალზე შედგა.

იტალიურ კომპანიას თავის ისტორიაში

ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მოდელი, "დელტას" აღორძინება სურს. ამ მოდელით, კომპანიის საქარხნო გუნდმა რალის მსოფლიოს ჩემპიონატი ექვსჯერ მოიგო. იყო დრო, როცა "დელტა" განაპირობებდა "ლანჩას" კეთილდღეობას. ბოლო ხანებში კი ეს სახელი დაიწყებას მიეცა.

ახალი დელტა არის "გოლფის" კლასის, სპორტული სტილის ჰენჯი, რომელიც საშუალო კლასის სედანების კომფორტულით გამოირჩევა. ავტომობილს "ლანჩასთვის" დამახასიათებელი, მოხდენილი გარეგნობა ახასიათებს. მის დიზაინში რამდენიმე ორიგინალური გადამწყვეტა თვალშისაცემი. კერძოდ, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს 1950-იანი წლების სტილის რადიატორი, უცნაური მოყვანილობის წინა ფარები, უკანა ფრთასთან შენარჩუნებული უკანა საყრდენი, რომლის წვერსაც მოხდენილად უჭირავს სახურავის უკანა კიდე. უკანა ფრთაზე იწყება და ბამპერში გადადის უკანა ფარები.

ავტომობილს გამოარჩევს საკმაოდ გრძელი ბაზა (2.7 მეტრი), რისი ნყალობითაც, სალონში ამ კლასისთვის შეუფერებლად კომფორტული გარემოა შექმნილი. უკანა მგზავრებს უჩვეულოდ ბევრი ადგილი აქვთ ფეხებისთვის, მაგრამ სალონის მოცულობა კიდევ უფრო გაიზარდება, როცა ისინი თავიანთი სავარძლებს უკან დასწვენ. სურვილის შემთხვევაში, უკანა სავარძლების ლოგინად გამოყენებაც კი შეიძლება.

"ლანჩა" ახალ "დელტაზე" დიზელსა და ბენზინზე მომუშავე რამდენიმე ძრავის გამოყენებას გეგმავს. მათგან დიზელის აგრეგატები ტურბოკომპრესორით იქნება აღჭურვილი. ძრავების სიმძლავრე 120-200 ცხენის ძალის ფარგლებში იმერყეებს. მათ კი შეუწყვიდება მექანიკური, ან ნახევრადავტომატური, 6-საფეხურიანი კოლოფები.

თუ როდის დაიწყება ახალი "დელტას" წარმოება, ამაზე იტალიური კომპანია ჯერჯერობით სდუმს. თუმცა, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ პარიზში ნაჩვენები კონსტრუქტორული მოდელი ახლოსაა წარმოებისთვის მომზადებულ ვარიანტთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მყიდველს მისი ლოდინი დიდხანს არ მოუწევს.



რენო კოლეოსი



ლანჩა დელტა HPE

კლუბები/რესტორნები/ბარები

ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 23:00 ახალი DJ და დისკოთეკა. მიმტანები: - ქართველი და უცხოელი მოდელები. მუდმივად ეკრანზე ფენ TV;

12.10.06 - ესპანური სალამო Fiesta Farty; დასაწყისი: 21:00; ცოცხალი მუსიკა, საუთესო ბენდი და DJ თავს ესპანეთში გავრცობენ. წვეულებაზე შესაბამისად ჩაცმული გვესტუმრეთ. თუ კარმენის კაბა არ გიბიზავთ, შეგიძლიათ რაიმე დეტალით გაუსვით ხაზი იმას,

რომ ესპანურ სალამოზე მობრძანდით. სპონსორები: "ისი პარი", "კოსმოპოლიტენი", კინოქსელი "ამირანი" და არაყი "მიაგოვი". გათამაშდება პრიზები და გამოვლინდება სალამოს საუკეთესო ესპანელი ქალბატონი და მამაკაცი. ბილეთის ფასი: 30ლარი; შესაძლებელია მაგიდის წინასწარ დაჯავშნა.



რუსთაველის გამზირი 18; ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70; +995 93 27 47 57);

ავტოსადგომი უფასოა.

დღეს

ქართული ესტრადის ვარსკვლავები; ბილეთის ფასი: 20 ლარი; დასაწყისი: 22:00; ბიზნესლანჩი: 11:00-დან 18:00-მდე ორშაბათი-ხუთშაბათი. პარასკევი/შაბათი/კვირა: 22:00 ცოცხალი მუსიკა; ქართული ესტრადის ვარსკვლავები და მონვეული სტუმრები; ლათინოფართი. დისკოთეკა: 24:00 დიჯეი დანი; მეტეხის 22; ტ.: 77 13 68; მობ.: 877 75 44 00

იხსნება: 16:00; ბიზნესლანჩი: 12:00-დან 15:00-მდე. ყოველ დღე: 23:00-დან 03:00-

მდე ცოცხალი მუსიკა - ვლად არამოვი და მისი ჯგუფი; შაბათობით: ლათინოფართი მაცესტრო მორისთან ერთად(განახლებული პროგრამა), დასაწყისი: 22:00; მუდმივი კლიენტებისათვის ფასდაკლება. შესაძლებელია წინასწარი შეკვეთები კერძო წვეულებებისათვის.

დარბაზი გათვალისწინებულია 80 სტუმარზე. ახველიანის 13. ტ.: 92 00 45

დღეს

Justus Kohncke ( KOM-PAKT residency opening night ); 13.10.06-Lady

Waks feat MC Darrison; 14.10.06-Aquasky feat MC Darrison. დასაწყისი: 22:00; ბილეთის ღირებულება: 25 ლარი (ბიჭი) 15 ლარი (გოგო);



JUSTUS KOHNCKE Disco House / Pop / Techno

LADY WAKS Breakbeat

იხსნება: 20:00; 21 წლამდე ახალგაზრდების შესვლა სასტიკად აკრძალულია; მკაცრი "ფეისკონტროლი"; მენიუ: ქლავ სენდვიჩი, ხაჭაპური, სალათები, ჩირი, თხილი, ხილის ასორტი; კლუბი 1000-მდე სტუმარს იტევს. აქვს 300 დასაჯდომი ადგილი და 10 VIP მაგიდა. შესაძლებელია

ბელია მაგიდების წინასწარ დაჯავშნა; ფუნქციონირებს 2 ბარი; გამოირჩევა თანამედროვე ევროპული დიზაინით და ტექნიკურად უნაკლოდაა აღჭურვილი. აქვს საქართველოში ერთადერთი ლაზერული განათება;

მტკვრის მარცხენა სანაპირო / ბარათაშვილის ხიდი /; ტ.: 92 30 16; საკუთარი ავტოსადგომი.

იხსნება: 11:00; ლუდსახარში და რესტორანი გთავაზობთ: გერმანული ტექნოლოგიითა და უნიკალური რეცეპტით, მაღალხარისხოვან გერმანულ სეა-

სა და ალაოზე დამზადებულ ცოცხალ, გაუფილტრავ ლუდს "კაიზერ ბრაუს". ქალაქის საუკეთესო უბანში, სასიამოვნო გარემოში, თქვენ შეგიძლიათ თვალი ადევნოთ რესტორანში გათავსებულ მინი ლუდსახარში ლუდის ხარშის პროცესს, შესვით ახლადმოხარშული შესანიშნავი ლუდი და სხვა სასმელები, მიირთვათ უგემრიელესი გერმანული და ევროპული კერძები და რესტორნის დიდ მონიტორზე ნახოთ სპორტის უახლესი მოვლენები. "კაიზერ ბრაუს" შეგიძლიათ ლანჩზეც ეწვიოთ.

საუკეთესო შეფ-მზარეული თქვენ უამრავ სიურპრიზს გიმზადებთ, რათა მოსწყდეთ დაძაბულ დღის რეჟიმს, დაისვენოთ და გემრიელად წახემსოთ. სამზარეულო ღია: 02:00; რესტორანი მუშაობს ბოლო სტუმრის გაცივლებამდე.

სიონის 8; ტ.: + 995 (32) 92 03 22; ავტოსადგომი უფასოა

გახსნილია: 24 საათი; ცოცხალი მუსიკა: 19:30-დან 23:30-მდე; სადღესასწაულო დღეებში სპეციალური პროგრამა;

თუ გიყვართ უკრაინული ნაციონალური კერძები, ან მრავალი მოგონება გაქვთ უკრაინის ქალაქ კიევიდან, გვესტუმრეთ მეგობრებთან ერთად, გაიხსენეთ წარსული, კვლავ ახალგაზრდად იგრძენით თავი და ძველებურად მოილხინეთ.

უკრაინული კერძების ფართო არჩევანი, განთქმული უკრაინული "ბორშჩი", "სბორნაია სალიანკა", "კატლეტი კიევიდან", საუკეთესო ქართული ღვინოები და მხოლოდ უკრაინული წინასწარ და ხორბლის არყები და რათქმაუნდა, სახელგანთქმული "ტორტი კიევიდან" ჭეშმარიტად კიევიში გაგრძობილებით თავს. სლაფური მუსიკისა და თანამედროვე რუსული და უკრაინული ესტრადის ჰიტები კი მოწყენის საშუალებას არ მოგცემთ და ზეანეული განწყობა შეუძლებელს შეგაძლებინებთ. გვერმუნეთ, რესტორანი "კიევი" საუკეთესო ადგილია თქვენთვის სასურველი წვეულების მოსაწყობად. იტევს 70 კაცს. შესაძლებელია მაგიდების წინასწარ დაჯავშნა.

ვაჟა-ფშაველას 6; ტ.: 38 76 46.

იხსნება: 10:00; ცოცხალი მუსიკა: 19:00; სახელმა არ მოგატყუოთ და სამოგზაუროდ არ გაემართოთ. ეს "ლევილი" თბილისში! - მყუდრო გარემო, გამორჩეული ქართული და ევროპული სამზარეულო, მომსახურების უმაღლესი დონე,

მართოთ. ეს "ლევილი" თბილისში! - მყუდრო გარემო, გამორჩეული ქართული და ევროპული სამზარეულო, მომსახურების უმაღლესი დონე,

ბარი სუკეთესო სასმელების მრავალფეროვანი

არჩევანით. 350 ადგილიანი საბანკეტო დარბაზი, 22 და 10 ადგილიანი კუპები, ერთი სიტყვით, - იდეალური ადგილი ნებისმიერი წვეულების მოსაწყობად. შესაძლებელია დარბაზის ან მაგიდების წინასწარ დაჯავშნა. მუშაობს ბოლო სტუმრის გაცივლებამდე.

ალექსანდრე ყაზბეგის 12; ტ.: 37 14 19; mob.: 899 223424/899 502414/899 537648.

გალაზიზი

გთავაზობთ: BALIZZA, HERRY, SALVATINI, RCR, SAN&FA, SOCI-ETA და სხვა ცნობილი

ფირმების ქაღალის, მამაკაცისა და ბავშვის მაღალი ხარისხის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. სპეციალური შეთავაზება: "MILA VITSA"-ს საუკეთესო თერთუელი ქალბატონებისთვის.


გალერეა/მუზეუმი



საქართველოს ეროვნული მუზეუმი თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"

THM Karvasia

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი წარმოადგენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილ გამოფენას "ჩინური ფაიფური".



გამოფენის ორგანიზატორები არიან: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ჯინგდეჯენის ფაიფურის ინსტიტუტის კოლექცია. ჯინგდეჯენი ჩინური ფაიფურის სამშობლოდ ითვლება, რომელიც აღმოცენდა იანის დინასტიის დროს და ის ცნობილი იყო ლურჯ-თეთრი ფაიფურით. აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება თანამედროვე ავტორების მიერ შესრულებული ჯინგდეჯენის ტერიტორიაზე ნაპოვნი უძველესი ფაიფურის ნიმუშების ასლები, ასევე თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები და ფოტოები.

11-დან 20 ოქტომბრამდე ეწყობა მხატვართა საერთაშორისო ჯგუფის "პაზარისის" (ლაცტია, საქართველო, რუსეთი) გამოფენა "მონოლოგი დროულად". ჯგუფი "პაზარისის" მიერ შექმნილია რამოდენიმე ხატი, რომელთაგანაც "პანავა" საჩუქრად გადაეცა ქ. მოსკოვის ვისოკოპეტროვსკის მონასტერს; ვედრების, წმ. ნიკოლოზისა და წმ. გიორგის ხატები - საქართველოს. მათი პროექტებით აშენდა რამოდენიმე ეკლესია საქართველოში.

გახსნა: 11 ოქტომბერს, 17:00; 12 ოქტომბერს იხსნება გერმანული ფოტოხელოვნების კლას უიკრატის პერსონალური



გამოფენა. იგი თანამშრომლობს ისეთ ცნობილ ჟურნალებთან და სარეკლამო სააგენტოებთან, როგორებიცაა: Vogue, Donna, Amica, Harpers Bazaar, Boss, Bogner, Ford, Ungaro, YSL, L'Oreal, Zegna, Caron, Givenchy.

კლას უიკრატის გახლავთ რამოდენიმე წინის ავტორი: "flowerskin", "Colorado Clouds", "Select Decade", "Mecs Plus Ultra", ის 1959 წელს გერმანიაში დაიბადა, მოგვიანებით საცხოვრებლად გადავიდა ამერიკაში, სადაც შედგა მისი, როგორც ფოტოხელოვნების პროფესიული კარიერა. 1996 წელს ნიუ-იორკში იწყებს მუშაობას ცნობილ დიზაინერებთან: Ralph Lauren, Polo, Sephora, Izod, Nautic, Hilfiger, Madmoiselle, Self, Van Heusen. ასევე თანამშრომლობს ცნობილ საიუველირო და საათების კომპანიასთან "Cartier". კლას უიკრატის შემოქმედება უშუალოდ დაკავშირებულია მსოფლიო მოდის სამყაროსთან. მის ნამუშევრებში ძირითადად პორტრეტული ჟანრის ფოტოები სჭარბობს, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში. ამ პროექტში გათვალისწინებულია ვორკ-შოპი, რომელსაც ავტორი ჩაატარებს თბილისის სამხატვრო აკადემიაში 13 ოქტომბერს.

გახსნა: 18:30. სიონის ქ. 8; ტ.: 92 32 27, 877 79 25 81, 893 39 24 94.

ჩვენნი არჩეONE-ის იმპრესარიო მაია კაპანაძე იფორმაციისა და რეკლამის განყოფილება ლარკაძის 899 95 57 67

სერვისი

მთავარი სიახლე - თქვენ აღარ დაგჭირდებათ ფულის სამომავლოდ შეგროვება, ახლა ყველაფერი რაც მოგეწონებათ შეგიძლიათ შეიძინოთ განვადებით. ამიტომ მობრძანდით ოჯახთან ერთად და თამამად გააკეთეთ თქვენი არჩევანი. "სახალხო ბანკი" გთავაზობთ უპრეტენდენტო სესხს 3 თვიდან 2 წლამდე განვადებით. ამისათვის საჭიროა თქვენი ოჯახის შემოსავალი მინიმუმ 150 ლარი იყოს. ხოლო სტუდენტებს მათი VISA ბარათებით შეეძლებათ ნებისმიერ შენაძენზე ისარგებლოთ 20%-იანი ფასდაკლებით. და ეს ყველაფერი არ არის! "სტანდარტ ბანკის" VISA ბარათის წარდგენის შემთხვევაში, ქალბატონები იყიდენ ყველაფერს რაც უნდათ და გადაიხდიან 10%-ით ნაკლებს.

ღიაა: 11:00-დან 19:00-მდე, კვირას: 12:00-დან 19:00-მდე; ტ: 23 15 64;

ფალიაშვილის 58 (რიგის ქ. უთხეში).